ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 22 დეკემბერი, 2009 №327 (5068) ფასი: 30 თეთრი

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

# სააკაშვილი თბილისს ვერ იტანს გვ.4

## ბარაკ ობამას საქართველოს პრეზიდენტთან ურთიერთობა არ სურს



გვ.5

# სანაკოევის ჩამოყვანა დიდი შეცდომა იყო

## ხელისუფლებას ცხინვალში დატყვევებული მოზარდების გათავისუფლება არ აწყობდა



# ძეგლებთან სამარცხვინო ბრძოლა მიმდინარეობს

გვ.2

გვ.2

# რატომ დუმს ელზა გულიაშვილი?

# გიბრალტარის დასკვნა — პატარკაციშვილის სამკვიდროს 14% ჯოზეფ ქეის ერგება

## ვინ აგებს პასუხს გუდავა ის მარცხზე გიბრალტარში



ინა გუდავაძის მიერ ინიცირებული პროცესი, შესაძლოა, მისთვის საბედისწერო აღმოჩნდეს. პატარკაციშვილის სამკვიდროსთან დაკავშირებულ დავაში ახალი ფაქტები იკვეთება — გიბრალტარის პროცესი, რომელიც ბერეზოვსკიმ და გუდავაძემ წამოიწყეს ჯოზეფ ქეის წინააღმდეგ, მნიშვნელოვნად შეასუსტებს მათ პოზიციებს.

გაირკვა, რომ პატარკაციშვილის აქტივები სულაც არ ეკუთვნოდნენ მხოლოდ ბადრის. გაპიარებული „საუკუნის პროცესი“ ბევრისათვის მოულოდნელად მთავრდება, ***ჯოზეფ ქეი, გიბრალტარის პროცესის დასკვნის თანახმად, მილიარდ რვაასი მილიონი დოლარის მფლობელი ხდება.*** ახლა უკვე ნათელი ხდება, თუ რატომ წავიდა ლორდ გოლდსმიტი ინა გუდავაძისგან. კულუარული ინფორმაციით, გოლდსმიტმა, საქმესთან გაცნობის შემდეგ, ურჩია გუდავაძეს ქეისთან მორიგება და გონივრული ზავის გაფორმება. საქმის დეტალურად შესწავლის შემდეგ გოლდსმიტი მივიდა დასკვნამდე, რომ ***სწორედ ქეიმ შექმნა ბადრის იმპერიად წოდებული ურთულესი ფინანსური და იურიდიული მართვის სისტემა.*** სწორედ ქეი ქმნიდა სხვადასხვა თრასტებს, ჰოლდინგებს, საკონსულტაციო თუ საინვესტიციო ფირმებს და, როგორც განაჩენის დასკვნის ნაწილში ვკითხულობთ, ***„მათზე (თრასტებზე) ხარჯებს უშუალოდ სწევდა ქეი, ხოლო ირიბად — ბადრი პატარკაციშვილი“.***

სახელისუფლებო კულუარებში, სადაც განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებენ თვალს ამ პროცესებს, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბერეზოვსკი თავის ძირითად ოპონენტად ე.წ. ბადრის სამკვიდროს ბრძოლაში სწორედ ჯოზეფ ქეის მიიჩნევს.



გვ.4

# დეპუტატები ბაღაფშის თურქეთში ვიზიტს აპროტესტებენ



გვ.4

# ძიძიგური ალასანიას გარიგებას სთავაზობს



# პროვოკაციები ოსებს და ქართველებს ერთნაირად აწყობთ

გვ.7

# რუსეთში ქართული არმიის ისევ ეშინიათ?

გვ.6

## რამდენი ხალხი დაიკარგა რუსეთ-საქართველოს ომში

# მოსკოვში ჯემალ გოგიტიძე გარდაიცვალა

გვ.5



# ბაღაფში თურქეთში მიდის

გვ.6

## თურქეთის ელჩს განმარტებების გაკეთება მოუწევს



3 **ხატიაშვილი პროკურატურას დაუპირისპირდა**

7 **ლორის გრიპით დაინფიცირებული 824 ადამიანიდან 18-ის მდგომარეობა მძიმეა**

3 **პაპუნა დავითაია დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გახდა**

7 **ნუგზარ წიკლაურისთვის „დიდების მემორიალი“ ღირებულს არ წარმოადგენდა**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ძეგლებთან სამარცხვინო ბრძოლა მიმდინარეობს

**„ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია იმ პირთა დასჯას მოითხოვს, ვინც ქუთაისში მომხდარი ტრაგედიის ადგილას აზრი გამოაკრა, რომ იქ პარლამენტის შენობა აშენდება. ქუთაისში მომხდარ ტრაგედიას გუშინ სპეციალურ ბრიფინგზე გამოეხმაურა ჯონდი ბაღათურია.**

ნანა მიშელაშვილი

ოპოზიციონერმა დეპუტატმა აღშფოთება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ ძეგლებთან ბრძოლა მიმდინარეობს და ეს პირველი შემთხვევა არ არის.

ქუთაისში „დიდების მემორიალის“ ნგრევას მსხვერპლი მოჰყვა. 8 წლის გოგონას და მისი დედის გარდაცვალებას მთელი ოპოზიციური სპექტრი გამოეხმაურა. ჯონდი ბაღათურია მიიჩნევს, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა აბსოლუტურად უპასუხისმგებლო და თვითნებური მოქმედების შედეგია ის, რაც ქუთაისში მოხდა.



ქუთაისში მომხდარი აფეთქების გამო დაკავებულია ამ აფეთქებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის ტექნიკური დირექტორი. ბაღათურია ეჭვობს, რომ ალბათ კიდევ ერთ მუშას დააკავებენ.

— პირველ რიგში, პასუხი უნდა აგონ ხელისუფლების იმ წარმომადგენლებმა, რომლებმაც მიიღეს თვითნებური გადაწყვეტილება და ბრძოლა გამოუცხადეს ძეგლებს და „დიდების მემორიალის“ აფეთქება გადაწყვიტეს. ასევე პასუხი უნდა აგოს, ვინც იყო ორგანიზაციულ საკითხებზე პასუხისმგებელი, — აღნიშნა ბაღათურიამ.

დეპუტატი იმ პირის დასჯასაც მოითხოვს, „ვინც გაბედა თავხედობა და და აზრა გამოაკრა, რომ ქუთაისში ტრაგედიის ადგილას პარლამენტი აშენდება“.

— უკვე მერამდენედ ხელისუფლება ცდილობს სისხლიან ადგილზე დადგას მონუმენტი ან სახელისუფლებო ადმინისტრაციული ორგანო. ხელისუფლებას მინდა შევახსენო, რომ აქ დაიღუპა 8 წლის ბავშვი და მისი დედა. იმის ნაცვლად, რომ შავი ლენტი და შავი დროშები გამოეფინათ და გლოვა გამოეცხადებინათ, ვიღაცამ ითავხედა და აღმართა აზრა, რომ იმ ადგილას შენდება პარლამენტის შენობა, — აღნიშნა ბაღათურიამ.

დეპუტატმა ასევე ისაუბრა ძეგლების გადატანაზე სხვადასხვა ადგილას. ბაღათურიას თქმით, ძეგლებთან და წარსულთან სამარცხვინო ბრძოლა მიმდინარეობს. დეპუტატი აცხადებს, რომ გრიბოდოევის საფლავის გადატანა უნდოდათ და ამაზე ერთი ჯგუფი აქტიურობდა, შემდეგ სტალინის ძეგლთან დაკავშირებით აწარმოეს კამპანია, მაგრამ გორელების შეეშინდათ.

— ქუთაისელებს, ეტყობა, ანგარიშსს ნაკლებად უწევენ და ააფეთქეს მემორიალი, რომელსაც არანაირი კავშირი რუსეთთან არა აქვს. ჯერ ერთი, ჩვენ ქსენოფობია არ უნდა გვამოძრავებდეს და რუსეთთან რაიმე დამაკავშირებელი რატომ უნდა იყოს აფეთქების ღირსი? მეორეც, ეს მემორიალი იმ ქართველების მემორიალი იყო, რომლებიც დაიღუპნენ ფაშიზმთან ბრძოლაში. ფაშიზმთან ბრძოლის მემორიალი თუ უნდა ააფეთქონ, ამის გაკეთება მხოლოდ ფაშისტიებს ან ნეოფაშისტებს შეუძლიათ, — აღნიშნა ბაღათურიამ.

„ქართული დასის“ ლიდერი ამბობს, რომ ხელისუფლებიდან უნდა წავიდნენ ის ადამიანები, რომლებსაც ძეგლებთან ბრძოლის ან საფლავების თხრის სურვილი ამოძრავებთ.

ძეგლის გადატანის საკითხთან დაკავშირებით ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ ქუთაისის მასშტაბით პლებისციტი მაინც უნდა ჩატარებულიყო.

— 300 ათასი ქართველია დაღუპული ამ ომში და 300 ათას ქართველს საფლავი გაუთხარეს ამ აფეთქებით. ეს იყო შეურაცხყოფა, სამარცხვინო საქციელი, — აღნიშნა ბაღათურიამ.

ქუთაისში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ კომენტარი გააკეთა ოპოზიციონერმა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ცაგარეიშვილის თქმით, საზოგადოებამ უნდა გამოთქვას პროტესტი და არ დაუშვას ქუთაისში პარლამენტის მშენებლობა, რადგან მცირერიცხოვანმა ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ვერ შეძლეს ხელისუფლებას ეს იდეა გადააფიქრებინონ.

— შემზარავი ფაქტი მოხდა. პრეზიდენტის არასწორ წინადადებას ბავშვის სიცოცხლე შეეწირა. ეს მომორიალი ეძღვნებოდა ფაშიზმზე გამარჯვებას, თუმცა, სააკაშვილს სხვისი ომები არაფრად მიაჩნია. მმართველ გუნდს ძეგლების გადატანაში, მათ მიერ შემოღებულ 10 ბალიან სისტემაში 10 ბალი ეკუთვნის, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარისას ცაგარეიშვილმა.

პარლამენტის ქუთაისში გადატანის საკითხი ის საკითხი იყო, რაზეც საპარლამენტო ოპოზიცია საკმაოდ ბევრს ხმაურობდა. მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო ოპოზიციის თითქმის ყველა წარმომადგენელი პარლამენტის ქუთაისში გადატანას ეწინააღმდეგებოდა, უმრავლესობამ მაინც გადაწყვიტა, რომ მომავალი პარლამენტის სესიები ქუთაისში ჩატარდება.

საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადატანის იდეა პირველად ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ წამოაყენა. მას შემდეგ, რაც ამ საკითხზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტში ისაუბრა, ყველა მიხვდა, რომ ბობოხიძეს ეს აზრი შემთხვევით არ გაუჟღერებია.

საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც პარლამენტის ქუთაისში გადატანის შეეხება, დეპუტატებმა რამდენიმე ხნის წინ მიიღეს. რა დაჯდება ქუთაისში პარლამენტის შენობის მშენებლობა, ამის შესახებ ზუსტი გათვლები ამ დრომდე არ არსებობს.

სხვადასხვა მონაცემებით, პარლამენტის შენობის ასაშენებლად და ინფრასტრუქტურის მოსაწყობად 50-დან 80 მილიონამდეა საჭირო. ეს კალკულაცია ზუსტი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია კითხვებს გამუდმებით სვამდა, რა დაუჯდება ქვეყანას ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის აშენება, საკონსტიტუციო ცვლილება ისე მიიღეს, რომ ეს შეკითხვა პასუხგაუცემელი დარჩა.

# რატომ დუმს ელზა გულიაშვილი?

გულიკო ბალა ე

**25 აპრილს ფალიაშვილის ქუჩა №90-ში მომხდარი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დროს დაზარალებული ელზა გულიაშვილის დების მიერ ირაკლი დოკვაძის სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენებებით შესაძლოა სრულიად შეიცვალოს საქმის ვითარება და ამ საქმეში გამოძიების მიერ ბრალდებულად შერაცხული ყოფილი პოლიტპატიმარი ირაკლი დოკვაძე უდანაშაულო აღმოჩნდეს.**

სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენებებიდან გამომდინარე, დღეს სრულიად დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მომხდარი ფაქტის პირველივე წუთებიდან იწყება დაზარალებულ გოჩა კვირჭიშვილის და მისი ოჯახის წევრებს, ელზა გულიაშვილსა და მის დებთან დაპირისპირება. კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა უპირისპირდებოდნენ ელზა გულიაშვილსა და მის დებს კვირჭიშვილი და მისი დედა? რატომ არ უნდა იყვნენ ისინი დაინტერესებული ელზა გულიაშვილის გამოჯანმრთელებით?

ელზა გულიაშვილის დები აცხადებენ, რომ პირველივე დღეებიდანვე გამოიკვეთა, რომ კვირჭიშვილებს ელზა გულიაშვილის გამოჯანმრთელება არ უნდოდათ. საინტერესოა, რატომ?

გოჩა კვირჭიშვილმა სასამართლოზე განაცხადა, რომ ნეიროქირურგია და დარწმუნებულია, რომ ელზა გულიაშვილი ვერ გამოჯანმრთელდება. არადა, დები სრულიად სხვას ამტკიცებენ. ელზა გულიაშვილი გამოჯანმრთელების გზაზეა. მათ შორის უთანხმოების მიზეზი მაინც ისაა, რომ გოჩა კვირჭიშვილმა დედას ბავშვი წაართვა. ელზა გულიაშვილს დღემდე ბავშვს არ ანახებენ, ის კი წუხს ამის გამო. ექიმების რეკომენდაციითაც, ელზას სრული გამოჯანმრთელებისთვის ბავშვის მასთან ყოფნა აუცილებელია.

ელზა გულიაშვილის და, ნათია გულიაშვილი, შეწუხებულია იმ ვითარებით, რაც შექმნილია ელზა გულიაშვილის შვილთან, პატარა გიორგი კვირჭიშვილთან დაკავშირებით.

**ნათია გულიაშვილი:**

— თუ გოჩა კვირჭიშვილს მხოლოდ თავისი ხელ-ფეხი აინტერესებს (ის სამკურნალოდ ისრაელში გაემგზავრა) და მეტი არაფერი, მაშინ მოგვცეს უფლება, ბავშვს მივხედოთ, ვიზრუნოთ ელზა გულიაშვილის შვილზე გიორგი კვირჭიშვილზე.

***— ფიქრობთ, რომ ბავშვი სათანადო მზედამხედველობასა და მზრუნველობას მოკლებულია?***

— ნამდვილად. ახლახანს ველაპარაკე იმ ოჯახიდან გამოძევებულ ძიძას. მას ვკითხე, რა მოხდა, იქიდან რატომ წამოხვედი და ბავშვი ვის დაუტოვე-მეთქი. მან მიპასუხა, რომ ბავშვი მეორე ძიძას დაუტოვა. ძიძასთვის უთქვამთ, ახლა არ გვაქვს ფინანსური საშუალება, თანხა უნდა დავზოგოთ, ახალი წლის შემდეგ შეიძლება დაგირეკოთო. ძიძის მეშვეობით გავიგეთ, რომ ბავშვი ცუდ მდგომარეობაშია. მოგეხსენებათ, როგორი რთული ხასიათი აქვს იზო გაბუნიას და როცა ვამბობდი, ასე გავუკეთოთ ბავშვს, ჯერ მეთანხმებოდა, მერე კი ამის გამო მსაყვედრობდა.

***— მაინც რის გაკეთებაზეა საუბარი, რა სჭირდებოდა ბავშვს?***

— ბავშვს შუნტირება აქვს გაკეთებული. ვეხვეწეთ, რომ ბავშვი გაეტანებინათ საზღვარგარეთ სამკურნალოდ. ამისთვის ყველაფერი გვქონდა მოძიებული, ყველა გვერდით გვედგა, მაგრამ უარი გვითხრეს. ისარგებლეს იმით, რომ 25 აპრილიდან გოჩა კვირჭიშვილი ყოველთვის კარგად იყო და თავიდანვე აცურებდა როგორც ხალხს, ასევე გამოძიებას. გოჩა კვირჭიშვილი თავიდანვე ძალიან კარგად გრძნობდა თავს. მას ყველაფერი დაგეგმილი და მოფიქრებული ჰქონდა და სულ კანონებით მელაპარაკებოდა. მან ბავშვის აღსაზრდელად ელზას დებს კი არა, თავის 72 წლის დედას მისცა მინდობილობა, რომელსაც სახლში ფსიქიკურად შეშლილი 50 წლის შვილი ჰყავს. როდესაც მას მეგი გულიაშვილმა დაურეკა და ჰკითხა, რა გჭირს გოჩა, თუ შენ ელზა გულიაშვილი გიყვარს, მაშინ როგორ შეგიძლია დედას შვილი წაართვა, მით უმეტეს, რომ ელზას ყველაზე მეტად სჭირდება შვილი და შვილს კი დედაო, ასეთი პასუხი გასცა: მე არ მაინტერესებს ელზა გულიაშვილი, ელზა გულიაშვილი ვერასოდეს გონს ვერ მოვა და მე ის არ მჭირდებაო.

***— რატომ უნდა ჰქონოდა ასეთი დამოკიდებულება გოჩა კვირჭიშვილს ელზა გულიაშვილის მიმართ? თუ ვინმე სხვა დაესხათ თავს ცოლ-ქმარს და მიაყენა დაზიანება, მაშინ რატომ უნდა იქცეოდეს გოჩა კვირჭიშვილი ასე არაადეკვატურად?***

— დღევანდელი მდგომარეობით, რაც მე ამ საქმესთან დაკავშირებით ვიცი, ჩემთვის სავსებით დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, მხოლოდ სამ კითხვაზე რომ გაეცა ჩემთვის პასუხი ამ ქვეყანაზე ან გოჩა კვირჭიშვილს, ან პროკურატურას, ან ვინმეს — როგორ შეიძლება ქალი (იზო გაბუნია) შევიდეს „ზალაში“, მოიაროს სამზარეულო, გამოვიდეს და თქვას, იქ არავინააო, როცა ჩვენ ვეუბნებოდით: მკვლელი, სავარაუდოდ, შეიძლება ამ სახლში იყოსო, იზო გაბუნია იძახოდა, იქ არავინ არ არისო. ეს შეიძლება? ჩიტი ხომ არ იყო?

***— თქვენ ეუბნებოდით იზო გაბუნიას, რომ მკვლელი იქ იყო?***

— ნამდვილად. ვეუბნებოდით, მკვლელი იქ არისო. ისეთი გარემოება იყო, რომ ვგრძნობდით, იქ ვიღაც იმყოფებოდა.

***— რა გარემოება იყო?***

— ფაქტი ძალიან ახალი მომხდარი გახლდათ. რაღაც წუთები თუ იყო გასული, რადგან ელზა გულიაშვილს თავიდან სისხლი ჯერ კიდევ არ მოსდიოდა. აქედან გამომდინარე, ელზა გულიაშვილი ჩემ თვალწინ, მე რომ გავუხსენი... ალბათ ეს წვრილმანები საინტერესო არ არის. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა, როცა ადამიანი ბრმა არ არის, ოთახში შევიდეს და ვერ დაინახოს ის, რასაც ეძებს? აქვე მინდა დავამატო, გოჩა კვირჭიშვილმა თქვა, მე ვერ გამიმეტეს, ელზა კი გაიმეტესო. ვინ იყო ასეთი ახლობელი, რომ გოჩა ვერ გაიმეტა სასიკვდილოდ, ელზა კი გაიმეტა? პასუხი გაგვცეს გოჩა კვირჭიშვილმა. მკვლელისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ელზა იტყოდა მის სახელს თუ გოჩა?

***— იმაზე რა აზრის ხართ, რომ გოჩა კვირჭიშვილმა სასამართლოზე ხელი ირაკლი დოკვაძეს დაადო?***

— მე მოვუსმინე სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის სამსახურის ექსპერტს. მას დაუსვეს კითხვა, იყო თუ არა გოჩა კვირჭიშვილი ადეკვატური და შეეძლო თუ არა მას ტყუილი ეთქვაო. ექსპერტმა უპასუხა: გოჩა კვირჭიშვილი ჩვეულებრივი ადამიანია და მას შეუძლია თქვას როგორც ტყუილი, ისე სიმართლე. მე ვიცი კვირჭიშვილის პირველი მართლა ნამდვილი ჩვენება. თუმცა, დღეს ვერ გეტყვით უკვე, მის ჩვენებაში რა არის ნამდვილი და რა — ტყუილი. მაგრამ სასამართლოზე მოვისმინე ის, რაც ექსპერტმა გაახმოვანა: გოჩა კვირჭიშვილმა მითხრა, ალბათ ირაკლი დოკვაძემ გააკეთაო. მაინტერესებს, რას ნიშნავს ალბათ? „ალბათ“ ძალიან ბევრი რამ შეიძლება მოხდეს.

***— ამ შემთხვევაში ექსპერტის ჩვენებიდან გამომდინარე საუბრობთ, მაგრამ თქვენ ხომ უფრო მეტი იცით ამ საქმეზე, რადგან თქვენი და ელზა გულიაშვილი თქვენთანაა. როგორც ვიცი, ელზა კითხვებს ადეკვატურად პასუხობს...***

— მე დღეს არ მაინტერესებს არანაირი გამოძიება. უნდათ დოკვაძე იჯდეს, უნდათ კვირჭიშვილი ჩასვან, უნდათ — პეტრიაშვილი. მე მაინტერესებს ერთი რამ — რა პასუხი გავცე ჩემს დას, ელზა გულიაშვილს, როცა მკითხავს, ჩემს შვილს რატომ არ მიხედე და კვირჭიშვილებს ხელში რატომ ჩაუგდეო? სოციალური დაცვის სააგენტოებს მივმართე, მაგრამ მიცხადებენ, რომ მათი უფლებამოსილება შემოიფარგლება უბრალო მოკითხვით, უპირატესობა კი მამის მხარესაა. რა პასუხი გავცე ელზას, როცა გოჩა კვირჭიშვილი საზღვარგარეთ მიდის, თავის ხელფეხს მკურნალობს და არ აინტერესებს თავისი შვილის არც მხედველობა, არც — ჩამოყალიბება, არც — არაფერი? ლუმინალი უშველის დღეს ამ ბავშვს? მხოლოდ ლუმინალის და უბნის ექიმის ამარა ჰყავთ ბავშვი.

***— ადვოკატმა ნანა გოჩელაშვილმა სასამართლოს წარუდგინა ელზა გულიაშვილის ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება.***

— ნანა გოჩელაშვილი მაშინ იქნა დანიშნული ელზა გულიაშვილის ადვოკატად, როცა ელზა უმძიმეს მდგომარეობაში იყო, გოჩა კი არაადეკვატური გახლდათ. მათ რწმუნება გოჩა კვირჭიშვილის დედამ, იზოლდა გაბუნიამ მისცა. მითხარით, ელზა გულიაშვილის სახელით მინდობილობების გაცემის უპირატესობა დედამთილს აქვს თუ მის დებს? ყველა ადვოკატი თავისი მორალის და ანაზღაურების შესაბამისად იქცევა.

***— როგორც ვიცი, თქვენ მიმართეთ სასამართლოს, რომელმაც ელზას ქმედუუნაროდ ცნობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო...***

— დიახ, მე მივმართე.

***— როგორც გავიგე, გითხრეს, ბავშვს თქვენ იმ შემთხვევაში გადმოგცემდნენ, თუ ელზას ქმუდუუნაროდ ცნობის გადაწყვეტილება იქნებოდა. მართალია?***

— დიახ, ასე იყო, შეგვაცდინეს და დღეს აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ.

***— კვირჭიშვილები გეუბნებოდნენ, ბავშვს გადმოგცემთ, თუ ელზას ქმედუუნარობის დოკუმენტს მოგვიტანთო?***

— არა, ადვოკატი ნანა გოჩელაშვილი გვეუბნებოდა, ერთადერთი შანსი, რაც თქვენ დაგრჩათ, ეს არისო: აიღეთ მისი არაადეკვატურობის ცნობა, შემდეგ შეგეძლებათ ელზას და ბავშვის მეურვეობის საკითხის გადაწყვეტაო.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ნაციონალებმა ოპოზიციას ქალები მიუსიეს

## „გვეყო სისხლიან ნაკვალევზე ქვეყნის შენება“

**ქუთაისს გუშინ ოპოზიციური კრებული ეწვია. ოპოზიციის ლიდერებმა ქუთაისის დალაშქვრა 19 დეკემბრის დატრიალებული ტრაგედიის გამო გადაწყვიტეს. სხვა ქვეყანაში საზოგადოებას მსგავს ფაქტზე ბევრად მწვავე რეაქცია ექნებოდა. ჩვენში კი ყველაფერი პირიქით მოხდა.**

თეა მარხვაი ე

მავანთა ახირების გამო ქუთაისში „დიდების მემორიალი“ ააფეთქეს, რომელიც მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ქართველების სახელზე იყო აგებული. როგორც ჩანს, ჩვენში ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლა დანაშაულად მიაჩნიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ მემორიალს არ ააფეთქებდნენ.

თუმცა, იყო „საპატიო“ მიზეზიც, რომლის გამოც არათუ „დიდების მემორიალი“ შეიძლება აეფეთქებინათ, არამედ შესაძლოა დიდი დავით აღმაშენებლის ძეგლიც კი გადაეტანათ. ისე, აღმაშენებლის ძეგლის გადატანას ჩვენი ხელისუფლება მიჩვეულია. რამდენიმე წლის წინ მათ აღმაშენებელი თბილისის ცენტრიდან გააძევეს და მხოლოდ იმის გამო, რომ იქ სასტუმრო აეშენებინათ.

მაშინ აღმაშენებლის ძეგლის გადატანას დიდი ხმაური არ მოჰყოლია. თავის დროზე საზოგადოებას ამ ფაქტზე სათანადო რეაქცია რომ მოეხდინა, 19 დეკემბერს ხელისუფლება „დიდების მემორიალის“ აფეთქებას ველარ გაბედავდა და იქნებ ის მსხვერპლიც აღარ ყოფილიყო.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დიდების მემორიალი“ საპატიო მიზეზის გამო ააფეთქეს. ეს საპატიო მიზეზი კი პარლამენტის შენობაა, რომელიც ქუთაისში უნდა ააშენონ.

საქართველოში თუ არა სხვაგან ვის მოუვა თავში აზრად პარლამენტის ორად გაყოფა. ჩვენში კი გადაწყვიტეს, რომ ორი პარლამენტი გვექნება. ერთი ლიხს აქეთ ანუ თბილისში, ხოლო მეორე — ლიხს იქით, ქუთაისში.

დალხენილი ქვეყანა რომ ვიყოთ, კიდევ გასაგები იქნებოდა. უდარდელი კაცი დროის გასაყვანად ათას რამეს მოიფიქრებს. ჩვენ კი საამისოდ არც სახსრები გვაქვს და წესით, არც განწყობა უნდა გვქონდეს. სხვა თუ არაფერი, ტერიტორიები დავკარეთ და ამისთვის არ უნდა გვეცალოს.

და რაკი ქართველები ვართ, როგორ შეიძლება ისეთმა უმნიშვნელო წვრილმანმა დაგვამწუხროს, როგორიც ტერიტორიების დაკარგვაა. როგორც შეიძლება კოდორის და ლიახვის ხეობის დაკარგვამ ისეთ მნიშვნელოვან საქმეზე აგვაღებინოს ხელი, როგორიც პარლამენტის შენობის ქუთაისში აშენებაა.

პარლამენტის შენობისთვის ადგილიც მალევე შეარჩიეს. ახალი პარლამენტის შენობის აშენებას ხელს „დიდების მემორიალი“ უშლიდა. და მერე რა, რომ ეს მემორიალი სამასი ათასი ადამიანის ხსოვნის პატივსაცემად იყო აშენებული. ის ხომ „დიადი“ მიზნისთვის უნდა დანგრეულიყო.

მერე რა, რომ მემორიალის დანგრევა გაერომ გააპროტესტა. საქართველოს ახალი პარლამენტის შენობა სჭირდებოდა. თანაც მაინცდამაინც ამ ადგილას. როგორც ჩანს, ხელისუფლებას უმკითხავეს, რომ ამ ადგილზე პარლამენტის აშენება საქართველოს ბედნიერებას მოუტანს.



საქართველოს ბედნიერება, ალბათ, ოდესმე ეღირსება. პარლამენტის ახალი შენობა კი ცოდვიან ადგილას აღიმართება. მემორიალის აფეთქება ნიკოლოზობა დღეს მსხვერპლით დასრულდა. ხელისუფლების ჯინიანობას რვა წლის გოგონას და დედამისის სიცოცხლე შეეწირა.

ამ ამბავმა, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გვაუწყა, სააკაშვილი შეაძრწუნა. ისეთი განცხადებები გაკეთდა, კაცი იფიქრებდა, იქ პარლამენტს აღარავინ ააშენებდა, თუმცა, ნურას უკაცრავად.

ტრაგედიიდან რამდენიმე საათში ნანგრევებზე ბანერი გააკრეს, სადაც ამაყად ეწერა, რომ იქ პარლამენტის შენობა აშენდება. მომხდარით ოპოზიცია ისედაც აღშფოთებული იყო. ისინი ტრაგედიის ადგილას ეკლესიის აშენებას ითხოვდნენ. ხელისუფლებამ მათ მოთხოვნას ზემოთ ნახსენები ბანერით უპასუხა.

ეს პასუხი ოპოზიციას უპასუხოდ არ დაუტოვებია და გუშინ ისინი ქუთაისში ჩავიდნენ. მათ ჩასვლამდე ბოლო დროს ძალიან გააქტიურებულმა ნოღაიდელმა საგანგებო განცხადება გაავრცელა.

— გვეყო ასეთ სისხლიან ნაკვალევზე ქვეყნის შენება, ტრაგედიის ადგილას მხოლოდ ეკლესიის აშენება იქნება უპრიანი. მოძრაობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო, უსამძიმრებს ჯინჭარაძეების ოჯახსა და მთლიანად საქართველოს და პირობას დებს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აღადგენს მემორიალს და ააშენებს ეკლესიას. მიხეილ სააკაშვილის და მისი გარემოცვის მორიგ ამბიციურ, განუსჯელ და ავანტიურისტულ მოქმედებებს კიდევ ერთი მსხვერპლი მოჰყვა საქართველოში — დაიღუპა უდანაშაულო დედა-შვილი, დაშავდა ახალგაზრდა კაცი, ისინი ხელისუფალთა თვითმიზნურ, წინდაუხედავ, არაპროფესიონალურ მოქმედებეს შეეწირნენ, — ნათქვამია განცხადებაში.

ანალოგიური ტიპის განცხადებები გააკეთეს ოპოზიციის ლიდერებმაც. მათი თქმით, სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ამ საქმის გამოძიება. მომხდარზე ისინი პასუხისმგებლობას ხელისუფლებას და პირადად მიხეილ სააკაშვილს აკისრებენ.

გავრცელებული ინფორმაციით მემორიალის აფეთქება სწორედ გუშინ უნდა მომხდარიყო. ოპოზიცია ამისთვის ხელის შეშლას აქციის ჩატარებით აპირებდა. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ნაჩქარევად ემოქმედა. და როგორც დამთავრდა ეს ამბავი, ყველამ ვნახეთ.

ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ხელისუფლებას დიდი სინანული არ ეტყობა. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ ცოდვიან ადგილას ასე სასწრაფოდ არ აღმართავდნენ ბანერს და არც ნაციონალების მხარდამჭერ მანდილოსნებს დაახვედრებდნენ ქუთაისში ოპოზიციას.

ოპოზიცია ქუთაისში მოულოდნელად არ ჩასულა. შესაბამისად ხელისუფლებაც მომზადებული იყო მათ დასახვედრად. ზონდერ-ბრიგადები- როგორც ამბობენ, ყოველთვის საბრძოლო მზადყოფნაში არიან.

ამჯერად ზონდერები დაასვენეს. ოპოზიციასთან კი საქმის გარჩევა მანდილოსნებს მიანდეს. მათ მისია ძალიან კარგად შესრულეს. ისინი ისეთი ხმით დაჰკიოდნენ ოპოზიციას, მსოფლიოში აღიარებულ მეცოსოპრანოებსაც კი შეშურდებოდათ.

პოლიტიკაში გარეული ქალების წივილი ჩვენში არავის უკვირს. გაკვირვებას ამ მანდილოსნების პოზიცია იწვევს. ისინი ოპოზიციას დაჰკიოდნენ, ეს ერთი შენობა მაინც დაგვითმეთო. „ერთ შენობაში“ კი ახალი პარლამენტის შენობა იგულისხმება, რომელიც ძველის მსგავსად ცოდვიან ადგილას აშენდება.

ეს არგუმენტი მკივანა ქალებს არ ადარდებდათ. ისინი კბილებით იცავდნენ აუშენებელ შენობას. ხელისუფლების განცხადებით ქალების პროტესტში არაფერი გასაკვირი არ არის. მათი თქმით, ქუთაისელებს სრული უფლება აქვთ, მხარი დაუჭირონ მშობლიურ ქალაქში პარლამენტის შენობის აშენებას. ოპოზიციის განმარტებით კი ეს მანდილოსნები ნაციონალების მხარდამჭერები არიან, რომლებიც საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ჩნდებიან, სადაც კი ოპოზიცია რაიმე აქტიურობას იწყებს.

მოვლენების ეპიცენტრი ამჯერად ქუთაისი გახდა და რა გასაკვირია, ეს მანდილოსნები სავარდო და სამაისო ქუთაისში რომ აღმოჩნდნენ.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ საკითხზე კამათი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ხელისუფლების განმარტებით, არ შეიძლება ოპოზიცია სხვის უბედურებაზე პოლიტიკურ ქულებს რომ აგროვებს.

ეს მართლაც არ შეიძლება, თუმცა, არც ის შეიძლება, რომ ვიღაცის აკვიატების გამო სამასი ადამიანის ხსოვნის სახელზე აგებული მემორიალი ააფეთქო და ადამიანები იმსხვერპლო.

ქუთაისში აქციის მიმდინარეობის პარალელურად თემურ შაშიაშვილმა საგანგებო მიმართვა გაავრცელა. მიმართვას სახელად „ნაციონალური ვანდალიზმი“ ჰქვია.

— საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, ნიკოლოზის შვილიშვილმა, ნიკოლოზის მამამ, წმ. ნიკოლოზის დღეს, საკუთარი შვილის დაბადების დღეს მოახდინა ეს ვანდალური აქტი: თავისი შვილის დაბადების დღეს — შეიწირა სხვისი შვილი, დედასთან ერთად, დააობლა ოჯახები, პოტენციურად სასიკვდილოდ გაწირა ძეგლის ერთი კვადრატული კილომეტრის რადიუსში მცხოვრები და მყოფი ყველა ადამიანი, დაანგრია „ქართულ ბიბლიად“ და „ქართულ ფილოსოფიურ ტრაქტატად“ აღიარებული უნიკალური ძეგლი, მისი ავტორი — მსოფიოში აღიარებული მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი შეტყობინების ღირსადაც არ ჩათვალა, ქართულ ინტელიგენციას, საქართველოს მოაზროვნე მოსახლეობას უთხრა, რომ მათი აზრი არ აინტერესებს — ისინი მისთვის მხოლოდ ამომრჩევლები არიან და გაახარა „მიშა მაგარიას“ მძახებელი კერპთაყვანისმცემლები, — ნათქვამია განცხადებაში.

საორგანიზაციო კომიტეტი მიიჩნევს, რომ ამის პატიება წარმოუდგენელია. მათი განცხადებით, საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას სისხლზე სახელისუფლებო შენობის მშენებლობა, მით უფრო, რომ თბილისში, ქუთაისში, საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში სახელისუფლებო შენობები საჭიროზე მეტია და ქვეყანას დღეს ბიზნესი და სამუშაო ადგილების შექმნა სჭირდება და არა სათადარიგო პარლამენტის შენობების აგება.

— უნდა დაიწყოს დიდი მოძრაობა „დიდების მემორიალის“ აღდგენისათვის, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ქუთაისის განვითარების გენერალური გეგმით და მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობისათვის — ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქად, მძლავრ ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევისათვის.

უნდა გაკეთდეს მოწოდება საქართველოს მოსახლეობის, საქართველოს მეგობარი ქვეყნების ხელისუფალთა, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების სახელზე, რათა დაიწყოს ბრძოლა ეროვნული თანხმობის ხელისუფლებისთვის და ეს იყოს ბრძოლა არა პოლიტიკური და არა სკამებისათვის, არამედ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პროფესიონალთა ხელისუფლებისთვის. მხარი დაეჭიროს ინიციატივას სახალხო ყრილობის მოწვევის, მასზე კონსტიტუციის ალტერნატიული ვარიანტის განხილვისა და კონსტიტუციის რეფერენდუმით მიღების თაობაზე, — ნათქვამია განცხადებაში.

ამ განცხადებას რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ უკვე მოაწერა ხელი. ხელმოწერები მომავალშიც გაგრძელდება. ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ მემორიალს აღადგენენ.

## ხატიაშვილი პროკურატურას დაუპირისპირდა



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი კანდიდატი ზაზა ხატიაშვილი მის წინააღმდეგ „პროკურატურის მანქანის აქტიურ მუშაობაზე საუბრობს“.

როგროც „პირველს“ ხატიაშვილმა განუცხადა, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნებზე დარღვევები დაფიქსირდა.

— რეგლამენტით გათვალისწინებული 1184 ხმის შემდეგ საბოლოოდ 1360 ხმა დაფიქსირდა, უცნობია ეს ხალხი როდის შემოემატა, თუმცა მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ადვოკატებმა ჩემს მიმართ დიდი თანადგომა გამოიჩინეს და 443 ხმა მივიგე, რაც, არც წარმომედგინა. ჩემი შტაბი მზად იყო საბრძოლველად, მაგრამ ამხელა წინააღმდეგობას პოლიციური ძალების მხრიდან არ ელოდა, რასაც მეორე ტურში გაითვალისწინებენ. თუ ადვოკატები მათი კანდიდატის გაყვანას შეძლებენ, ეს ამ უსამართლო რეჟიმის მსხვრევის დასაწყისი იქნება, — განაცხადა ხატიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარის არცევნების პირველი ტური გუშინწინ ჩატარდა, მეორე ტურში კი ერთმანეთს კონკურენციას ადვოკატები ზაზა ხატიაშვილი და ქეთი ქვარცხავა გაუწევენ.

**პირველი**

## ინფექციურ საავადმყოფოში ბოტულიზმით დაავადებული 2 ადამიანია გადაყვანილი

თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში ბოტულიზმით დაავადებული 2 ადამიანია გადაყვანილი. როგორც „პირველს“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ შოთა ცანავამ განუცხადა, ორივე პაციენტი თბილისელია და ისინი სახლში დამზადებული პომიდვრის კონსერვით მოიწმლნენ.

კლინიკაში მიყვანისას ბოტულიზმით დაავადებული მოქალაქეები უმძიმეს მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ ამ დროისთვის მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკვე კონტროლს ექვემდებარება.

**პირველი**

## ვიტალი ხრიპუნმა საქართველოს ხელისუფლებას ლტოლვილის სტატუსის მინიჭება სთხოვა

ცხინვალში განლაგებული რუსეთის სამხედრო ნაწილიდან გამოქცეულმა რუსმა სამხედრომ, 25 წლის ვიტალი ხრიპუნმა საქართველოს ხელისუფლებას ლტოლვილის სტატუსის მინიჭება სთხოვა.

როგორც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ჟურნალისტებს ვიტალი ხრიპუნმა განაცხადა, მან ცხინვალი გუშინ დატოვა და მადლობელია საქართველოს ხელისუფლების, რომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობა მისცა.

გადმოსვლის მიზეზად მან საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები დაასახელა და აღნიშნა, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება მისთვის ძალიან ძნელი იყო. ხრიპუნი ცხინვალის სამხედრო ნაწილში მიმდინარე წლის 6 დეკემბრიდან მსახურობდა. ლტოლვილთა და რეპატრიაციის სამსახურის უფროსის ირაკლი კოკაიას განცხადებით, ხრიპუნისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭება 4 თვის განმავლობაში მოხდება. აღნიშნულ ფაქტამდე, ცხინვალის რეგიონში რუსეთის სამხედრო შენაერთების რიგები ალექსანდრე გლუხოვმა და ნიკოლაი არტენიევმა დატოვეს.

**ინტერპრესნიუსი**

## პაპუნა დავითაია დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გახდა

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად გუშინ პარლამენტის წევრი პაპუნა დავითაია დაინიშნა.

ახალი მინისტრი პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა წარადგინა.

რაც შეეხება იულონ გაგოშიძეს, პრემიერის განცხადებით, ის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებულ არქეოლოგიურ კვლევის ცენტრს უხელმძღვანელებს.

დავითაია ადრე კულტურის სამინისტროშიც მუშაობდა და დიასპორის საკითხებს კურირებდა. იგი ამ მიმართულებით მუშაობდა პარლამენტშიც.

ამასთან, დავითაიამ დღეს პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას ნდობისთვის მადლობაც გადაუხადა.

— საზღვარგარეთ ცხოვრობს საკმაოდ ბევრი ქართველი, რომლებსაც აქვთ სურვილი, გააგრძელონ ურთიერთობა სამშობლოსთან. ამაში აუცილებლად ხელშეწყობაა საჭირო. მოფიქრებული უნდა იყოს ისეთი მექანიზმი, რომელიც მათ სამშობლოსთან ურთიერთობის გაგრძელებაში დაეხმარებათ, — აღნიშნა ახლად დანიშნულმა სახელმწიფო მინისტრმა.

თავად იულონ გაგოშიძის განცხადებით კი, ის მოხარულია, რომ უბრუნდება არქეოლოგიას.

— არქეოლოგია არის სფერო, რომელიც საქართველოს სახეა და ამ სახეს კიდევ უფრო უკეთ გამოჩენა სჭირდება, — მიიჩნევს იულონ გაგოშიძე.

მორიგი სამთავრობო ცვლილება მიმდინარე თვის დასაწყისიდან გატარდა. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი დიმიტრი შაშკინი პრემიერმა განათლების მინისტრად წარადგინა. შაშკინის უწყებას კი უკვე დღიდან, ხათუნა კალმახელიძე უხელმძღვანელებს. სამთავრობო ცვლილება 7 დეკემბერს გატარდა. მას შემდეგ სასჯელაღსრულების მინისტრის პოსტი დღემდე ვაკანტური იყო. შაშკინის წინამორბედი ნიკა გვარამია კი პოლიტიკას ჩამოშორდა. განათლების უკვე ექს-მინისტრი განათლების მისაღებად საზღვარგარეთ მიდის.

**ინტერპრესნიუსი**


გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“
ნომერზე 30–30 და 1 ლარით ყოველთვიურად
დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30–30 და
ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ
ბავშვები თავიანთ ოჯახებს!
ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“

# სააკაშვილი თბილისს ვერ იტანს

## ბარაკ ობამას საქართველოს პრეზიდენტთან ურთიერთობა არ სურს

ნონა ცაბა ე

**— ეს არის ბარბაროსობა ოცდამეერთე საუკუნეში, — ასე შეაფასეს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა ქუთაისში მომხდარი ფაქტი. შეგახსენებთ, რომქუთაისში „საბრძოლო დიდების" მემორიალის აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა. შემთხვევის შედეგად დედა-შვილი ჯინჭარაძეები დაიღუპნენ. ასევე მძიმედ დაშავდა კიდევ ერთი მამაკაცი, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი. როგორც ცნობილია, მემორიალის დემონტაჟს შპს „საქფეთქმრეწვი" აწარმოებდა. უბედური შემთხვევის გამომწვევ მიზეზად უსაფრთხოების ნორმების დარღვევა დასახელდა. მომხდართან დაკავშირებით პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. კოპენჰაგენიდან სასწრაფოდ დაბრუნებულმა სააკაშვილმა იმერეთის გუბერნატორი მოხსნა, თუმცა, საინტერესოა მას რას ერჩოდა, როცა მემორიალი მისი დაკვეთით ააფეთქეს. აადგან ამ ადგილას ჩვენი ხელისუფლება ახალი პარლამენტის შენობის აგებას გეგმავს. ოპოზიცია მომხდართან დაკავშირებით პასუხისმგებლობას მთლიანად საქართველოს პრეზიდენტს აკისრებს და აცხადებს — უმჯობესი იქნებოდა თუ თავად გადადგებოდა. არასაპარლამენტო ოპოზიცია ქუთაისში ამ ფაქტის გასაპროტესტებლად გაემართა. ჩვენ მომხდართან დაკავშირებით შეფასებები პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილს ვთხოვეთ:**

— ეს არის მთელი ქართველი ერის შეურაცხყოფა, რაც ქუთაისში მოხდა. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, სააკაშვილმა იმერეთის გუბერნატორი მოხსნა, ეს რა შუაშია, სააკაშვილის პირადი ბრძანებით მოხდა ეს ყოველივე. გეტყვით, თუ როგორი ვარიანტი იყო, ჯერ იყო ნათქვამი, რომ მემორიალი სააკაშვილის დაბადების დღეზე უნდა აეფეთქებინათ, ორი დღის წინ ხელისუფლებისგან გავრცელდა ხმები — აღარ ავაფეთქებთო, მოსახლეობის პროტესტის გამო. ხალხი მოატყუეს. ქუთაისის მოსახლეობა აპირებდა, ცოცხალი ჯაჭვი შეეკრათ ამ მონუმენტის გარშემო, თბილისიდანაც აპირებდნენ ჩასვლას, რომ არ აეფეთქებინათ. სერიოზული აქცია იყო 21 დეკემბრისთვის ქუთაისში დაგეგმილი. მოიტყუეს, ხმა გაავრცელეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, აღარ აფეთქდებაო და ამიტომ საპროტესტო აქციაც არ შედგა. შემდეგ ამას დაერთო ისიც, რომ კოპენჰაგენში წასული სააკაშვილი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა, იმიტომ, რომ არავინ არ დაელაპარაკა მას. მიზეზი სჭირდებოდა, სერიოზული მიზეზი, რომ მიეტოვებინა ვიზიტი და დაბრუნებულიყო. როგორც ჩანს, იქიდან ტელეფონით დარეკა და გასცა ბრძანება — სასწრაფოდ ააფეთქეთ ჩემს ჩამოსვლამდეო. გასაოცარია ისიც, რატომ ჩადეს ასეთი დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი, ამით არაპროფესიონალიზმი და უვიცობა გამოჩნდა სააკაშვილის გარემოცვისა. ამან არა მარტო მსხვერპლი გამოიწვია, არამედ სახლებია დანგრეული 500 მეტრში, ეს დაუჯერებელი რამ არის, სხვაგანაც გვინახავს აფეთქებები, მაგრამ მსგავსი არსად არაფერი მომხდარა. ბევრმა გამოთქვა ეჭვი, რომ სააკაშვილმა განგებ გააკეთა ეს, რომ გარშემო სახლებიც დანგრეულიყო, როგორც ჩანს, მარტო ის ტერიტორია არ ჰყოფნის. აქ პარლამენტის შენობის აგება — ეს იქნება სისხლზე აგებული პარლამენტის შენობა. არავინ არ უნდა დაუშვას, რომ იქ პარლამენტის შენობა ააგონ, ჯერ ერთი, არანაირი საჭიროება არ არის პარლამენტის გადატანის. სააკაშვილმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ ვერ იტანს თბილისს. განთქმულ ამერიკულ პოლიტიკურ ჟურნალს ცრემლნარევი ხმით უთხრა, თბილისელების 90% ვერ მიტანსო, ვერ მოინელა ის მარცხი, რომელიც არჩევნებისას განიცადა. რადგან თბილისელები ვერ იტანენ, თვითონაც ვერ გვიტანს. ჯერ იფიქრა, პარლამენტს გადავიტანო, მერე რის წაღებას მოინდომებს, არ ვიცით, საინტერესოა, თავის სასახლეს რას უზამს?! თუმცა, ამას ვერ მოესწრება, არავითარი პარლამენტის შენობა არ აშენდება ქუთაისში. განა რამდენ ხანს დარჩება სააკაშვილი? სულ მალე მაინც მოუწევს საქართველოს მიტოვება.

***— ასეთი შემზარავი ფაქტი მოხდა, გარდაცვლილები არც კი დაუსაფლავებიათ და იმ დღესვე გაჩნდა ბანერი აფეთქების ადგილას, რომ აქ აშენდება საქართველოს პარლამენტის შენობა. ცოტა ცინიკური ხომ არ არის ასეთი დამოკიდებულება?***

— ეს ცინიზმის გამოხატულება იყო. ინტელიგენციის ელიტამ გუშინ მოიწვია პოლიტიკური პარტიის ლიდერები, რომ იცოდეთ, როგორი საყოველთაო დაგმობა მოხდა ყველა მხრიდან, ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ არის განწყობილი, ვილაცამ ნერონიც კი უწოდა მას. ოტია იოსელიანი გაგიჟებული იყო, ქუთაისში რაც მოხდა, ნახა და გაგიჟებული ჩამოვიდა კაცი, მოყვა იმ საშინელებებს, რაც იქ ნახა. სახლები რომაა დანგრეული, ამას არ ამბობენ არც ტელევიზიები და არც ჩვენი ხელისუფალნი. მთელი ჩვენი სასიქადულო ელიტა იყო შეკრებილი ამ შეხვედრაზე და ყველამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ საახალწლოდ ბათუმში ტაშფანდური არ უნდა ჩატარდეს. ამასთან დაკავშირებით დაიწყება სერიოზული აქცია, რომ სირცხვილია, მათი მიზეზით მოხდა და ვიდრე 40 დღე არ გავა, როგორ შეიძლება გამართო ტაშფანდური. ამაზე სერიოზულ აქციებს აპირებს არასაპარლამენტო ოპოზიცია, რადგან ის, ვინც პარლამენტშია, ოპოზიცია არ არის, ის ხელისუფლების ნაწილია. ოპოზიცია აპირებს, მოაწყოს სერიოზული კამპანია, რომ არავინ არ წავიდეს ბათუმში. არავითარ შემთხვევაში იქ არ უნდა მოეწყოს ზეიმი.

***— ბევრი ფიქრობს, რომ ესეც შურისძიების ნაწილია, ახალ წელს თბილისს იგნორირებას უკეთებს და მიდის ბათუმში...***

— აქ ორი მიზეზია, თბილისს ვერ იტანს და როგორც ჩანს, ყოველ ღამე ესიზმრება ასლან აბაშიძე და ცდილობს, ბათუმში მის ჯინაზე რამე გააკეთოს. ასლან აბაშიძისთვის ვერ უპატიებია ერთი ვიდეოკასეტა, რომელიც მთელმა საქართველომ ნახა.

***— ე.ი. თქვენ ამ ვიზიტს კოპენჰაგენში წარუმატებელ ვიზიტს უკავშირებთ?***



— სწორედ რომ ასეა. კოპენჰაგენში სადილზე, სადაც 300 კაცი იყო, მაინც მოახერხა და მიეჭრა ბარაკ ობამას და განუცხადა, იცით, მე ვარ საქართველოს პრეზიდენტი. ბარაკ ობამა უკვე ერთი წელია პრეზიდენტია და არავითარი სურვილი არ ჰქონდა მასთან შეხვედრის. ჩვენი ტელევიზია კი ამაყად გვამცნობს — შედგა არაოფიციალური შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტსა და ამერიკის პრეზიდენტს შორის, დადარაჯებული იყო სააკაშვილი, რომ როგორმე გამოლაპარაკებოდა ობამას. ისევ დავუბრუნდები ქუთაისის ტრაგედიას, ეს ფაქტი ბარბაროსულ აქტად შეფასდა და ეს მას არ უნდა შერჩეს, ეს არის მთელი ქართველი ხალხის შეურაცხყოფა. მამაჩემი იმ ომში იბრძოდა და დემობილიზაცია მხოლოდ 1947 წელს მოხდა და სხვათა შორის, კონტუზიით ჩამოვიდა. მართალია იქ არ დაღუპულა, მაგრამ იომა მთელი მეორე მსოფლიო ომი. 300 ათასი ქართველი დაიღუპა ამ ომში და ისინი ებრძოდნენ ფაშიზმს, ფაშიზმს ერქვა ნაციონალ-სოციალიზმი. სააკაშვილი საქართველოში აშენებს ზუსტად ანალოგიურ რეჟიმს, ჩვენ გვყავს ჩვენი გესტაპო, გვყავს ჩვენი ზონდერები, სააკაშვილი ჰიტლერის რეჟიმის ანალოგიურ რეჟიმს აშენებს. იმიტომ ააფეთქა სააკასვილმა ეს მემორიალი. ყველა ჩვენგანს გვყავს ნათესავები, რომლებიც იქ ომობდნენ, ეს ყველა ჩვენგანის შეურაცხყოფაა, ჩვენი ისტორიის და ჩვენი სიამაყის. ფაშიზმს ვებრძოდით ქართველები და თავიც გამოვიჩინეთ, ეს ყველამ აღიარა, მან კი დაგვინგრია ამის სიმბოლო. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ მონუმენტის ავტორს დაურეკეს რუსეთიდან და უთხრეს, ნუ იდარდებთ, თავიდან აგიშენებთ მაგ მონუმენტს იმ ქალაქში, სადაც თქვენ იტყვით, მოსკოვში თუ სანკტ-პეტერბურგში. ეს არის დიდი სირცხვილი სააკაშვილის, მაგრამ მაგას სირცხვილის გრძნობა სად აქვს.

***— სამაგიეროდ იმ ადგილას აგვიშენებს ახალ, თანამედროვე პარლამენტის შენობას...***

— ვერ ააშენებს, ჯერ ერთი, მაგას ვერ მოესწრება, რომ იქ პარლამენტის შენობა აშენდეს. გუშინ აჩვენეს კიდევ, ბათუმში ახალ სასტუმროს ააშენებენ და სვანურ კოშკს ჰგავსო, თუმცა, სვანური კოშკის მსგავსი მას არაფერი აქვს, ეტყობა არ უნახავს, როგორია სვანური კოშკი. ჩვენ დუბაიზე უკეთესი გვექნებაო, მაგან ისიც კი არ იცის, რომ დუბაი გაკოტრდა უკვე, სწორედ ამ კოშკების მშენებლობით. სააკაშვილს სირცხვილის გრძნობა რომ ჰქონდეს, უნდა წავიდეს, მაგრამ სად აქვს ეს გრძნობა. შარშან ორ დღეში კაპიტულაციას რომ მოაწერა ხელი, ჯერ კიდევ მაშინ უნდა წასულიყო, ამდენი ხალხი რომ გამოვიდა ქუჩაში, საცეკვაოდ კი არ უნდა გამოსულიყო, ქუჩოში უნდა წაევლო ხელი და საქართველოდან გაეგდო.

***— ის საპროტესტო აქციები, რომლებსაც ოპოზიცია გეგმავს ქუთაისში, ხომ არ შეიძლება იმ დიდი ტალღის დასაწყისი გახდეს, რაზეც ოპოზიცია საუბრობდა?***

— შეიძლება. მართალია სიცივეა, მაგრამ მე მახსოვს ორი წლის წინ, იანვარში, 15 გრადუს ყინვაში სასტუმრო „ივერიიდან" პარლამენტამდე გადაჭედილი იყო ხალხი, მახსოვს, საშინელი ყინვა იყო, მაგრამ ასეულ ათასი ადამიანი იდგა ქუჩაში. ასე რომ, თუ საჭიროა, სიცივეში გამოსვლაც შეგვიძლია. სასტიკი სიცივე იყო, მაგრამ ბოლომდე ვიდექით, მოთხოვნით, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ჩატარებულიყო. შეიძლება ქუთაისიდან დაიწყოს, მაგრამ ამისთვის საჭიროა ქუთაისელები გამოვიდნენ, მათი ქალაქია, ქუთაისს შეურაცხყოფა მიაყენეს, შეარცხვინეს ისევე, როგორც ყველა ქართველი. ისინი მოვალენი არიან, რომ გამოვიდნენ და გრანდიოზული აქციები მოაწყონ.

# დეპუტატები ბაღაფშის თურქეთში ვიზიტს აპროტესტებენ

ნანა მიშელაშვილი

ქრისტიან-დემოკრატები სერგეი ბაღაფშის თურქეთში მოსალოდნელ ვიზიტს აპროტესტებენ. საპარლამენტო ფრაქციის წევრმა ნიკა ლალიაშვილმა გუშინ პარლამენტში ბრიფინგი გამართა და შეშფოთება გამოთქვა გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ლიდერი თურქეთში ვიზიტის განხორციელებას გეგმავს.

ერთ-ერთი ინფორმაციით, სერგეი ბაღაფში თურქეთის ოფიციალურ და არაოფიციალურ პირებთან არაფორმალური შეხვედრების გამართვას გეგმავს. ბაღაფშის განცხადებით, იგეგმება გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც თურქეთში არსებულ აფხაზურ დიასპორას მომავალში მიეცემა არჩევნებში მონაწილეობის საშუალება.

— მაშინ როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, როგორც საექსპერტო, ასევე სახელისუფლებო წრეებში კონფლიქტების დარეგულირების სტრატეგიის შემუშავებაზე, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ სტატეგია დარჩება ცარიელ სიტყვებად თუ სასწრაფოდ არ გაიწერება კონკრეტული მოქმედების გეგმა-გრაფიკი, რაც პირველ რიგში უზრუნველყოფს ოკუპირებული ზონების მიმდებარე ტერიტორიებზე ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოების ელემენტარული პირობების შექმნას, — აღნიშნა ნიკა ლალიაშვილმა.

ქრისტიან-დემოკრატების წევრი აცხადებს, რომ ბაღაფში არ უნდა გადაადგილდებოდეს თავისუფლად და ამისთვის გარკვეული ღონისძიებებია გასატარებელი.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ამ საკითხის დაყენებას ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის გაფართოებულ ფორმატშიც აპირებს.

— ჩვენ ღრმად გვწამს, რომ თურქეთი, როგორც საქართველოს უმნიშვნელოვანესი პარტნიორი, სათანადო ყურადღებით მოეკიდება აღნიშნულ განცხადებას და არანაირ შანსს არ მისცემს მათ ავტორებს პროვოკაციული განზრახვების რეალიზებისათვის. რაც კიდევ ერთხელ დაადასტურებს ჩვენი ქვეყნების მრავალწლოვანი მეგობრული ურთიერთობის სიმტკიცესა და ურყეობას, — აღნიშნა ნიკა ლალიაშვილმა.

ქრისტიან-დემოკრატები ამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე გეგმავენ შეხვდნენ თურქეთის რესპუბლიკის ელჩს საქართველოში. თურქეთის ელჩთან შეხვედრის კონკრეტული თარიღი ცნობილი არ არის, თუმცა, ლალიაშვილი ამბობს, რომ ეს შეხვედრა მიმდინარე კვირას გაიმართება.

# ძიძიგური ალასანიას გარიგებას სთავაზობს

**ორი დღის წინ, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი და ლიდერი სჭირდება.**



ნანა მიშელაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო სექტორი და საზოგადოების დიდი ნაწილი კარგა ხანია მოითხოვს ერთიანი კანდიდატურით წარდგენას თბილისის მერის პოსტზე, ეს ერთიანობა მაინც ვერ ხერხდება.

მერის პოსტზე ერთ კანდიდატურაზე შეთანხმება იოლი რომ არ არის, ამას თუნდაც ბოლო შეხვედრაც ადასტურებს. ამ შეხვედრაზე იგივე პოზიციები დაფიქსირდა, რაც აქამდე იყო ცნობილი. ეროვნული ფორუმის წევრები, ლეიბორისტები და ნინო ბურჯანაძე მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი არჩევნები ამ ქვეყანაში ობიექტურად არ ჩატარდება, ამიტომ მასში მონაწილეობას აზრი არა აქვს.

რაც შეეხება დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს, მათ ნაწილს თბილისის მერის პოსტზე საკუთარი კანდიდატურებიც ჰყავს და არჩევნებშიც იღებენ მონაწილეობას.

ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ ოპოზიციური კანდიდატები ცდილობენ ერთმანეთს რაღაცაზე „გაურგიდნენ". საერთოდ, გარიგების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მხარე მოგებული დარჩეს.

ბოლო დროს ვრცელდება კულუარული ინფორმაცია, რომ ირაკლი ალასანიას პარტიასა და კონსერვატორებს შორის გარკვეული შეხვედრები მიმდინარეობს. ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ ზვიად ძიძიგური ირაკლი ალასანიას სთავაზობს, რომ კანდიდატურას მოხსნის ალიანსის ლიდერის სასარგებლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონსერვატორებს გარკვეული თანამდებობები შეხვდებათ.

ამბობენ, რომ ძიძიგური იმ შემთხვევაში მოხსნის საკუთარ კანდიდატურას ალასანიას სასარგებლოდ, თუ მას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტს „დაუთმობენ". ვინ ვის რას დაუთმობს, ჯერ ძნელი სათქმელია, რადგან ჯერ არც ალასანიას აქვს რაიმე თანამდებობა და, მით უმეტეს, ვერც ძიძიგურს დაუთმობს რაიმეს.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე ირაკლი ალასანიას უკვე წარდგენილი ჰყავს სოზარ სუბარის კანდიდატურა და თითქმის გამორიცხულია, რომ სუბარის ჩანაცვლება კონსერვატორების ლიდერით მოხდეს.

ამბობენ იმასაც, რომ კონსერვატორებს საკრებულოს თავმჯდომარის პოსტის გარდა, კიდევ ერთი თანამდებობა სდომებიათ. ეს თანამდებობა, არც მეტი, არც ნაკლები, თბილისის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის პოსტია. ამ კომისიის თავმჯდომარის პოსტი საკმაოდ მნიშვნელოვანია და მასზე წინასწარ ბევრს უჭირავს თვალი.

როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, თბილისის საკრებულოში ამ კომისიის თავმჯდომარის სავარძელი კონსერვატორების ერთ-ერთ ლიდერს, კახა კუკავას, სურს ჩაიბაროს.

თვითმმართველობის არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა და არც საკრებულო დაკომპლექტებულა, ამიტომ, ვის რა თანამდებობის დაკავება სურს, ეს მხოლოდ ვარაუდია და მეტი არაფერი.

ოპოზიცია წინასაარჩევნო აქტიურობას იანვარში დაიწყებს. მანამდე, ოპოზიცია პასიურ მდგომარეობაშია. ცოტა ხანში ისიც გაირკვევა, თუ ვინ ჩაატარებს ახალ არჩევნებს.

ცესკოს ახალი თავმჯდომარის შესახებ მართალია ჯერ ოფიციალური ინფორმაცია არ ვრცელდება, თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ ცესკოს მომავალი თავმჯდომარე კოკი იონათამიშვილი იქნება.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა-ახალი ინიციატივის" ყოფილი ხელმძღვანელი კოკი იონათამიშვილი თანამდებობიდან გადადგა და ამ ორგანიზაციას ახალი თავმჯდომარე ჰყავს.

კოკი იონათამიშვილი ამბობს, რომ თანამდებობიდან წასვლა იმ მიზეზით გადაწყვიტა, რომ ამ სფეროში საკუთარი თავი ამოწურა. ასეთი განცხადების შემდეგ, გამორიცხული არ არის, რომ ცესკოს ახალი თავმჯდომარე სწორედ „ახალი თაობა — ახალი ინიციატივის" ყოფილი თავმჯდომარე გახდეს.

# სანაკოევის ჩამოყვანა დიდი შეცდომა იყო

## ხელისუფლებას ცხინვალში დატყვევებული მოზარდების გათავისუფლება არ აწყობდა

**ინტერვიუ პოლიტილოგ პაატა ზაქარეიშვილთან**

შორენა კოწოწაშვილი



***— ბატონო პაატა, როგორ შეაფასებდით ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებს, რომლებიც ტირძნისელი ბავშვების გათავისუფლების შემდგომ გაკეთდა?***

— ხელისუფლებას არ აწყობდა ამ ბავშვების გათავისუფლება, მას აწყობდა ამ ბავშვების გათავისუფლებაზე ლაპარაკი. ეს ამ ხელისუფლებას პირველად არ გაუკეთებია, ამიტომ აქ ახალი არაფერია. ეს ჩვენ ჯერ კიდევ 2007 წლის გაზაფხულზე დავინახეთ, როცა გალის რაიონში სამი სტუდენტი იყო დაპატიმრებული. მაშინაც ასეთი სიტუაცია იყო. ხელისუფლება არაფერს აკეთებდა მათ გასათავისუფლებლად. არ მიდიოდა მოლაპარაკებებზე და ყველაფერს აკეთებდა, რათა შეექმნა საერთაშორისო განწყობა. მაშინ, სხვათა შორის, რუსებს ოკუპანტებს ჯერ კიდევ არ ეძახდნენ. მხოლოდ იმას გაიძახოდნენ, რა მძიმე მდგომარეობაა გალის რაიონში და ა.შ. იგივე ხდებოდა ახლაც. ჰამერბერგი არის მართლაც გმირი. რომ არა ჰამერბერგი, ბავშვები ვერ გათავისუფლდებოდნენ. მან შეძლო ძალისხმევა განეხორციელებინა ქართულ მხარეზე. იმიტომ, რომ ქართულმა მხარემ უსინდისო, უპრეცედენტო რამ გააკეთა: დამალა 5 ეთნიკურად ოსი პირი, ტყვე. ეს ხალხი პოლიციის შენობაში დამალა. ამბობდა, რომ ეს ადამიანები დაპატიმრებული არ ჰყავდა. ჰამერბერმა ეს ფაქტი გამოავლინა და წაართვა ქართულ მხარეს ეს 5 ეთნიკურად ოსი ადამიანი და წაიყვანა ცხინვალში 3 დეკემბერს და ამით დაიწყო და მკვდარი წერტილიდან დაიძრა ამ ბავშვების გათავისუფლებაზე ლაპარაკი. რომ არა ჰამერბერგის უპრეცედენტო საერთაშორისო ზემოქმედება ქართულ მხარეზე, დღესაც ოთხივე ტირძნისელი ბავშვი ცხინვალში იქნებოდა. ქართულ მხარეს ამის დამალვა უნდა. მას არ უნდა წარმოჩინოს თავისი მანკიერი, არაადამიანური და ანისახელმწიფოებრივი სახე, რომ ჩუმად მალავდა 5 ეთნიკურად ოს პირს.

***— რაზე მიანიშნებთ, რომ რეალურად კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველი ბავშვების გათავისუფლების ხელისშემშლელი ფაქტორები ქართული მხრიდან იყო?***

— რა თქმა უნდა. მივანიშნებ კი არა, ზუსტად ასე იყო. რომ არა ჰამერბერგის ვაჟკაცობა და ღირსეული ქცევები და ზეწოლა ქართულ მხარეზე, ალბათ ასეთი შედეგი არ იქნებოდა. არ ვიცი, მე პირადად მოლაპარაკების პროცესში არ ვყოფილვარ და არ გამოვრიცხავ, შეიძლება სერიოზული ზემოქმედებაც მოეხდინა, მაგრამ ფაქტია, რომ ჰამერბერგმა ეს 5 ადამიანი წაართვა ქართულ მხარეს; წაიყვანა ცხინვალში 3 დეკემბერს, დილით და იმავე დღეს დღისით ჩატარდა ის ე.წ. სასამართლო პროცესი, სადაც გაათავისუფლეს ორი ბავშვი. მერე თქვეს, აი, ამბობდნენ ქართველები ოს პატიმრებს არ ვმალავთო და რადგან ესენი გადმოგვცეს, ხომ შეიძლება სხვებსაც მალავდნენო. ამიტომ ამ ორი ბავშვის გამოშვება შეაყოვნეს. ვფიქრობ, ჩემი ცხინვალში ჩასვლა საჭირო იყო, რათა დამერწმუნებინა ოსი საზოგადოება იმაში, რომ მათი ტკივილი მესმოდა. მეც უკვე აღარ ვარ დარწმუნებული, რომ არ მალავს ეს ხელისუფლებას ეთნიკურად ოს პირებს. ეს მანკიერი პრეცედენტი შექმნეს და დადასტურდა, რომ სააკაშვილის რეჟიმი 5 ეთნიკურად ოს ადამიანს მალავდა. შეიძლება სხვებსაც მალავდნენ. ამ ფონზე მე შევპირდი, რომ როგორც კი დანარჩენ ორ ბავშვს გაათავისუფლებთ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თქვენი პრობლემები არ დაიკარგოს და ქართული პრესის მეშვეობით მუდმივად შევახსენებთ ქართველ საზოგადოებას, რომ ქართული მხარე ვალშია ოსების წინაშე. არ იძლევა რა ინფორმაციას დანარჩენ დაკარგულებზე, რომელიც შეიძლება ისევე ჰყავდეთ დამალული, როგორც იმ დანარჩენ ხუთს მალავდა. ამ ყველაფერში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ 99% ჰამერბერგმა გააკეთა. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. იმ 1%-ში ჩვენ დავეხმარეთ ჰამერბერგს, რათა მას მძიმე საუბარი არ ჰქონოდა მშობლებთან. მშობლებს ვთხოვეთ, რომ თქვენს ტკივილებს ნუ აურევთ და ნუ გახდებით ორი ბავშვის მძევლობაში აყვანის მიზეზი.

***— თქვენი ცხინვალში შესვლის შემდგომ ხელისუფლებამ საკითხი ასე დასვა: რატომ მაინცდამაინც თქვენთვის და როგორ გაიხსნა ცხინვალში შესასვლელი გზა. ისეთი მინიშნებები გაკეთდა, თითქოს ხელისუფლება თქვენთვის მოღალატის იარლიყის მოწებებას ცდილობდა...***

— ეს მათი პრობლემაა. უსაქმურმა ადამიანმა, რაღაცით ხომ უნდა გაამართლოს, თვითონ რატომ არ გააკეთა ის, რაც ჰამერბერგმა და ჩვენ გავაკეთეთ. ამ უსაქმურებმა და მუქთახორებმა კონსტიტუცია მაინც წაიკითხონ. კონსტიტუციაში, კერძოდ, მეორე თავში პირდაპირ წერია, პაატა ზაქარეიშვილს უფლება აქვს წავიდეს ცხინვალში. ეს ტექსტი კარგად წაიკითხონ.

***— რეალურად ხელისუფლებას გაუკვირდა თქვენი ცხინვალში შესვლა თუ უფრო ეწყინა?***

— რა თქმა უნდა, ეწყინა. გაბრაზდა. ჩვენს ხელისუფლებას ხომ რეალობის შეცვლა არ შეუძლია. მას შეუძლია რეალობასთან ჩხუბი. ის ეჩხუბება რეალობას.

***— ის გარემოება, რაზეც თქვენ საუბრობთ, იმის მანიშნებელია, რომ გარკვეულწილად საქართველოს ხელისუფლება თავისი ქმედებით აფხაზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარებასაც უწყობს ხელს?***

— რა თქმა უნდა. ჩვენი ხელისუფლება არ ცნობს რა მათ, ამით ცნობს მათ. ანუ არა აქვთ რა კონტაქტი მათთან, ამით ის კიდევ უფრო ხელს უწყობს მათზე რუსეთის გავლენის გაფართოებას და გაძლიერებას. დამოუკიდებლობის აღიარება ხდება მხოლოდ დამოუკიდებლობის აქტით. ჩვენი მხრიდან ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარების ხელშეწყობა არის სასაცილო და ზედაპირული.

***— ბატონო პაატა, შეგიძლიათ თქვათ, რომ ომის შემდგომ ქართველ და ოს ხალხს შორის დღესაც შესაძლებლია ნორმალური ურთიერთობის აღდგენა?***

— მე ეს ურთიერთობა არც დამიკარგავს. ურთიერთობა გაწყვეტილი აქვს საქართველოს ხელისუფლებას, თორემ ხალხებს შორის ურთიერთობა არ გაწყვეტილა. ჩვენი ხელისუფლება უშლის ხელს ხალხებს შორის ურთიერთობას ასეთი აღვირახსნილი ბაკქანალიით, რაც ახლა განახორციელეს სამი საქართველოს მოქალაქის მიერ ცხინვალში შესვლის გამო.

***— რა მდგომარეობაშია ცხინვალი, სერიოზულად არის დანგრეული?***

— მართლა, ცხინვალში რომ დადიხარ, საშინელებაა. ჩვენ აბსოლუტურად სამართლიანად გამოვთქვამთ გულისტკივილს იმასთან დაკავშირებით, რაც გორში მოხდა. გორში მომხდარი ნგრევები არც კი შეიძლება შეადარო ცხინვალის ნგრევებს. გორში განხორციელებული ნგრევები არის 5% იმ ნგრევებისა, რაც ქართულმა მხარემ ცხინვალში განახორციელა.

***— ქართული მხარის სისასტიკეზე საუბრობდა თქვენთან ცხინვალის მოსახლეობა?***

— რა თქმა უნდა, ქართული მხარის სისასტიკესა და რუსული მხარის კეთილშობილებაზე საუბრობენ. ისინი მადლიერებას გამოხატავენ რუსების მიმართ. ამბობენ, რომ რუსებმა დაიცვეს ქართველების აგრესიისგან ოსი მოსახლეობა. ცალსახად ასე საუბრობს ყველა. ეს რეალობაა, რომელსაც ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ, კი არ უნდა ვეჩხუბოთ. ჩვენ ეს პოზიცია ნელ-ნელა უნდა შევცვალოთ იმით, რომ ამის შემდეგ მაინც აღარ იყოს ჩვენგან აგრესია, რომ ამ ხალხს დავავიწყოთ აგრესია და ის ტკივილი, რაც განხორციელდა 2008 წლის აგვისტოში.

***— თქვენ ტელეეთერში მანქანების სასაფლაო ახსენეთ. მართლა ცოცხლად გადაუარეს ამ ადამიანებს და მანქანებში ასე ჩახოცეს?***

— ეს არის ცხინვალიდან გასასვლელში, ზარის გზა ჰქვია. ეს არის შემოვლითი გზა. მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა 2006 წლის ნოემბრში ჩაუკეტა ოსებს მიმოსვლის გზა, რაც 1992 წლიდან მოყოლებული ყოველთვის ღია იყო ცხინვალში გამავალი გზა ქართული სოფლებზე, ყველაფერი შეიცვალა. ანუ 1992 წლიდან მოყოლებული პირველად სააკაშვილმა ააშენა ბერლინის კედელი საქართველოს ტერიტორიაზე, ჩასვარა დიმიტრი სანაკოევი ქურთაში. ამით ცხინვალსა და ჯავას შორის ამ ბერლინის კედლით განწყვიტა კონტაქტი როგორც ოსებს და ოსებს შორის, ისე ქართველებსა და ოსებს შორის. მაშინ გააკეთეს ოსებმა შემოვლითი გზა, რომელსაც ე.წ. ზარის გზა ჰქვია. როცა ცხინვალზე შეტევა დაიწყო, ქართულმა მხარემ შეტევა განახორციელა უკანა მხრიდანაც. ოსები გარბოდნენ ცხინვალიდან ზარის გზით ვლადიკავკაზში. ქართველებმა იქედან დაუწყეს დაბომბვა და რამდენიმე ათეული მანქანა დაწვეს მშვიდობიანი მოქალაქეების. ამ მანქანებისგან არის შექმნილი ეს სასაფლაო, მემორიალი. ამის სურათებიც არსებობს არა მარტო მანქანების, არამედ შიგ ჩარჩენილი ადამიანების, ბავშვების. სააკაშვილი რომ ამბობს, არც ერთი ბავშვი და ქალი არ მომკვდარა ომის დროს, უსინდისოდ იტყუება.

***— არასწორი ინფორმაცია გავრცელდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, რომ სროლები ცხინვალში მას შემდეგ დაიწყო, რაც ცხინვალის ევაკუაცია მოხდა?***

— ევაკუაცია მოხდა, მაგრამ ყველა ხომ არ გასულა?! ევაკუაცია მოხდა ძირითადად ცხინვალის გარშემო სოფლებიდან. ამიტომ ეს სოფლები ქართულმა მხარემ ძალიან იოლად აიღო. ქართულმა მხარემ, მე მგონი, ევაკუაცია ჩათვალა რუსეთის მხარდაჭერად, შემოდით ბიჭებო. ანუ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ევაკუაცია ქართველებისთვის კეთდებოდა. იმიტომ, რომ მათ ძალიან იოლად აიღეს ის სოფლები, რომელიც ცხინვალის გარშემო იყო. თვით ცხინვალიდან ფაქტობრივად ევაკუაცია არ ყოფილა. ცხინვალში დარჩენილი იყო ძალიან ბევრი ქალი და ბავშვი. ამ ევაკუაციაზე რომ ლაპარაკობენ, სხვათა შორის, ევაკუაცია მოხდა ცხინვალის გარშემო სოფლებიდან ცხინვალში. ანუ ბევრი ადამიანი ცხინვალში გადავიდა. რა თქმა უნდა, უმრავლესობა წავიდა ავტობუსებით ვლადიკავკაზში. ეს იყო რუსული პიარკამპანიის ნაწილი.

***— დღევანდელი გადასახედიდან, როგორ ფიქრობთ, სწორად გააცნობიერა სააკაშვილის ხელისუფლებამ აგვისტოს ომის შედეგები და გადაიდგა თუ არა ხელისფლების მხრიდან დადებითი ნაბიჯები იგივე საერთაშორისო დონეზე?***

— არა, პირიქით. ვარდნა გრძელდება. სანამ უფსკრულში არ გადავარდება ადამიანი, არ გაჩერდება. ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება კატასტროფული სიჩქარით. ვიდრე სააკაშვილი ხელისუფლებაშია, ეს ვარდნა გრძელდება. რომელი ნაბიჯი უნდა გადადგას სააკაშვილმა დადებითი კუთხით, როცა ჯერ კიდევ აგრესიაზე ლაპარაკობს; ჯერ კიდევ მუქარის ენით ლაპარაკობს. სააკაშვილი ახლაც მხოლოდ რუსეთის პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობს. თავისთავზე და ქართულ მხარეზე კი არაფერს ლაპარაკობს. ქართულ-რუსულ პასუხისმგებლობას თუ გავანაწილებთ, მე მგონია, რომ 60% ქართულ მხარეზეა, 40% — რუსულ მხარეზე. ქართული მხარე სწორად იქცეოდა 2006 წლის ზაფხულამდე. კოდორის მოვლენებამდე ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. სანაკოევის არჩევნებამდე ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. სააკაშვილს ეჩქარებოდა. არჩევნებისთვის წარმატება სჭირდებოდა. ამიტომ ყველაფერი ეს დაასამარა. ტრაგედია ამაშია. 2005-2006 წლები იყო ბრწყინვალე პერიოდი სამშვიდობო პროცესის წარმოების 15 წლიან პერიოდში, მაგრამ ამათ რატომღაც იჩქარეს. 2006 წლიდან კი ომისკენ სვლა დავიწყეთ. რუსეთმა კარგად გათვალა და 2008 წლისთვის ხაფანგი დაგვიგო ცხინვალში, რასაც ჩვენ დიდი წარმატებით წამოვეგეთ. დღეს ხელისუფლება არის გამწარებული, დაბოლმილი, ყველაფერში ცუდს ხედავს და ვერ გამოდის ამ მდგომარეობიდან. ჩაკეტა საზღვრები.

# მოსკოვში ჯემალ გოგიტიძე გარდაიცვალა

**ხელისუფლებას შეუძლია მშვიდად იყოს. ოპოზიციას კიდევ ერთი „დამფინანსებელი“ მოუკვდა. 20-21 დეკემბრის ღამით გულის შეტევით მოსკოვში ჯემალ გოგიტიძე გარდაიცვალა. ყოფილი დეპუტატი და აჭარის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის მოსკოვში აჭარის რევოლუციის შემდეგ გადავიდა.**

თეა მარხვაი ე

სამშობლოდან გადახვეწის შემდეგ გოგიტიძე ერთი პერიოდი არსად არ ჩანდა. შემდეგ ის პარტია „სამართლიანობის“ რიგებში აღმოჩნდა. ამ პარტიის ლიდერი ყველასთვის ნაცნობი იგორ გიორგაძე გახლავთ. გოგიტიძის ამ გადაწყვეტილებას თბილისში დიდი რეზონანსი მოჰყვა. ნაციონალება ვერსიას ვერსიაზე იგონებდნენ.

ვერსიების მოგონება მათ მიერ არის მოგონილი და ცოტა ხნის წინაც განავითარეს ახალი ვერსია. ხელისუფლების მტკიცებით ცოტა ხნის წინ ჯემალ გოგიტიძემ ქართულ ოპოზიციას 1 მილიონი დოლარი გადმოურიცხა. ეს ინფორმაცია ოპოზიციამაც უარყო და აწ უკვე გარდაცვლილმა ჯემალ გოგიტიძემაც. მაგრამ ნაციონალები ისევ თავისას ამტკიცებდნენ.

მათი მტკიცებით, გოგიტიძეს რუსეთში სერიოზული ბიზნესი ჰქონდა. სერიოზული ბიზნესის მქონე ადამიანი მოსკოვში სახლს იყიდდა, გოგიტიძეს კი ახლობლებთან ცხოვრობდა. ამის გარდა ის რუს სამართალდამცავებს უჩიოდა სასამართლოში.

რამდენიმე თვის წინ ავტოავარიის შედეგად მისი ძმა დაიღუპა. დამნაშავე მძღოლი სამართალდამცავებმა დააკავეს. პატიმრობაში მან ძალიან ცოტა ხანი გაატარა. ციხიდან ის ქრთამის გადახდის წყალობით გამოუშვეს. გოგიტიძე სწორედ ამ ამბის გამოძიებას ითხოვდა.

მას სკანდალური პოლიტიკოსის იმიჯი ჰქონდა შექმნილი და მკვეთრი განცხადებებით გამოირჩეოდა. შევარდნაძეს მაშინ დაუპირისპირდა, როცა ნაცელიტა, სააკაშვილის მეთაურობით, მის მზეს ფიცულობდა. ხოლო როცა ნაციონალებმა მისი გადაგომა მოითხოვეს, გოგიტიძე შევარდნაძის მხარდამჭერ აქციებს ხელმძღვანელობდა, ეს აქციები პარლამენტის შენობის წინ იმართებოდა.

თავისი მკვეთრი განცხადებებით ის მოქკავშირლებს ნერვებს ძალიან უშლიდა. ენაკვიმატობითაც გამოირჩეოდა და რამდენიმე ორიგინალური შეფასების ავტორიც იყო. ის ერთ-ერთი პირველი გახლდათ, ვინც იწინასწარმეტყველა, რომ შევარდნაძე ტახტს სააკაშვილს გადააბარებდა.

იმ პერიოდში ქართველობა აღფრთოვანებას ვერ მალავდა სააკაშვილის მკვეთრი გამოსვლების გამო. ალბათ, ყველას გემახსოვრებათ, როგორ მივარდა ის მთავრობის სხდომაზე და შევარდნაძეს რიგ ჩინოვნიკებზე უთხრა, ეს ნაგავი აქედან გაიტანეო. ეს ამბავი ქართველების ნაწილმა უდიდეს გმირობად შეაფასა. ამ ფაქტს მაშინ გოგიტიძემაც მისცა შეფასება. „ახალ თაობასთან“ საუბარში მან ასეთი რამე განაცხადა — „სააკაშვილი კონტროლირებადი „ბეზპრედელია“, ის შევარდნაძის მიერ იმართება და აგერ ნახავთ, თუ მას არ მოიყვანს საქართველოს პრეზიდენტადო“.

მოქკავშირლებთან და შემდგომში პარტიის ნაწილაკებთან უთანხმოება მას ძირითადად ასლან აბაშიძის გამო მოსდიოდა ხოლმე. აჭარის ლომს ის თავგამოდებით იცავდა და ზოგიერთისგან განსხვავებით მისთვის ზურგის შესაქცევად საჭირო დრო არ შეურჩევია.

აჭარის შს მინისტრი სანამ გახდებოდა, ორი მოწვევის პარლამენტის დეპუტატი იყო. მას ჰქონდა შანსი, მესამედაც შესულიყო პარლამენტში... 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ის ბათუმის მაჟორიტარად აირჩიეს.

ბათუმის მაჟორიტარის რანგში მოუსწრო მას ვარდების რევოლუციამ. რევოლუციონერთა პირველი შემოტევა მან მოიგერია. პირველი იერიშის დროს რევოლუციონერებს მიხეილ მაჭავარიანი შემოუძღვა. გოგიტიძემ მას ისეთი სილა გაულაწუნა, შემოლაწუნების ხმამ რევოლუციონერთა ყვირილი ჩაახშო. პირველი ტალღა დარბაზში მყოფებმა იოლად მოიგერიეს. მეორე ცდაზე დარბაზის ოკუპაცია მოახდინეს. დეპუტატები იქიდან სულმოუთქმელად გაიქცნენ. ვარდოსნებთან გასამკვლავებლად მხოლოდ რამდენიმე დარჩა. ერთ-ერთი მათგანი ჯემალ გოგიტიძე იყო. „მშვიდობიანმა“ დემონსტრანტებმა მას თავი გაუტეხეს.

ამის შემდეგ მისი თბილისში გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა. გოგიტიძე მშობლიურ კუთხეში დაბრუნდა. აჭარის ლომმა მას შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი მისცა. ამის მიუხედავად მისთვის დეპუტატის უფლებამოსილება არ შეუწყვეტიათ. დეპუტატობაზე უარი მან მოგვიანებით განაცხადა.

როგორც ამბობენ, ნაციონალები მასთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ის ასლან აბაშიძეს ზურგს შეაქცევდა, ხელშეუხებლობის გარანტიის გარდა თანამდებობასაც სთავაზობდნენ. მან ნაციონალურ თანამდებობას ბათუმში დარჩენა ამჯობინა.

შს მინისტრს პოსტი მან 2004 წლის 5 მაისს დატოვა. იმ საღამოს ნაციონალები აჭარაში უპრობლემოდ შევიდნენ. არსებული ინფორმაციით აჭარის შს სამინისტროს ნაწილებს ნაციონალებისთვის წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ. მათთან ერთად წინააღმდეგობის გასაწევად მზად იყვნენ რუსული სამხედრო ნაწილები.

ყველას ეგონა, რომ საქმე შეტაკებამდე მივიდოდა. მოულოდნელად ჩოლოქის ხიდთან მდგარი პოლიციელები ადგილიდან მოხსნეს. როგორც შემდეგ გაირკვა, ამის ბრძანება ჯემალ გოგიტიძემ გასცა.

ამ გადაწყვეტილებისთვის ნაციონალები მაშინ გოგიტიძეს მადლობას უხდიდნენ და მზად იყვნენ, მისთვის კარგი თანამდებობა მიეცათ. გოგიტიძემ ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა და აჭარის ლომთან ერთად საქართველო დატოვა.

აჭარის ლომს მისთვის ეს ერთგულება არ დაუფასებია. როგორც ამბობენ, ის იმის გამო იყო ნაწყენი, გოგიტიძემ ჩოლოქთან რევოლუციონერებს „საკადრისი“ დახვედრა რომ არ მოუწყო.

საკადრისი დახვედრის მოწყობის შემთხვევაში იქ სისხლი აუცილებლად დაიღვრებოდა.

იქიდან მოყოლებული, გოგიტიძეს რუსეთში უწევდა ცხოვრება. რაღაც დროის განმავლობაში ის ხელისუფლებას საერთოდ არ უხსენებია. ის ცოტა ხნის წინ გაახსენდათ და გვიმტკიცებდნენ, ოპოზიციას ერთი მილიონი გადამოურიცხაო. ახლა ამ მხრივ შეუძლიათ მშვიდად იყვნენ.

# ბაღაფში თურქეთში მიდის

## თურქეთის ელჩს განმარტებების გაკეთება მოუწევს

ნათია ხურცილავა

**გავრცელებული ინფორმაციით, დეფაქტო აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში თურქეთში არაოფიციალური ვიზიტით ჩადის. აფხაზეთის სეპარატისტულ არჩევნებში გამარჯვებული ე.წ. პრეზიდენტი მოკრძალებულ ინაუგურაციას გეგმავს. ინაუგურაციის შემდეგ კი, როგორც პრეზიდენტი ოფიციალურ და არაოფიციალურ ვიზიტებს გეგმავს. პირველი, რატომღაც თურქეთი აღმოჩნდა. თურქეთი საქართველოს მეგობარ სახელმწიფოთა რიცხვში შედის და გაუგებარია, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონთან ასეთ ღია კონტაქტებზე რატომ მიდის.**

საქართველოს ხელისუფლება თურქეთის მიმართ ისევ დიპლომატიურ ტონს ინარჩუნებს.

არც ისე დიდი ხნის წინ, კიდევ ერთი სკანდალი, რომელიც აფხაზეთის აკვატორიაში მოხდა, თურქულ გემს უკავშირდებოდა. მაშინ თურქული ეკიპაჟი უკანონოდ შემოვიდა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, რასაც ქართველი მესაზღვრეების მხრიდან თურქული ეკიპაჟის დაკავება მოყვა. თურქი კაპიტნის გასათავისუფლებლად კი თბილისში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრიც ჩამოვიდა. მაშინ საქართველოს პრეზიდენტის და თურქეთის პრემიერ-მინისტრის დონეზე გადაწყდა თურქი კაპიტნის განთავისუფლების საკითხი. კულუარული ინფორმაციით, აღნიშნულმა ფაქტმა მაშინ სააკაშვილის დიდი განაწყენება და აღშფოთება გამოიწვია.

ახლა კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ სერგეი ბაღაფში „პრეზიდენტის“ რანგში თავის პირველ არაოფიციალურ ვიზიტს გამართავს თურქეთში და თურქეთის ოფიციალურ პირებს შეხვდება.



აღნიშნულ ფაქტს უკვე გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. სამინისტროში დაიბარეს თურქეთის ელჩი საქართველოში. თურქეთის ელჩმა აღნიშნული ინფორმაცია ან უნდა უარყოს, ან დაადასტუროს.

თურქეთს ოფიციალური განცხადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯერ არ გაუკეთებია. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ თურქეთის ელჩთან შეხვედრის შემდეგ განმარტებები გაკეთდეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციული ბრიფინგი გაიმართა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მთავარი საკითხი ბაღაფშის ვიზიტი იყო.

საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ მათ ეჭვი ეპარებათ, სერგეი ბაღაფშმა თურქეთის ოფიციალურ პირებთან შეხვედრები გამართოს.

— აქამდეც რამდენჯერმე გავრცელდა მსგავსი ინფორმაცია, თუმცა არასოდეს არ შეესაბამებოდა მსგავსი ინფორმაცია სიმართლეს. მიუხედავად ამისა, იმისთვის, რომ ჩვენ ყველა ზომა წინასწარ მივიღოთ და ჩვენი ოფიციალური პოზიცია კიდევ ერთხელ ცნობილი იყოს, თურქეთის ელჩს საქართველოში ვთხოვთ, რომ გვესტუმროს ამ საკითხთან დაკავშირებით და მათი პოზიცია გაგვაცნოს. უფრო სწორად, გაგვაცნოს, რა დგას ასეთი ინფორმაციის უკან. თუმცა, არ გამოვრიცხავთ, რომ სეპარატისტული რეგიონების წარმომადგენლები თავისი ინიციატივით ავრცელებდნენ ამ ინფორმაციას და რეალურად საერთოდ არ შეესაბამებოდეს სიმართლეს, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ნინო კალანდაძემ.

მეორე საკითხი, რაზეც საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ისაუბრა, საქართველოს უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტს ეხებოდა.

საქართველოს უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტი ოკუპირებულ რეგიონებში ჯერ ისევ განხილვის სტადიაშია. აღნიშნული დოკუმენტის პირველი განხილვა უკვე მოაწყო რეინტეგრაციის მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა ექსპერტებთან.

ნინო კალანდაძის განცხადებით, დოკუმენტის შემუშავებაში ექსპერტებმა, ოპოზიციის წარმომადგენლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ და დოკუმენტს შეჯერებული სახე უნდა ჰქონდეს.

— მნიშვნელოვანი არის, რომ დოკუმენტის შემუშავებაში ყველა მონაწილეობდეს და აქტიური წვლილი შეიტანოს ამ დოკუმენტის შექმნაში. მნიშვნელოვანია შინაარსი და არა ის, რა სისწრაფით დასრულდება ამ დოკუმენტზე მუშაობა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სხვადასხვა ჯგუფებთან იყო შეხვედრები, საუბარია რამდენიმე რაუნდზე. ორი შეხვედრა იყო როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ასევე რამდენიმე შეხვედრა გამართა სხვადასხვა ქვეყნის ელჩებთან, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტის განხილვას ე.წ. სახელისუფლო და არასახელისუფლო ექსპერტები ესწრებოდნენ. შეხვედრიდან გამოსული ექსპერტები, მიუხედავად მათი პოზიციების განსხვავებულობისა, თანხმდებიან, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ქვეყანას სტრატეგია უნდა ჰქონდეს. დოკუმენტში ექსპერტების შენიშვნები უკვე გაითვალისწინა რეინტეგრაციის სამინისტრომ.

სამინისტრომ ოპოზიციურ პარტიებსაც გაუგზავნა დოკუმენტი. როგორც იაკობაშვილი აცხადებს, მათი შენიშვნებიც იქნება გათვალისწინებული. თუმცა, ჯერჯერობით შენიშვნები არ გამოუთქვამს არასაპარლამენტო ოპოზიციის უმრავლეს ნაწილს.

ოკუპირებული ტერიტორიების უსაფრთხოების სტრატეგია უშიშროების საბჭოს სხდომაზეც იქნა განხილული. თუმცა, უშიშროების საბჭოს სხდომაზე, მიუხედავად იმისა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციაც იყო მიწვეული, მათი უმრავლესობა არ მისულა.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ნინო კალანდაძის, განცხადებით, კონსულტაციები მანამდე გაგრძელდება, სანამ დოკუმენტი საბოლოო სახეს არ მიიღებს.

დოკუმენტთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა უშიშროების საბჭოს მდივანმა ეკა ტყეშელაშვილმა.

ტყეშელაშვილის განცხადებით, პირველი შეხვედრა უკვე გაიმართა პრეზიდენტთან ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების სტრატეგიასთან დაკავშირებით.

— თანამშრომლობა გაგრძელდა იმ პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ პროცესში. ჩვენ განვიხილეთ კონკრეტული პროექტი ოკუპირებული ტერიტორიების სტრატეგიასთან მიმართებით, — განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც კალანდაძემ ისაუბრა, გიგა ბოკერიას ვიზიტია ვენაში. ბოკერიას ვენაში ეუთოს წარმომადგენლებთან ექნება შეხვედრა საქართველოში ეუთოს მისიის გაგრძელების პერსპექტივასთან დაკავშირებით.

# რუსეთში ქართული არმიის ისევ ეშინიათ?

## რამდენი ხალხი დაიკარგა რუსეთ-საქართველოს ომში

გერა მამულაშვილი

**რუსმა ექსპერტებმა გასული წლის აგვისტოს ომის შემაჯამებელი ახალი დოკუმენტი გამოაქვეყნეს. ნაშრომს „აგვისტოს ტანკები“ ჰქვია. სტატიათა კრებული პროსახელისუფლებო „სტრატეგიების და ანალიზის ცენტრმა“ გამოაქვეყნა.**

გასაკვირი არ არის, რომ ავტორები კიდევ ერთხელ ცდილობენ აგვისტოს ომის პროვოცირებაში ქართული მხარე დაადანაშაულონ. ამ მხრივ ისინი ოფიციალური კრემლის პოზიციას იმეორებენ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ რუსი ავტორების 145 გვერდიან კვლევით ნაშრომში პუტინ-მედვედევის ხელისუფლების მაკომპრომეტირებელი არაერთი გარემოება გამოიკვეთა.

— არ შეიძლება არ ვაღიაროთ რუსული საჯარისო შენაერთების ეფექტურობა სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, როდესაც რუსულმა არმიამ გორის და სენაკის სამხედრო ბაზები და სამხედრო ფლოტი გაანადგურა, — ამ სიტყვებით კვლევის ავტორები ღიად ამბობენ, რომ აგვისტოს ომის დროს რუსული სამხედრო შენაერთების ლოკალური წარმატება რუსეთის მიერ სამშვიდობო შეთანხმებების იგნორირებამ განაპირობა.

თუმცა ის, რომ კრემლი საერთაშორისო ხელშეკრულებებს არაფრად აგდებს და რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა სიცრუეზეა დაფუძნებული, ამას ქართველი ექსპერტებიც აღიარებენ.

რუსი ავტორების კვლევითი ნაშრომის დიდი ნაწილი ომის მიმდინარეობისას მხარეთა დანაკარგებს ეძღვნება. ნაშრომის გამომშვები ცენტრის დირექტორი საუბარში ადასტურებს, რომ საქართველოს სამთავრობო შენაერთების ადამიანური დანაკარგები კატასტროფული არ ყოფილა და ყოველ შემთხვევაში, არ შეესაბამება იმ ციფრებს, რაზეც რუსი მაღალჩინოსნები საუბრობენ.

მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ხელმძღვანელები „ქართული არმიის უპირობო დამარცხებაზე“ საუბრობდნენ, რუსული კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ ქართულმა არმიამ მოწინააღმდეგეზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ რუსული ჯარის საფუძვლიანი გარდაქმნის საკითხი წარმოიშვა.

— საქართველოსთან შეიარაღებულმა დაპირისპირებამ საფუძველი დაუდო რუსულ არმიაში რადიკალურ სამხედრო რეფორმას. რეფორმის მიზანია ჯარის იმგვარად გარდაქმნა, რომ მას ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სამხედრო ამოცანების წარმატებით შესრულება შეძლოს, — ნათქვამია ცენტრის დასკვნაში.

როგორც „აგვისტოს ტანკების“ ავტორები აღნიშნავენ, ქართულმა არმიამ ძირითადი მატერიალური დანარაკარგები განიცადა არა საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას, არამედ მას შემდეგ, რაც მისი სამხედრო ბაზები რუსულმა ჯარებმა დაიკავეს.

კვლევის ავტორები — მიხაილ ბარაბანოვი, ანტონ ლავროვი და ვიაჩესლავ ცელუიკო რუსეთსა და საქართველოს შორის „პირველი ოფიციალური შეიარაღებული კონფლიქტის“ დეტალებსაც დაწვრილებით განიხილავენ. ისინი ამტკიცებენ, რომ „რუსეთის და საქართველოს თავდაცვის სამინისტროები ამ ომის შესახებ სიმართლეს არ ამბობენ“.

„აგვისტოს ტანკები“ სამ ნაწილად არის დაყოფილი. პირველი ნაწილი ეძღვნება ქართული არმიის რეფორმირებას „ხუთდღიან ომამდე“. მეორე — ცენტრალური, სამხედრო მოქმედებების დაწვრილებითი ქრონიკაა. მესამე ნაწილში საუბარია „საქართველოში სამხედრო მშენებლობაზე ომში დამარცხების შემდეგ“. დამატებით მასალებში საუბარია მხარეების დანაკარგებზე და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსული სამხედრო ბაზების „კეთილმოწყობაზე“.

კვლევის ავტორები ამტკიცებენ, რომ „ქართულმა ხელმძღვანელობამ ოპერაცია „სუფთა ველის“ დაწყებაზე გადაწყვეტილება, როგორც მინიმუმ, 6 აგვისტოს მიიღო“, და არა 8 აგვისტოს, როკის გვირაბის გავლით სამხრეთ რუსული ჯარების შემოჭრის საპასუხოდ, როგორც ამას ოფიციალური თბილისი ამტკიცებს“.

ამავე დროს სტრატეგიული ცენტრის მტიცებით, „რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების (მე-19 მოტომსროლელი დივიზიის, 693-ე და 135-ე პოლკების საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფები) რესპუბლიკაში შეყვანა დაიწყო ორი საათის შემდეგ, რაც ქართული მხრიდან ცხინვალის მიმართულებით სროლა დაიწყო“.

საგულისხმოა, რომ კვლევის ავტორები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ მონაცემებს ეყრდნობიან და აცხადებენ, რომ „ჯარები სამხრეთ ოსეთში მხოლოდ 8 აგვისტოს დილით შევიდნენ“.

ამასთან, როგორც ტექსტში არის აღნიშნული, „მთელი ამ მოკლე საომარი კამპანიის მანძილზე რუსული ჯარების რიცხოვნობა ქართული ჯარების რიცხოვნობას არ აღემატებოდა“.

— აქტიური საბრძოლო მოქმედებების დროს ორივე მხრიდან ამოქმედებული იყო დაახლოებით 10 ათასი სამხედრო მოსამსახურე; ასე რომ, ექსპერტების აზრით, რუსეთის არანაირ რიცხობრივ უპირატესობაზე საუბარი არ შეიძლება იყოს, — წერს რუსული „კომერსანტი“.

აღნიშნული კვლევის შედეგად ამ ომში რუსი სამხედროების დანაკარგების არაოფიციალური სია შედგა, რაც თავდაცვის სამინისტროს მონაცემებს შეესაბამება (74 დაღუპული და 170-ზე მეტი დაჭრილი). როგორც რუსულ „კომერსანტს“ კრებულის ერთ-ერთმა ავტორმა მიხაილ ბარაბანოვმა განუცხადა, „გაოცებას იწვევს ის, რომ საქართველოსგან განსხვავებით, რუსეთმა დღემდე დანაკარგების ოფიციალური სია არ გამოაქვეყნა. აქ დასამალი და სამარცხვინო არაფერია“.

კრებულის მიხედვით, ქართულმა მხარემ დაკარგა 170 მოკლული და უგზო-უკვლოდ დაკარგული, ჰყავდა 1800-ზე მეტი დაჭრილი. „განადგურებულია არანაკლებ ათი ტანკი ტ-72, სამი სატრანსპორტო თვითმფრინავი ან-2 და ოთხი ვერტმფრენი (სამი მი-24 და მი-14ბტ), დანგრეულია საქართველოს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა“.

— საერთო ჯამში, რუსული ჯარების და ოსი „აპალჩენცების“ ხელში აღმოჩნდა 65 ქართული ტანკი, 20-ზე მეტი ჯავაშანტრანსპორტიორი, ორი „კობრას“ ტიპის ჯავშანმანქანა, 10-მდე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის დანადგარი, რამდენიმე ათეული ტყვიამფრქვევი და საარტილერიო დანადგარი, — წერია აღნიშნულ დასკვნაში.

ამასთან, როგორც „აგვისტოს ტანკების“ ავტორები აღნიშნავენ, „ქართულმა არმიამ ძირითადი მატერიალური დანაკარგები განიცადა არა სამხედრო მოქმედებების მსვლელობისას, არამედ მას შემდეგ, რაც მისი ბაზები რუსულმა ჯარებმა ხელში ჩაიგდეს“.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი კრებულის ავტორების თქმით, რუსული საბრძოლო ავიაციის დანაკარგებია. განსაკუთრებულ ყურადღებას კი ავიაგამანადგურებლების დანაკარგებზე აკეთებენ, მათ შორის „ტუ 22“ ტიპის გამანადგურებელზე, რომლის საბაზრო ღირებულება 400-დან 600 მილიონ დოლარამდე მერყეობს.

კვლევის თანახმად, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ექვსი საბრძოლო თვითმფრინავი დაკარგეს — სამი მოიერიშე (სუ-25სმ და ორი სუ-25ბმ), ორი საფრონტო ბომბდამშენი სუ-24მ და ერთი შორეული ზებგერითი ბომბდამშენი ტუ-22მზ.

„ამასთან სამი მათგანი (ორი სუ-25ბმ და სუ-24სმ) შეცდომით ჰაერსაწინააღმდეგო საკუთარი საშუალებებით იქნა ჩამოგდებული“. ვის მიერ იყო ჩამოგდებული მოიერიშე სუ-25სმ, რუს ექსპერტებს ამაზე პასუხის გაცემა უჭირთ. მათივე აზრით, ყველაფერი ისევ რუსულ ჯარებზე მიუთითებს. კიდევ ოთხი სუ-25 ძლიერ იყო დაზიანებული.

„სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდეგ ასევე ჩამოვარდა და დაიწვა ვერტმფრენი მი-8მტკო. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო დღემდე მხოლოდ ოთხი თვითმფრინავის (სამი სუ-25 და ტუ-22მზ) დანაკარგს აღიარებს. ქართული მხარე ამტკიცებს, რომ 21 რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდეს, — წერენ კვლევის ავტორები.

ორივე მხარის წყაროთა მიხედვით, ომისას ქართული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის ეფექტურობა დადასტურდა. კვლევის ავტორები აცხადებენ, რომ რუსეთის ხელისუფლება საქართველოზე თავდასხმას არ გეგმავდა, თუმცა ამავდროულად იმავე მასალებში ჩანს, რომ რუსული სამხედრო სწავლებების დროს ვირტუალურ მოწინააღმდეგედ სწორედ ქართული მხარე განიხილებოდა.

რუსული ნაშრომის დასკვნითი ნაწილი ქართული ჯარის აგვისტოს ომის შემდგომ გაძლიერებას და აღჭურვას ეძღვნება. რუსი ექსპერტები მიუთითებენ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ომის შემდეგ იმდენად გაძლიერებულნი არიან, რომ „რუსეთის ნაციონალურ ინტერესებს პირდაპირ საფრთხეს უქმნიან“. ამასთან, რაღა გასაკვირია და ყველაზე დიდ საფრთხეს ისინი საქართველოს ნატოში ინტეგრაციაში ხედავენ და მიიჩნევენ, რომ რუსეთის ხელისუფლებამ შემდგომშიც უნდა გააძლიეროს ნატოს გაფართოების საწინააღმდეგო კამპანია.

საქართველოს და უკრაინის ნატოში ინტეგრაციის პროცესი მოსკოვს ძლიერ აშფოთებს და კრემლში ასეთ განწყობილებას არც მალავენ. ნატოში რუსეთის წარმომადგენელმა დმიტრი როგოზინმა გუშინ თანამემამულეები კიდევ ერთხელ დაამშვიდა, რომ საქართველო და უკრაინა „კიდევ დიდხანს ვერ ეღირსებიან“ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობას. მართალია, ნატოს მაღალჩინოსნები მუდმივად იმეორებენ, რომ არავის აქვს უფლება, ვეტო დაადოს ალიანსის გადაწყვეტილებებს, ფაქტია, რომ ევროპული პოლიტიკის წამყვანი მოთამაშეები კრემლის პოზიციას ანგარიშს უწევენ.

დასავლეთის პოზიციების სრული იგნორირება წარმოჩინდა გასული წლის აგვისტოს ინტერვენციისას და ომის შემდგომაც, როდესაც მოსკოვმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ გამოაცხადა. სარკოზი-მედვედევის დოკუმენტის მოთხოვნები სრულიად იგნორირებულია და საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციას ბოლო არ უჩანს. ამიტომ მსოფლიო „აგვისტოს ტანკებზე“ მორიგი შემაჯამებელი ანგარიშების მოსმენით არ უნდა შემოიფარგლოს და ქართული მიწებიდან მათ გასაყვანად ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას.

# პროვოკაციები ოსებს და ქართველებს ერთნაირად აწყობთ

შორენა გონგლა ე

**რეინტეგრაციის სამინისტროს ინიციატივით, ახალი კონცეფცია მუშავდება, რომელიც კონფლიქტების მოგვარების საქმეში საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება. თუ ექსპერტთა დიდი ნაწილი იაკობაშვილისეული რევოლუციური კონცეფციის იდეას გაბრწყინებული თვალებით შეხვდა, პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი, როგორც მის წინამორბედ კონცეფციებს, ამ სიახლესაც საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს და აცხადებს, რომ კონფლიქტების მინისტრის მორიგი იდეა უსაქმური კაცის მდგომარეობით არის გამოწვეული.**

***— ბატონო ჰამლეტ, ახალი კონცეფციის იდეას როგორ უყურებთ, იქნება რაიმე სასიკეთო?***

— ამას უკვე აღარაფერი ეშველება, აღარც რეინტეგრაციის სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი და აღარც სააკაშვილის კეთილი ნება. ჯერ ერთი, რეინტეგრაციის სამინისტრო ამას იმიტომ აკეთებს, რომ უსაქმოდ არის დარჩენილი და მოგეხსენებათ, იაკობაშვილს საკმაოდ ეშმაკური გონება აქვს და ამით უნდა, ხალხს მტვერი შეაყაროს თვალებში, თითქოს ეს სამინისტრო რაღაცით არის დაკავებული. თვითონ იაკობაშვილი ენაგადმოვარდნილი რომ ამტკიცებდა იმას, თუ რა აუცილებელი იყო ცხინვალში შეჭრა, მაშინ არ ფიქრობდა იმას, რომ ეს ქვეყანა უკვე დანგრევის პირას იყო მისული? არავითარი კონცეფცია არ გამოასწორებს მდგომარეობას, მით უმეტეს, დღეს, როდესაც ერთმა უკვე ჩაატარა არჩევნები. ჩვენ ახლა რამდენიც გვინდა, ვიძახოთ ე.წ. მინისტრი, ე.წ. პრეზიდენტი, ე.წ. არჩევნები და ასე შემდეგ, ამით აბსოლუტურად არაფერი არ გამოვა. ერთმა პატარა ქვეყანამ კიდევ აღიარა, გავა დრო, სხვებიც აღიარებენ და ა.შ. რა უშველის ახლა ამ საქმეს, ის, რომ იაკობაშვილი რაღაცას ისეთს შეიმუშავებს, რომელიც მოხიბლავს სოხუმს და ცხინვალს? ეს არის გამორიცხული. იაკობაშვილს ამის სურვილი რომ ჰქონოდა, თავის დროზე შეიმუშავებდა და არა მარტო იაკობაშვილს, ამ ხელისუფლებასაც, როდესაც 2004 წელს მოვიდნენ ქვეყნის სათავეში. მაშინ ამათ სურვილი ჰქონდათ, ძალისმიერი გზით დაეპყროთ განდეგილი ავტონომიები. მაშინ ამის ნაბიჯებიც გადაიდგა, 2004 წელს, როდესაც ცხინვალში აპირებდნენ შევარდნას და დააჩოქეს კიდევაც. ამის მაგალითი იყო სულელი ოქრუაშვილის განცხადებები, რომ რუსეთს თურმე დაჟანგული ტანკები აქვს, ამის მაუწყებელი იყო ის, რასაც სააკაშვილი დაბეჯითებით ამბობდა, რომ ჩვენ აუცილებლად შევალთ აფხაზეთში. ამ ტრაგედიის მაუწყებელი იყო ის, რომ გაეროს რეზოლუციების მიუხედავად, ჩვენ შევვარდით კოდორში ჯარით და გამოვაცხადეთ, რომ ეს არის ზემო აფხაზეთი. მაშინ იაკობაშვილი მინისტრი არ ყოფილა, მაგრამ ენაგადმოვარდნილი ყოველთვის გამოდიოდა ამ ხელისუფლების დასაცავად და მისი განცხადებები იყო ასეთი, რომ გაერომ და უშიშროების საბჭომ რაც უნდა, ის მიიღოს, წერონ და იკითხონ. როგორ დამთავრდა ეს ყველაფერი, ჩვენი სულელური ქმედებებიდან გამომდინარე, ძალიან ტრაგიკულად, რა უშველის ამას, იაკობაშვილის მიერ შეთხზული პასკვილი, რომელიც არავის აინტერესებს, თუ ეს იმისთვის არის, რომ ჩვენ გული მოვიფხანოთ და გავაგრძელოთ ჩვენი ტრაგიკული ცხოვრება?

***— ოსური მხარის გამუდმებულ პროვოკაციებზე რას იტყვით?***

— ეს გამუდმებული პროვოკაციები როგორც ოსების, ისე ქართველების მხრიდან იქნება, ვიდრე არ იქნება სერიოზული მოლაპარაკება, ვიდრე ქართველი მიზანშეწონილად არ ჩათვლის, რომ ოსთან და აფხაზეთთან უნდა დაილაპარკოს. ოცი წლის განმავლობაში ქართველს ფეხებზე ეკიდა ოსთან და აფხაზეთთან დალაპარაკება. თავს არ ვუყადრებდით და რატომღაც რუსს ვთხოვდით, რომ ისინი უკან დაებრუნებინა. ეს იყო დამღუპველი პოლიტიკა. ორივე ხელისუფლებამ დიდი წვლილი შეიტანა ამ ქვეყნის დაქცევაში; ახლა როგორ გამოსწორდება ეს ვითარება, როგორ შეიძლება შეჩერდეს ის პროვოკაციები, რასაც აქვს ადგილი ამ ე.წ. საზღვართან, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან, კაციშვილმა არ იცის. ამის გამოსწორებას არ ცდილობს უპირველეს ყოვლისა საქართველო. საქართველოს ხელისუფლებამ წერტილი უნდა დაუსვას რუსეთის გინებას. ამ ხელისუფლებამ უნდა გამოძებნოს საერთო ენა მოსკოვთან, თუკი მოსკოვი ცხადია, დასთანხმდება ამას. მოსკოვი თანახმაა, ხალხთან ურთიერთობისა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის თანახმა სააკაშვილთან ერთიერთობის. მოსკოვს უნდა, რომ ურთიერთობა გაუმჯობესდეს ქართველ ხალხთან, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა ურთიერთობები აქვს საქართველოს ხელისუფლებას. დღე არ გავა, რომ უკანასკნელი სიტყვებით არ ლანძღოს და აგინოს, საქართველოს პირველი პირით დაწყებული, დამთავრებული ჟურნალისტის დონეზე. თავს ლაფს ვასხამთ რუსეთს, ვაგინებთ და ამ დროს ეს ყველაფერი ჩვენ გვიბრუნდება ბუმერანგივით. ჩვენ ვერ ვგრძნობთ იმას, რომ რუსეთთან ჭიდაობა წარმოუდგენლად ძნელია. ჩვენ ხომ ქვეყანა არა ვართ, ჩვენ ვართ არშემდგარი რაღაც ფორმირება, რომელიც თავს უწოდებს დამოუკიდებელს, მაგრამ რა დამოუკიდებელი ვართ, ყველამ ხომ კარგად ვიცით, რომ ჩვენ ერთ პატარა ჭანჭიკზე, ერთ პატარა ამერიკელ ინსტრუქტორზე ვართ დამოკიდებული და ქვეყანა, რომელსაც პატარა ჭანჭიკები მართავენ ვაშინგტონიდან, არ ჩაითვლება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. აქედან გამომდინარე, თუკი ძირფესვიანად არ შეიცვლება ქართული პოლიტიკა, თუკი არ შეიცვლება ჩვენი მიდგომა საკითხებისადმი, თუკი ჩვენ ვერ გავაანალიზებთ, რა ხდება დღეს, ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქვს,



რა ურთიერთობები ყალიბდება ამერიკა-რუსეთს შორის. ამ დროს ენაგადმოვარდნილი ვლანძღავთ რუსეთს, ამერიკა კი მათთან შესანიშნავ ურთიერთობას ამყარებს. ჩამოვიდა ნატოს გენერალური მდივანი მოსკოვში და მოსკოვს ეხვეწებოდა, რომ მოსკოვმა გაუწიოს დახმარება ავღანეთს, ანუ იგივე ნატოს, ვერტმფრენებით მიაწოდოს ნატოს და ამერიკის ჯარებს საწვავი და ა.შ. ამის შემდეგ, კაცი ბრმა უნდა იყოს, რომ გამოვიდეს და თქვას, რომ ჩვენ ნატოში მიგვიღებენ, არ მიგვიღებენ იმიტომ, რომ ნატოს ჩვენ თვითონ დავუსვით წერტილი და მეორეც, დამოკიდებულება ნატოსა და მოსკოვს შორის, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია როგორც ამერიკისთვის, ისე ნატოსთვის. ეს თქვა ნატოს გენერალურმა მდივანმა რამდენიმე დღის წინ განხორციელებული ვიზიტისას მოსკოვში. საქართველოს ნატოში შეტენვის გეგმა დასამარდა. ეს იყო ბუშის გეგმა. დღეს კი საქართველოს ხელისუფლებას ჰგონია, რომ ამერიკის ადმინისტრაციაში ისევ ბუში ზის და მისი ამფსონები არიან. არა, ბატონებო, არ არის ასე. უნდა გამოიღვიძოს ამ ხელისუფლებამ. დღეს ამერიკის სათავეში არის ობამა, მისი აზრები დიამეტრალურად განსხვავდება გონებისგან დაცლილი ბუშის აზრებისგან. ეს არ იცის ჩვენმა ხელისუფლებამ, ვტლაცამ უნდა შეუძახოს, ხალხნო, გამოიღვიძეთ, დღეს ჩვენ სხვა პირობებში ვცხოვრობთო. მაგრამ ამ ხელისუფლებას არ აწყობს ეს გამოღვიძება იმიტომ, რომ გამოღვიძება ძირფესვიანად გარდაქმნას ნიშნავს. დღეს დასავლეთიც უკვე სხვანაირად გვიყურებს ტალიავინის კომისიის დასკვნის შემდეგ. როდესაც ძალიან რბილ ფორმებში, მაგრამ მაინც გამოაშკარავდა ის, რაც ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით და რაც დასავლეთმაც კარგად იცოდა, ვინ დაიწყო ომი. ასე რომ, აქედან გამომდინარე, მინდა ერთი რამ ვთქვა, რომ დამშვიდდეს პატივცემული იაკობაშვილი. ყველაზე უკეთესს, რასაც ის გააკეთებს, წავიდეს. არავის სჭირდება მის მიერ შეთხზული ზღაპრები, ეს ზღაპრები არ შველის ამ ქვეყანას იმიტომ, რომ თვითონ იაკობაშვილმა ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ ეს ქვეყანა ყოფილიყო ასეთ სავალალო დღეში.

***— მორიგი სამთავრობო ცვლილებები რისკენ არის მიმართული, როგორ ფიქრობთ?***

— რა მნიშვნელობა აქვს, საქართველოში ვინ იქნება განათლების მინისტრი. გუშინ იყო კანალიზაციის მინისტრი, დღეს არის ციხეების ზედამხედველი განათლების მინისტრად. ამ და სხვა დანიშვნებიდან გამომდინარე შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტს ფეხებზე ჰკიდია პროფესიონალიზმი. მას ფეხებზე ჰკიდია განათლება, კაცს არავითარი განათლება არ აქვს პედაგოგობასთან დაკავშირებით, აღმზრდელობასთან და საერთოდ, მეცნიერებასთან დაკავშირებით და ასეთ კაცს, თანაც გვარად შაშკინს, ნიშნავს განათლების მინისტრად. რა გაუჭირდა საქართველოს ისეთი, რომ რომელიღაც შვილი, ძე ან ია არ მოიძებნა. შაშკინი, ბატონო, ისეთი პირია, რომ მე ძალიან დიდი ეჭვი მეპარება, რომ რომელიმე სამინისტროს გამოადგეს. ან ნებისმიერი ავიღოთ. ვინ არის ხაჩიძე, რომ ყოველდღე ტვინს გვიჭყლეტს რადიო „იმედიდან", როგორ დავიცვათ საქართველოს ტყეები. ან ნებისმიერი მინისტრი აიღეთ, ერთი მეორეზე უარესები არიან. არის საერთოდ საქართველოში მინისტრების ინსტიტუტი? რომელ მინისტრებზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც მინისტრად დღეს დანიშნავენ ვიღაცას და ხვალ მოხსნიან. ასე ინსტიტუტი არ შეიძლება, რომ ჩამოყალიბდეს. აქედან გამომდინარე, ჩვენ არც ხელისუფლება გვყავს და არც არაფერი. უბრალოდ, ჩვენთან არსებობს თანამდებობები. ეს თანამდებობები ვიღაცამ უნდა დაიკაოს და ამიტომაც სააკაშვილი ხან ერთს დანიშნავს და ხან მეორეს. საქმეს არავინ ითხოვს. საქმე მხოლოდ ერთ კაცს ეხება და მხოლოდ ერთი კაცი წყვეტს ყველაფერს. ეს არის სააკაშვილი. ამიტომ ასეთ ქვეყანაში ზედმეტია ლაპარაკი მინისტრთა საბჭოზე, მინისტრთა პასუხისმგებლობაზე და ა.შ. ეს ყველაფერი არის შეთხზული ბლეფი, არავის რომ არ სჭირდება, არავის რომ არც ერთი მინისტრის იმედი არ აქვს. მაგალითად, გილაური, თქვენ თუ გგონიათ, რომ ვინმეს იმედი აქვს, გილაურის მიერ გაკეთებული საქმის, ან ნებისმიერი მინისტრის. ასე რომ, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება მინისტრად დღეს ან ხვალ?

## ღორის გრიპით დაინფიცირებული 824 ადამიანიდან 18-ის მდგომარეობა მძიმეა

საქართველოში ეიჩ1ენ1 ვირუსით დაინფიცირებული 18 ადამინის მდგომარეობა მძიმეა.

როგორც „მედიანიუსს" ეპიდემიოლოგიური ცენტრის უფროსმა ხათუნა ზახაშვილმა განუცხადა, აქედან ცხრა თბილისშია მოთავსებული, ცხრა კი, ქუთაისში.

მისივე თქმით, ამ დროისთვის აღნიშნული ვირუსით დაინფიცირებულთა რიცხვი ლაბორატორიული მონაცემებით 824-ს აღწევს, არაოფიციალურად კი, რამდენიმე ათასია.

ზახაშვილის ცნობით, დაინფიცირების შემთხვევები წინა კვირისგან განსხვავებით, ბოლო დღეებში გარკვეულწილად შემცირდა. „თუმცა ზუსტად ამის თქმა არ შეიძლება, რადგან ჯერ რეგიონებიდან ინფორმაცია არ მიგვიღია და საბოლოოდ დამუშავებული მონაცემები არ გვაქვს", — აღნიშნა „მედიანიუსთან" საუბრისას ხათუნა ზახაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში ე.წ ღორის გრიპით, ამ დრომდე ხუთი ადამიანია დაღუპული, მათ შორის ერთი ორსული ქალია.

**მედიანიუსი**

[illegible]

## სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრად ხათუნა კალმახელიძე დაინიშნა

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების ახალი მინისტრი ხათუნა კალმახელიძე წარადგინა.

გილაურის განცხადებით, კალმახელიძემ განათლება აშშ-ში მიიღო და და ბოლო წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა.

ხათუნა კალმახელიძის თქმით, ის აცნობიერებს პასუხისმგებლობა და მინისტრის თანამდებობაზე მუშაობისას „ჰუმანიზმით იხელმძღვანელებს" და მისი მიზანი, დიმიტრი შაშკინის მიერ დაწყებული რეფორმები იქნება.

დიმიტრი შაშკინმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოსტზე ნიკა გვარამია შეცვალა, რომელიც სასწავლებლად აშშ-ში გაემგზავრა.

ხათუნა კალმახელიძე მინისტრის თანამდებობაზე მუშაობას 22 დეკემბრიდან შეუდგება.

**მედიანიუსი**

## ნუგზარ წიკლაურისთვის „დიდების მემორიალი" ღირებულს არ წარმოადგენდა



საპარლამენტო უმრავლესობისწევრ ნუგზარ წიკლაურისთვის „დიდების მემორიალი" არანაირ ძვირფასს და ღირებულს არ წარმოადგენდა.

როგორც ნუგზარ წიკლაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, ასეთივე დამოკიდებულება აქვს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებისათვის მიძღვნილ სხვა მემორიალებისადმი.

მისი თქმით, მეორე მსოფლიო ომში საქართველოს არ გაუმარჯვია - რუსეთის იმპერიის დროშის ქვეშ 400 ათასი ქართველი დაიღუპა, რამდენიმე ათეულ წელში კი იგივე იმპერიამ საქართველოს ოკუპაცია-დანაწევრება დაიწყო.

რაც შეეხება „დიდების მემორიალის" ავტორს მერაბ ბერძენიშვილს, მას წიკლაური სასამართლოსთვის მიმართვას ურჩევს.

**ინტერპრესნიუსი**

# თუმანიშვილის ფონდი პიესებს ეძებს

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფონდმა კონკურსი „ახალი ქართული პიესა“ გამოაცხადა, რომელიც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფონდი უკვე რამდენიმე წელია მართავს ორ კონკურსს დრამატურგიაში — „ახალი ქართული პიესა“ და „საუკეთესო თარგმანი“. ფონდის დამფუძნებელი და პრეზიდენტი მანანა ანთაძეა.

საკონკურსო პიესები ყველა თეატრს დაეგზავნება და ისინი 10-ბალიანი სისტემით შეფასდება. წინა კონკურსებისგან განსხვავებით, ამჯერად გამოცხადებული კონკურსი ანონიმური აღარ იქნება. კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, პიესების რაოდენობა შეზღუდული არ არის. სამაგიეროდ, პიესა სრულიად ახალი და გამოუქვეყნებელი უნდა იყოს.

გამარჯვებული პიესის ავტორს თებერვლის ბოლოს დააჯილდოვებენ. უკვე გადაწყვეტილია, რომ გამარჯვებული პიესა თბილისის რომელიმე თეატრში დაიდგმება. მიხეილ თუმანიშვილის ფონდის ხელმძღვანელები პირველი, მეორე და მესამე პრემიის ლაურეატებსაც დააჯილდოვებენ. I პრემიის ლაურეატი 3 000 ლარს მიიღებს, II პრემიის ლაურეატი — 2 000 ლარს, III პრემიის ლაურეატი კი 1 000 ლარით დაჯილდოვდება.

მიხეილ თუმანიშვილის ფონდი საკონკურსო პიესებს 20 დეკემბრიდან 30 დეკემბრამდე მიიღებს.

# „მუსიკალური შეხვედრები“ დასრულდა

დედაქალაქის საკრებულოს მიერ დაწყებული „მუსიკალური შეხვედრები“ დასრულდა. საკრებულოს თავმჯდომარის ზაალ სამადაშვილის ინიციატივით თბილისის სხვადასხვა ბავშვთა სახლებიდან 30-მდე აღსაზრდელი შეირჩა, რომლებსაც კლასიკურ მუსიკასთან დაკავშირებით გაკვეთილები ჩაუტარდათ.

სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის შემეცნებითი პროგრამა „საუბრები მუსიკაზე“ შემოდგომაზე დაიწყო. სამი თვის განმავლობაში პროექტ „მუსიკალური შეხვედრების“ ფარგლებში ნიჭიერ მოზარდებს გაკვეთილებს მუსიკათმცოდნე თამარ კერესელიძე... 

პროექტის დასასრულს კი საკრებულოს თავმჯდომარემ და პროექტის ორგანიზატორებმა სოციალურად დაუცველი ბავშვები საჩუქრებით დააჯილდოვეს.

**ზაალ სამადაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე:**

— მუსიკალურ შეხვედრებში ძირითადად მონაწილეობდნენ თბილისის მზრუნველობამოკლებული სკოლების ბავშვები. მათ შორის სკოლის მოსწავლეებიც იყვნენ, მაგრამ უმეტესობა მაინც სოციალურად დაუცველი ბავშვები იყვნენ. ჩვენ ძალიან გვინდა, ამ ბავშვებს ჰქონდეთ კარგი მუსიკალური გემოვნება, ამიტომაც იყო საუბრები მუსიკაზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კლასიკურ მუსიკას ეძღვნებოდა.

# ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსი ახალ წლამდე გამოცხადდება

ევროფესტივალ „ევროვიზია 2010“-ის შიდა შესარჩევი კონკურსი ახალ წლამდე გამოცხადდება. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის საერთაშორისო პროექტების ხელმძღვანელი ნათია უზნაძე განმარტავს, სიმართლეს არ შეეფერება ინფორმაცია, თითქოს 2009 წლის ევროვიზიის კონკურსთან დაკავშირებით მომხდარი ინციდენტის გამო, საქართველოს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიენიჭა. 2009 წლის ევროვიზიის შიდა შესარჩევ კონკურსში სტეფანემ და სამმა გოგომ გაიმარჯვა სიმღერით „პუტ ინ დისკო“. ამ სიმღერამ რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია და როგორც მაშინ პუტინის პრესმდივანმა განაცხადა, საქართველო კონკურსის პოლიტიზირებას ცდილობდა. ევროპის მაუწყებელთა საბჭომ, ევროვიზიის მასპინძელი ქვეყნის რუსეთის მოთხოვნა გაითვალისწინა და საქართველოს სიმღერის შეცვლა მოსთხოვა, ქართულმა მხარემ კი ამაზე უარი განაცხადა, რის გამოც კონკურსში მონაწილეობა აეკრძალა.

— შესაბამისი საბჭო უახლოეს დღეებში შეიკრიბება და შიდა კონკურსის გამოცხადების თარიღს ამ კვირაში გადაწყვეტს. ჩვენ წინასწარ ჯერ არ გვაქვს ინფორმაცია, 2010 წლის შიდა შესარჩევ კონკურსში აპირებენ თუ არა ქართული ესტრადის ცნობილი ვარსკვლავები მონაწილეობის მიღებას, — განაცხადა ნათია უზნაძემ.

# საახალწლო „შუა ქალაქში“ იწყება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ულია, თუმცა მათი დაკონკრეტება ჯერჯერობით არ სურთ. ქართული სერიალის გადაღებები ახალი წლიდან დაიწყება, ამისთვის ყველაფერი მზადაა და საგანგებო აპარატურაც უკვე შეძენილია. ახალი ქართული სერიალის სახელწოდებაც და მისი სერიების რაოდენობაც ჯერჯერობით უცნობია. მისი პირველი სერია, სავარაუდოდ, იანვარში გამოვა.

„ღამის შოუ“ სტუდიო შუა ქალაქის ერთგულ მაყურებელს მანამდე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ეპატიჟება, სადაც 22, 23 და 24 დეკემბერს კონცერტები „ახალი წელი შუა ქალაქში“ გაიმართება.


## SMS-განცხადებები - 3090

● იყიდება1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ბაზალეთის ტბასთან. ტელ.: 899922910.

**თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.**

**თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.**

**განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!**

**1 sms-ის ფასია 50 თეთრი**

## განცხადებები

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● გთავაზობთ ეპილაციას უმაღლესი ხარისხით. ჭარბთმიანობას აქრობს სწორად გაკეთებული ეპილაცია, რომელსაც გთავაზობთ უწვრილესი ვოლფრამის ნემსით. მისამართი: მოსკოვის პროსპექტის ბოლოში, ტელ: 70-68-73; 855-492-934 კოსმეტოლოგი მერი.

● სილამაზის სალონ „შარმში“ უკრაინიდან ჩამოსული გოგონა, მაღალი კლასის სტილისტი, შეგასწავლით სტილისტ-ვიზაჟისტის პროფესიას, გაიცემა სერთიფიკატი, სწავლა მაღალ დონეზე. მომსახურება: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საბანკეტო, საქორწილო ვარცხნილობები. მის: მ.მარჯანიშვილი, აღმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.


# ნინო კირთაძე ახალ ფილმს საქართველოში გადაიღებს



ცნობილი ქართველი რეჟისორი ნინო კირთაძე თავის მორიგ ახალ ფილმს ამჯერად უკვე საქართველოში გადაიღებს. მანამდე კი რეჟისორმა კინოთეატრ „ამირანში“ ახალი დოკუმენტური ფილმის პრემიერა გამართა. „ცოტა რამ საქართველოს შესახებ“ — ასე ეწოდება საფრანგეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორის ბოლო ნამუშევარს, რომელიც საქართველოში განხორციელებულ რუსულ აგრესიას მიეძღვნა.

დოკუმენტურ მასალაზე აგებული ფილმი 2008 წლის აგვისტოში განვითარებულ მოვლენებს ასახავს და იმ რეალობაზე მოგვითხრობს, რომელიც ქვეყანამ რუსული ოკუპაციის შედეგად მიიღო.

ნინო კირთაძის შემოქმედებაში ეს პირველი ფრანგულ-ქართული ერთობლივი პროდუქტია. ფილმის პროდიუსინგში მონაწილეობა საზოგადოებრივმა მაუწყებელმაც მიიღო. რეჟისორი თბილისში სპეციალურად ფილმის საპრემიერო ჩვენებაზე დასასწრებად ჩამოვიდა, სადაც განაცხადა, რომ მორიგ ახალ სურათს იგი აუცილებლად საქართველოში გადაიღებს.

**ნინო კირთაძე, რეჟისორი:**

— უკვე გადავწყვიტე, რომ ჩემს მორიგ ფილმს საქართველოში გადავიღებ. არასოდეს ვმალავ, რომ ყველა ჩემს ფილმში სუბიექტური ვარ, არ მესმის, რას ნიშნავს ობიექტურობა. როცა ადამიანს თავისი პოზიცია და ხედვა გააჩნია, იგი თავისი საქმით ამის გამოხატვას მაქსიმალურად უნდა ეცადოს. ჩემი საქმე რეჟისურაა, ამიტომ ჩემი საქმით მხოლოდ იმის გადმოცემა მინდოდა, რაც დავინახე და როგორც დავინახე. მარტო ამის გაკეთება შემიძლია, იმის იქით კი მაყურებელმა უნდა განსაჯოს, როგორ ვიმუშავე.

# გიორგი მთაწმიდელის 1000 წლის იუბილეს ხელნაწერთა ცენტრი აღნიშნავს

2009 წელს საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწის, გიორგი მთაწმიდელის 1000 წლის იუბილე აღინიშნება. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი უერთდება საპატრიარქოს წამოწყებას და 23 დეკემბერს გიორგი მთაწმიდელის 1000 წლოვან იუბილეს გამოფენას უძღვნის.

ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწის, მწერლის, მთარგმნელის, ეროვნული კულტურის მოამაგის, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრის, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველთა სამეცნიერო-ლიტერატურული საქმიანობის სულისჩამდგმელის გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფია გიორგი მცირემ შემოგვინახა. მისი გადმოცემით, გიორგი მთაწმიდელი დაიბადა თრიალეთში, გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწის იაკობის ოჯახში. სწავლობდა ტაძრისის, შემდეგ კი ხახულის მონასტერში. ცოდნის გასაღრმავებლად იგი ბიძამ კონსტანტინოპოლში წაიყვანა, სადაც მან საფუძვლიანად შეისწავლა ბერძნული ენა და ეზიარა ბიზანტიურ კულტურას. 1034 წელს გიორგი მთაწმიდელი სამშობლოში დაბრუნდა და ბერად აღიკვეცა ხახულის მონასტერში. ორი წლის შემდეგ სირიაში, შავ მთაზე გიორგი შეყენებულს დაემოწაფა. გიორგი მთაწმიდელი იერუსალიმს გაემგზავრა, წინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ დაბრუნდა შავ მთაზე თავის მოძღვართან და 1040 წელს მისივე რჩევით ათონს გაემგზავრა. ოთხი წლის შემდეგ გიორგი მთაწმიდელი ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს. მის იშვიათ შემოქმედებით და ორგანიზატორულ ნიჭს სათანადო ასპარეზი მიეცა. მან კიდევ უფრო გააძლიერა მონასტერი და იგი ქართული სულიერი კულტურის მძლავრ კერად აქცია. გიორგი მთაწმიდელის პრაქტიკულ-ორგანიზატორულმა მოღვაწეობამ თანდათან ფართო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძინა.

ბაგრატ IV-მ არაერთგზის შესთავაზა მას საქართველოს მღვდელმთავრობა. მისივე თხოვნით გიორგი მთაწმიდელმა ხუთი წელი გაატარა საქართველოში და საეკლესიო საქმეები მოაგვარა. მან უარყო წოდებრივი უპირატესობა საეკლესიო საქმეებში და ადამიანის პირადი ღირსება წამოსწია წინ. გიორგი მთაწმიდელი იცავდა ქართულ ეკლესიას და კულტურას უცხოელთა შემოტევისაგან. ანტიოქიის პატრიარქთან გამართულ ცხარე კამათში მან ბრწყინვალედ დაიცვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალობა, რაც ერის ღირსებისა და კულტურის თვითმყოფადობის დამადასტურებლად ესახებოდა. გიორგი მთაწმიდელი ნაყოფიერად იღწვოდა მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებისათვის. ცნობილია ბიბლიის ახალი, ე.წ. „გიორგისეული რედაქცია“. მან ხელახლა თარგმნა ბიბლიის ზოგიერთი წიგნი — სახარება-ოთხთავი, სამოციქულო, დავითნი, სხვა წიგნები კი გაჩალხა და ბერძნულ დედანს შეაჯერა.

გიორგი მთაწმიდელმა მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ქართულ ჰაგიოგრაფიასა და აპოკრიფულ მწერლობას, ეგზეგეტიკას, ჰიმნოგრაფიასა და საეკლესიო სამართალს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გიორგი მთაწმიდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთიმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაი“, რომელიც ათონის ივერთა მონასტრის მხატვრული მატიანეა. გიორგი მთაწმიდელმა ნაყოფიერად ილვაწა ლიტურგიკის სფეროშიც და ქართული მწერლობას შესძინა როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური თხზულებანი — „დიდი სვნაქსარი“, „სახარებაი გამოკრებული საწელიწდო“, „პავლე გამოკრებული საწელიწდო“, „თთუენი ათორმეტნივე“ და სხვა.

გიორგი მთაწმიდელის ორიგინალური იამბიკოები და ნათარგმნი მდიდარი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა მისი პოეტური კულტურის დადასტურებაა. გიორგი მთაწმიდელმა ბერძნულიდან თარგმნა, ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, ათანასე ალექსანდრიელის, იოანე დამასკელის, ნექტარი კონსტანტინოპოლელის, დოროთეოს ტვირელისა და სხვათა თხზულებანი. მისი ბიოგრაფის სამართლიანი თქმით, „ესევითარი თარგმანი, თვინიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთიმესსა, სხუაი არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა“. გიორგი მთაწმიდელის მრავალფეროვანმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ქართული კულტურის აღმავლობას მომდევნო საუკუნეებში.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამართული გამოფენის მიზანია, ფართო საზოგადოებას გააცნოს გიორგი მთაწმიდელის ლიტერატურული და შემოქმედებითი მოღვაწეობა, მისი გამორჩეული როლი ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიაში. ექსპოზიცია წარმოაჩენს ქართველი მეცნიერების, განსაკუთრებით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლების ღვაწლს გიორგი მთაწმიდელის მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი და რედაქტირებული ხელნაწერები, მისი ორიგინალური თხზულება „ცხორებაი იოანესი და ეფთვიმესი“, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფების ფოტოპირები და ისტორიული წყაროები წმინდა მამის შესახებ.

# რუსთაველის თეატრი მორიგ ექსპერიმენტს განახორციელებს

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე მაესტრო რობერტ სტურუას მაგისტრანტი რეზო შატაკიშვილი მაყურებელს პრემიერას შესთავაზებს.

„ორი ძმა“ — ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც რეჟისორმა ფაუსტო პარაველინოს ორმოქმედებიანი პიესის მიხედვით დადგა. პიესა ხათუნა ცხადაძემ თარგმნა, ქორეოგრაფიაზე დავით წამალაიძემ იზრუნა, რეჟისორს ასისტენტობა კი მარინა ამაღლობელმა გაუწია.

სპექტაკლში რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა მსახიობები ირაკლი ჩხიკვაძე, სოფი მაიერი, შაკო მირიანაშვილი, ბექა მიქაძე და მანანა სურმავა მონაწილეობენ.

რობერტ სტურუას მაგისტრანტის მიერ დადგმული სპექტაკლის პრემიერა რუსთაველის თეატრში 22 და 23 დეკემბერს იქნება წარმოდგენილი.

**გვერდი მოამზადა ეკა ირემაშვილმა**





მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ **სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

# ლევან კობიაშვილი: „გერმანიიდან წასვლა არ მინდოდა“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ფრიდჰელმ ფუნკალთან საუბარიც, რომლებმაც დამარწმუნეს, რომ ბერლინურ კლუბში სტაბილურად ვითამაშებდი და მითხრეს, რომ ჩემი ეიმედებათ.

***— რა გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს, რომ „ჰერტა“ შეძლებს დასახული ამოცანის გადაჭრას და მისგან სასარგებლო წინადადება მიიღეთ?***

— ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ გუნდი იმაზე უკეთესია, ვიდრე ამას სატურნირო ცხრილი აჩვენებს. გუნდს შეუძლია მეორე წრეში კარგი სერია გამოაცხოს. ახალ ფეხბურთელებთან ერთად, გუნდში დარჩნენ ისეთებიც, რომლებსაც შეუძლიათ ოპტიმალურ ფორმაში შესვლა და ამ ორი კომპონენტის შერწყმით ამ ამოცანის გადაჭრა სავსებით რეალურია.

***— თუმცა, ფაქტია, რომ ახლანდელი გუნდი გაცილებით დიდ პრობლემებს ებრძვის, ვიდრე ყოფილი. რა მოტივაციას გძენთ ეს?***

— რა თქმა უნდა, ახლა გაცილებით სხვა სიტუაციაში მოვხვდი, ვიდრე „შალკეში“ ვიყავი, სადაც ყოველთვის მაღალი ადგილებისთვის ვიბრძოდით. თუმცა, ჩემი ფრაიბურგული კარიერიდან ისიც კარგად ვიცი, როგორ უნდა ვიბრძოლოთ ბუნდესლიგაში დარჩენისთვის. ასე რომ, ორივე მხარე ჩემთვის ნაცნობია, ამასთან, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, მოედანზე ყოველთვის საბრძოლველად გავდიოდი და ფეხბურთელს სიამოვნებას სწორედ ეს უნდა ანიჭებდეს. ბერლინშიც ამ იმედით და განწყობით ჩამოვედი — ჩემი, როგორც ფეხბურთელის, მოვალეობაა თავდაუზოგავად ვიმუშაო არა მარტო მატჩების დროს, არამედ ცალკეულ ვარჯიშებზე.

***— გუნდთან ერთად ვარჯიშს როდის დაიწყებთ?***

— ახლა საახალწლო შესვენებაა და ოჯახთან ერთად სამშობლოში გავემგზავრები, ბერლინში 2 იანვარს ჩამოვალ, ხოლო მეორე დღეს უკვე გუნდთან ერთად დავიწყებ ვარჯიშს.აქვე გაგაცნობთ კობიაშვილის გერმანულ კარიერას, სადაც „ჰერტა“ მისთვის მესამე იქაური კლუბი იქნება. 1998 წელს კობი „ფრაიბურგში“ ჩაირიცხა და ხუთი სეზონი ითამაშა. ამ დროის მანძილზე 164 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 32-ჯერ გაუტანა მეტოქეებს. „ფრაიბურგიდან“ ჩვენებური უკვე „შალკეში“ გადავიდა, სადაც 168 მატჩში ითამაშა, მისი შედეგიანობა ამჯერად უფრო ნაკლები იყო — მხოლოდ 9 ბურთის გატანა მოახერხა.

საქართველოს ნაკრებში კი, როგორც უკვე გითხარით, კობიაშვილი ჩატარებული მატჩებით რეკორდსმენია და ეროვნული გუნდის მაისური 88-ჯერ აქვს მორგებული. ადვილი შესაძლებელია, 32 წლის კობი პირველი ფეხბურთელი გახდეს, ვინც საქართველოს ნაკრებში ნათამაშევი მატჩებით პირველი მიაღწევს 100-მატჩიან ზღვარს.

# სამხრეთ აფრიკის ფინანსური მხარეები

პორტუგალიურმა ჟურნალმა „ფუტბოლ ფინანსმა“ ჩაატარა გამოკვლევა და დაადგინა ყველა იმ 32 ნაკრების ფეხბურთელთა სრული ღირებულება, რომელიც მონაწილეობას მიიღებს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკაში. გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო ფიფას ექსპერტთა ჯგუფმა და აგრეთვე სკაუთთა სამსახურის სპეციალისტებმა. სათვალავში აღებულ იქნა საშუალოდ იმ 25 ფეხბურთელის საბაზრო ღირებულება, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შესარჩევ ეტაპზე და ამ დროის მანძილზე ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში. მთლიანად მსოფლიოს ჩემპიონატზე სავარაუდო მონაწილე ფეხბურთელების ფასმა 5,5 მილირდ ევროზე მეტი შეადგინა. ყველაზე ძვირადღირებული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრებს ეყოლება, რომლის ფეხბურთელთა ფასმა 565 მილიონი ევრო შეადგინა. მეორე ადგილზე 515 მილიონი ევროთი ბრაზილიის ნაკრებია, ხოლო მესამე პოზიცია 450 მილიონი ევროთი საფრანგეთის ნაკრებს უკავია. ყველაზე იაფი ნაკრები ახალ ზელანდიასა და კორეის სახალხო დემოკრატიულ ნაკრებებს ეყოლებათ, რომელთა 25 ფეხბურთელის ფასი მხოლოდ 15 მილიონი ევროა, 35 მილიონი ევროთი ამ მხრივ უარესი მაჩვენებელი მასპინძლებს ექნებათ, ხოლო 40 მილიონიანი გუნდით სამხრეთ აფრიკაში ავსტრალიელები ჩავლენ. ყველაზე ძვირადღირებული ჯგუფი კი ბრაზილიის, კორეის სახალხო დემოკრატიული, კოტ დივუარისა და პორტუგალიის ნაკრებებმა შეადგინეს — ჯამში 1050 მილიონი ევრო.სრული სია კი ჯგუფების მიხედვით ასეთია:

**„ა“ ჯგუფი: ს.აფრიკა (35 მილიონი ევრო), მექსიკა, (95), ურუგვაი (145), საფრანგეთი (450) — სულ 725.**

**„ბ“ ჯგუფი: არგენტინა (390), ნიგერია (115), კორეა (50), საბერძნეთი (100) — სულ 655.**

**„ც“ ჯგუფი: ინგლისი (440), აშშ (55), ალჟირი (55), სლოვენია (45) — სულ 595.**



**„დ“ ჯგუფი: გერმანია (305), ავსტრალია (40), სერბეთი (185), განა (115) — სულ 645.**

**„ე“ ჯგუფი: ჰოლანდია (280), დანია (85), იაპონია (70), კამერუნი (140) — სულ 575.**

**„ფ“ ჯგუფი: იტალია (400), პარაგვაი (90), ახალი ზელანდია (15), სლოვაკეთი (70) — სულ 575.**

**„ჯ“ ჯგუფი: ბრაზილია (515), კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა (15), კოტ დივუარი (180), პორტუგალია (340) — სულ 1050.**

**„ჰ“ ჯგუფი: ესპანეთი (565), შვეიცარია (115), ჰონდურასი (45), ჩილე (85) — სულ 810.**

იმავე გამოცემა ფეხბურთელების ფასებზე არ შეჩერდა და გამოაქვეყნა 32 მონაწილე გუნდის მთავარი მწვრთნელის წლიური ხელფასი, რომელშიც ძალიან დიდი უპირატესობით ლიდერობს ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ფაბიო კაპელო, რომლის წლიური ხელფასი თითქმის 9 მილიონ ევროს უტოლდება. ხოლო ყველაზე დაბალი ანაზღაურება — მხოლოდ 125.000 ევრო წელიწადში ნიგერიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ამადუ შაიბუს აქვს. 32-ივე მწვრთნელის წლიური ხელფასების სრული ნუსხა კი ასე გამოიყურება: ფაბიო კაპელო (ინგლისი, 8,8 მილიონი ევრო), მარჩელო ლიპი (იტალია, 3), იოაჰიმ ლიოვი (გერმანია, 2,5), ბერტ ვან მარვეიკი (ჰოლანდია, 1,8), ოტმარ ჰიცფელდი (შვეიცარია, 1,75), ვისენტე დელ ბოსკე (ესპანეთი, 1,5), კარლუშ კეირუში (პორტუგალია, 1,35), პიმ ვერბეკი (ავტრალია, 1,2), კარლოს პარეირა (ს.აფრიკა, 1,2), ხავიერ აგირე (მექსიკა, 1,2), კარლოს დუნგა (ბრაზილია, 0,8), დიეგო მარადონა (არგენტინა, 0,8), ტაკესი ოკადა (იაპონია, 0,8), რიკი ჰერბერტი (ახალი ზელანდია, 0,8), ოტო რეჰაგელი (საბერძნეთი, 0,75), პოლ ლე გუენი (კამერუნი, 0,65), მარსელო ბიელსა (ჩილე, 0,575), რაიმონ დომენეკი (საფრანგეთი, 0,56), ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი (კოტ დივუარი, 0,505), ჰუნ იუნ მო (კორეა, 0,405), მორტენ ოლსენი (დანია, 0,39), მილოვან რაევაცი (განა, 0,365), რადომირ ანტიჩი (სერბეთი, 0,305), ბობ ბრედლი (აშშ, 0,275), მატიაჟ კეკი (სლოვენია, 0,245), ხერარდო მარტინო (პარაგვაი, 0,245), რაბაჰ საადანი (ალჟირი, 0,245), რეინალდო რუედა (ჰონდურასი, 0,24), ვლადიმირ ვაისი (სლოვაკეთი, 0,215), ოსკარ ტაბარესი (ურუგვაი, 0,205), კიმ ენ ჰუნი (კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა, 0,17), ამადუ შაიბუ (ნიგერია, 0,125).

# საქართველოს ნაკრები მეორე ადგილით დაბრუნდა

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ლეგიონერი წყალბურთელების გარეშე უკრაინის ღია ჩემპიონატში მონაწილეობდა და პირველი წრე თავის ჯგუფში მეორე ადგილით დაასრულა.პირველი წრე უკრაინის ქალაქ დნეპროძერჟინსკში გაიმართა. ქართველთა პირველი მეტოქე სევასტოპოლის ნაკრები იყო და ჩვენებმაც 12:9 იმარჯვეს. ამის შემდეგ ქართველთა მეტოქე მარიუპოლის „ილიჩეველი“ იყო, რომელთანაც 8:10 დამარცხდნენ. სხვათა შორის, ეს იყო ერთადერთი მარცხი ამ ტურნირზე და ჩვენი ნაკრებიც მხოლოდ მარიუპოლელებს ჩამორჩნენ.

„ილიჩევეცთან“ მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ 3 შეხვედრა მოიგო — ჯერ მინსკის გუნდს 14:11 მოუგეს, შემდეგ კიევის ნაკრები 13:8 დაამარცხეს, ხოლო დასკვნით მატჩში დნეპროპეტროვსკის გუნდს მოუგეს.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ზურაბ დავითიანმა გუნდი უკრაინაში ასეთი შემადგენლობით ჩაიყვანა: ზურაბ ჭუმბურიძე, ალექსანდრე ნამორაძე, ზურაბ რურუა, კოტე გეგელაშვილი, ბექა ქენქაძე, გიორგი ხვედელიანი, გურამ კოტარია, ტატო ნიკოლაიშვილი, სანდრო რუსიშვილი, ნოდარ რაფავა, ბექა ქავთარაძე, ლუკა ტუკვაძე, ლევან ყავლაშვილი, გალაქტიონ ლაითაძე, იოვან პოპოვიჩი.

უკრაინის ღია პირველობის მეორე წრეს თებერვალში მარიუპოლი უმასპინძლებს.

# რა აკლია ქართულ ფეხბურთს

ერთი პატარა გადახვევა გვინდა გავაკეთოთ და ქართული ფეხბურთი ბრიტანულს შევადაროთ. არ იფიქროთ, რომ თავად საფეხბურთო დონეზე და მის კლასზე გვქონდეს საუბარი. უბრალოდ, ფეხბურთში მიმდინარე პროცესებზე და თუ როგორ შეიძლება ჩემპიონატის ფეხზე დაყენება საქართველოში, იმის ერთი პატარა მაგალითი გვინდა მოვიყვანოთ.

ინგლისის პრემიერლიგის ბოლო ტურის მატჩში, „პორტსმუთისა“ და „ლივერპულის“ შეხვედრისას, მოედნიდან გაძევებულ იქნა ლივერპულელთა ნახევარმცველი ხავიერ მასკერანო. პრემიერლიგის დისციპლინარულმა კომიტეტმა იმსჯელა ფეხბურთელის მიერ მიღებული წითელი ბარათის შესახებ და არგენტინელ ფეხბურთელს 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ფეხბურთელს მეტოქისთვის სათამაშო ეპიზოდში ფეხებში უხეში ვარდნის გამო. თითქოს აქ გასაკვირი არაფერია, მაგრამ გვინდა ამ ფაქტს ყურადღება ქართულ ფეხბურთში მომუშავე ჩინოვნიკებმა მიაქციონ.მიმდინარე ჩემპიონატში ბევრი იყო ფაქტი, როდესაც ფეხბურთელები მსაჯებს მოედანზევე აგინებდნენ და სცემდნენ, მაგრამ მათი დისკვალიფიკაციის ვადა არ გასცილებია 2 მატჩს. აქვე გვინდა წარმოგიდგინოთ, რამდენიმე ნაწყვეტი პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტის მიერ გამოტანილი განაჩენისა.

1. საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელი გიორგი ვასაძე და „დინამო თბილისის“ ფეხბურთელი აკირემი ოვონდო, რომლებიც 90-ე წუთზე ერთმანეთის მიმართ აგრესიული მოქმედებებისთვის და კინკლაობისთვის გაძევებულნი იქნენ მოედნიდან, რასაც შემდეგ მოჰყვა ორივე გუნდის ფეხბურთელებს შორის შეხლა-შემოხლა და მატჩის შეწყვეტა რამდენიმე წუთით, დისკვალიფიცირებულნი არიან თითო თამაშით და დაჯარიმდნენ 200 ლარით.

2. „ვიტ ჯორჯიას“ და „დინამო თბილისის“ კლუბების შეხვედრის დროს მათი ფეხბურთელების მიერ ატეხილი ჩხუბისთვის და აყალმაყალისთვის, რასაც მოჰყვა მატჩის რამდენჯერმე შეწყვეტა გარკვეული დროით, დაჯარიმებულნი არიან 1.000-1.000 ლარით.ალბათ, საკამათოც არაფერია — პირველ შემთხვევაში მოედნიდან ერთმანეთის მიმართ აგრესიული მოქმედებებისთვის გაძევებული ფეხბურთელები დისკვალიფიცირებულნი არიან მხოლოდ თითო თამაშით. მეორე შემთხვევაში კი ტექსტიდანაც ნათლად ჩანს, რომ პირველ შემთხვევაში მოყვანილი ფაქტი ერთადერთი არ იყო ამ მატჩში და თამაში იმავე გუნდის ფეხბურთელებს შორის ატეხილი ჩხუბისთვის მანამდეც რამდენჯერმე შეწყდა, მაგრამ რატომღაც მსაჯს მაშინ ფეხბურთელები მოედნიდან არ გაუგდია და მხოლოდ ბოლო წუთს დაელოდა.

სხვათა შორის, ინგლისში იმ ფეხბურთელებსაც სჯიან, რომელსაც მსაჯი მოედანზე დანაშაულს აპატიებს.

არ იფიქროთ, რომ თითქოს „ვიტ ჯორჯიას“ ან „დინამოს“ ჯიბრი გვჭირდეს, უბრალოდ, ეს მაგალითები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ პფლ-ს ვებგვერდზე იყო განთავსებული. ვეძებდით კიდევ ცხინვალის „სპარტაკისა“ და ზუგდიდიმ „ბაიას“ საქართველოს თასის მეოთხედფინალური მატჩის დროს მომხდარი ინციდენტის გამო დასჯილ ფეხბურთელებს, მაგრამ ვერანაირად ვერ მივაგენით. ნახსენებ მატჩში რამდენიმე ზუგდიდელმა ფეხბურთელმა უშვერი სიტყვებით აგინა მთავარ მსაჯს და გასალახადაც კი გაიწიეს (კულუარულად სცემეს კიდევაც). არადა, როდესაც გვაინტერესებდა, რა სასჯელი გამოუტანეს დამნაშავე ფეხბურთელებს, პფლ-ის საშეჯიბრო განყოფილების უფროსმა ნოდარ კაკულიამ ინფორმაცია არ მოგვცა, ვებგვერდზე იქნება ხვალ და ნახეთო, ასე გვიპასუხა. როგორც გითხარით, ინფორმაცია არ დევს. თუ გავითვალისწინებთ სადისციპლინო კომიტეტის ლმობიერებას, მაშინ სასჯელი 2 მატჩს არ უნდა გასცდენოდა.ხომ არ ვიქნებით უფრო მართლები თუ ვიტყვით, რომ სწორედ ასეთი ლმობიერება არის ქართული ფეხბურთისთვის კიდევ ერთი დამღუპველი ნაბიჯი? იქნებ ცოტა მეტი სიმკაცრეა საჭირო, რომ ქართული ფეხბურთი (და ფეხბურთელებიც) ცოტა გონს მოვიდეს?

# ლაპორტამ გვარდიოლას დრო მისცა

„ბარსელონას“ ბოლოდროინდელმა წარმატებებმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა და კლუბის პრეზიდენტი ჟუან ლაპორტა მზად არის მთავარ მწვრთნელ ხოსეპ გვარდიოლას კონტრაქტი სასწრაფოდ გაუხანგრძლივოს. 38 წლის სპეციალისტმა კი მოსაფიქრებლად დრო ითხოვა.

— გვარდიოლამ ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე გადაწყვეტილების მისაღებად დრო სჭირდება. მისი სურვილია ბოლო პერიოდში მომხდარი მოვლენები გააანალიზოს. დარწმუნებული ვარ, საშობაო არდადეგები ამისთვის ყველაზე კარგი დროა და გვარდიოლა ამ დროს გამოიყენებს. პეპმა ყველაზე კარგად იცის, რა იქნება „ბარსელონასთვის“ უკეთესი. დარწმუნებული ვარ, გვარდიოლას კონტრაქტის გახანგრძლივება უნდა, მაგრამ ჯერ ბევრი დეტალია განსახილველი. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი ერთობლივი მუშობის პერსპექტივას ოპტიმისტურად ვუყურებ. ახალი კონტრაქტის მნიშვნელობა ყველას კარგად გვესმის. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მომავალზე ფიქრი. ვფიქრობ, იდეალური ვარიანტი იქნება, თუ გვარდიოლა ამავე სეზონის ბოლომდე მიიღებს გადაწყვეტილებას, — განაცხადა ლაპორტამ.

გვარდიოლა, რომელიც თავის დროზე „ბარსელონას“ ღირსებას იცავდა (1990-2001 წლები), გუნდის მთავარ მწვრთნელად შარშან დაინიშნა და ერთ სეზონში 6 ტიტული (ყველა სადაც კი ითამაშა) მოიგო.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-ბარნლი ... 2:0
ევერტონი-ბირმინგემი ... 1:1
ვესტ ჰემი-ჩელსი ... 1:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ნიუკასლი-მიდლსბრო ... 2:0

**იტალია. სერია ა**

ლივორნო-სამპდორია ... 3:1
ნაპოლი-კიევო ... 2:0
პალერმო-სიენა ... 1:0
რომა-პარმა ... 2:0
იუვენტუსი-კატანია ... 1:2
ინტერი-ლაციო ... 1:0
*ბოლონია-ატალანტა გადაიდო*
*ჯენოა-ბარი გადაიდო*
*უდინეზე-კალიარი გადაიდო*

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-ხიხონი ... 2:1
ვილეარეალი-რასინგი ... 2:0
ესპანიოლი-ალმერია ... 2:0
ტენერიფე-ატლეტიკო ... 1:1
დეპორტივო-ვალენსია ... 0:0
მალაგა-მალიორკა ... 2:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სოსიედადი-ბეტისი ... 2:0
ხირონა-ელჩე ... 3:2
მურსია-კადისი ... 2:2
ტარაგონა-ვილეარეალი ბ ... 2:1
უესკა-კასტელონი ... 2:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-ვერდერი ... 2:1
კიოლნი-ნიურბერგი ... 3:0

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

ობერჰაუზენი-არმინია ... 0:0
პადერბორნი-ზ.პაული ... 2:1
უნიონი-მიუნხენ 1860 ... 1:1

**საფრანგეთი. I ლიგა**

ლილი-ლე მანი ... 3:0
ოსერი-ტულუზა ... 1:1
მონაკო-ლიონი ... 1:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

ლეირია-ბელენენსეში ... 1:0
ნაციონალი-აკადემიკა ... 4;3
სეტუბალი-მარიტიმუ ... 3:2
ბენფიკა-პორტუ ... 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰართსი-სელტიკი ... 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანიონიოსი-კავალა ... 1:2
პანთრათიკოსი-ატრომიტოსი ... 0:3
ასტერასი-აეკ ... 2:0
არისი-ოლიმპიაკოსი ... 1:0
ქსანთი-ირაკლისი ... 4:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

ტრაბზონი-ფენერბახჩე ... 0:1

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ტორონტო-ნიუ ორლეანი ... 98:92
მემფისი-დენვერი ... 102:96
ბოსტონი-მინესოტა ... 122:104
დეტროიტი-ლეიკერსი ... 81:93
მაიამი-პორტლენდი ... 95:102
დალასი-კლივლენდი ... 102:95
ნიუ იორკი-შარლოტი ... 98:94

### ხელბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**ქალები**

რუსეთი-საფრანგეთი ... 25:22

### ჩოგბურთი

**საჩვენებელი მატჩები. ქალები**

ნალბანდიანი-გაუდიო ... 3:6;7:5;4;6
ბაგდატისი-მონაკო ... 7:6;7:5
ლოდრა-ჟიკველი ... 5:7;6:4;10:8
ბენეტო-კლემანი ... 7:6;6:2

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

ჩიკაგო-დეტროიტი ... 3:0
ვანკუვერი-სენტ ლუისი ... 1:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# დღის კალენდარი

## 22 დეკემბრისთვის



**წლის 356-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 9 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

სულთმოფენობიდან 29-ე შვიდეული. სამშაბათი.

მუცლადღება ანნასაგან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა. ხსენება წმიდა წინასწარმეტყველ ანნასი, სამუელ წინასწარმეტყველის დედისა; მღვდელმთავარ სოფრონისა, კვიპროსის მთავარეპისკოპოსისა; ღირსი მამის სტეფანე ახლადმბრწყინვალისა.

წმიდა წინასწარმეტყველი ანა, დედა სამუელ წინასწარმეტყველისა, ელკანზე იყო დაქორწინებული და დიდხანს შვილი არ უჩნდებოდა. ამის გამო ელკანმა სხვა ცოლი მოიყვანა. წმიდა ანნა დიდი მწუხარებით იყო აღსავსე უბედურების გამო და ღმერთს შვილის გაჩენას ევედრებოდა.

ერთხელ, როდესაც ანნა მგზნებარედ ლოცულობდა ტაძარში, მღვდელმსახურმა ილიამ იფიქრა, რომ იგი მთვრალი იყო და საყვედურით მიმართა ამის გამო. მაგრამ წმიდა დედამ მდაბლად აუწყა თავისი გასაჭირი და მღვდელმსახურისგან ლოცვა-კურთხევა მიიღო. მალე წმიდა ანნამ მუცლად იღო და შვა ძე, რომელსაც სამუელი უწოდეს, რაც ებრაულ ენაზე „ღვთისაგან გამოთხოვნილს" ნიშნავს.

წმიდა მღვდელმთავარი სოფრონი, მთავარეპისკოპოსი კვიპროსისა დაიბადა კუნძულ კვიპროსზე, ღვთისმშოშიშ ქრისტიანთა ოჯახში. სიჭაბუკეში იგი ბევრ საერო მეცნიერებებს სწავლობდა. მომავალი მღვდელმთავარი იმდენად წარემატებოდა კეთილმსახურებასა და ქველის საქმეთა აღსრულებაში, რომ ადრევე გახდა ღირსი უფლის მიერ საკვირველმოქმედების მადლის მიღებისა. კვიპროსის ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ ახალ მღვდელმთავრად წმიდა სოფრონი აირჩიეს.

ღირსი მამა სტეფანე ახლადმბრწყინვალე კონსტანტინოპოლში დაიბადა და კარგი აღზრდა-განათლება მიიღო. პატრიარქ მეთოდეს დროს იგი ბერად აღიკვეცა და დედაქალაქის ერთ-ერთ ეკლესიაში შეირაცხა სამღვდელო მოდასეთა შორის. შემდეგ სტეფანემ განმხოლოებული ცხოვრება დაიწყო და 50 წლის განმავლობაში განამრავლებდა ასკეტურ ღვაწლს. ღირსი სტეფანე მშვიდობით აღესრულა 912 წელს.

### დაიბადნენ:

1702 - ჟან ლიოტარი, შვეიცარიელი ფერმწერი. გარდაიცვალა 1789 წელს.

1823 - ჟან ანრი ფაბრი, ფრანგი მწერალი, ენტომოლოგი. გარდაიცვალა 1915 წელს.

1858 - ჯაკომო პუჩინი, იტალიელი კომპოზიტორი.

1872 - კამილ ჰერენი, ფრანგი მეცნიერი. გარდაიცვალა 1961 წელს.

1905 - პიერ ბრასერი, ფრანგი მსახიობი. გარდაიცვალა 1972 წელს.

1910 - აკაკი გაწერელია, მწერალი. გარდაიცვალა 1992 წელს.

1934 - ვახტანგ დავითაია, არქიტექტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

### გარდაიცვალნენ:

861 - გრიგოლ ხანძთელი, გამოჩენილი ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის ორგანიზატორი.

1880 - ჯორჯ ელიოტი, ინგლისელი მწერალი.

1893 — ალექსანდრე ყაზბეგი, მწერალი.

1989 - სამუელ ბეკეტი, ირლანდიელი პროზაიკოსი და დრამატურგი. მას მსოფლიო აღიარება მოუტანა პირველმა პიესამ "გოდოს მოლოდინში".

### მოვლენები:

1808 წელი - ვენაში პირველად შესრულდა ბეთჰოვენის V და VI სიმფონიები.

1857 წელი - რუსეთში ხმარებაში გამოვიდა საფოსტო მარკა, რომლის ღირებულებაც 10 კაპიკი იყო.

1894 წელი - ალფრედ დრეიფუსი, რომელიც სამხედრო საიდუმლოებების გაცემაში დაადანაშაულეს, ეშმაკის კუნძულზე გადაასახლეს.

1895 წელი - გერმანელმა ფიზიკოსმა ვილჰელმ რენტგენმა გააკეთა თავისი ცოლის ხელის პირველი რენტგენოგრამა.

1907 წელი - ანა პავლოვამ პირველად შეასრულა მომაკვდავი გედის ცეკვა სენ-სანსის მუსიკაზე, რომელიც სპეციალურად მისთვის შეიქმნა.

1931 წელი - ვატიკანის ბიბლიოთეკაში ხანძარი გაჩნდა. დაახლოებით 15 ათასი წიგნი განადგურდა.

1989 წელი - რუმინეთში ოპოზიციურმა ძალებმა ჩაუშესკუს რეჟიმი დაამხეს.

1991 წელი - თბილისში დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება, ხოლო ორი კვირის შემდეგ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თბილისი დატოვა.

**მედიანიუსი**

# როდის დაიწყო საბჭოეთის ომი ავღანეთში?

როგორც ირკვევა, საბჭოთა კავშირის ავღანეთის ომების გამოცდილება მხოლოდ პრეზიდენტ ამინის სასახლის შტურმით არ იფარგლება და ყველაფერი გაცილებით ადრე დაიწყო. საბჭოთა ჯარები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ბასმაჩების წინააღმდეგ მასშტაბურ სამხდრო ოპერაციებს ავღანეთში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს მიმართავდნენ.

ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის დროს შუა აზიაში ხშირი იყო აჯანყებები, რომლებსაც მუსლიმანი სასულიერო პირები ხელმძღვანელობდნენ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ანდიჟანის აჯანყება, რომელიც ფერგანის ველზე 1898 წელს მოხდა. მას სათავეში ჩაუდგა იშან მადალი, რომელსაც მექაში ჰაჯის დროს უწინასწარმეტყველეს, რომ ურწმუნოების წინააღმდეგ ჰაზავათს გამოაცხადებდა.

მღელვარების მეორე ტალღა 1905-1907 წლებს მოჰყვა. თურქეთის რევოლუციას ბუხარის, ხივის, შემდეგ კი რუსეთ-ავღანეთის საზღვარზე ავღანეთის რევოლუცია მოჰყვა. თურქესტანსა და ამჟამინდელ ყაზახეთში უდიდესი აჯანყებები მოხდა 1916 წელს. საბაბად ფრონტისპირა რაიონებში სამუშაოდ 19-დან 43 წლამდე ასაკის ნახევარ მილიონამდე მამაკაცის მობილიზაციის განკარგულება იქცა. აჯანყებულთა რიცხვი 50 ათასს აღწევდა.

რუსეთის ჯარებმა ეს აჯანყება 1917 წლის იანვრისათვის ჩაქრეს. აჯანყების ჩახშობის შემდეგ მისმა ბელადებმა და მონაწილეებმა ავღანეთს შეაფარეს თავი.

შუა აზიაზე თვალი გერმანიასაც ეჭირა. გერმანიის სარდლობა ამ ადგილს რუსეთისათვის სამხრეთიდან შემოვლის და ბრიტანეთის ინდოეთის წინააღმდეგ მომავალ პლაცდარმად იხილავდა.

საბჭოეთისა და გერმანიის დაახლოების პერიოდში გერმანელები სსრკ-ს ხელმძღვანელობას ავღანეთის ტერიტორიიდან ბრიტანეთის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებას სთავაზობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი 1939 წლიდან ნეიტრალიტეტს აცხადებდა.

1941 წლის 22 ივნისის შემდეგ გერმანიის სარდლობას ბრიტანეთზე თავდასხმის იდეებზე უარი არ უთქვამს. პირიქით, ავღანეთში ბაზაც კი შექმნა, რაც საბჭოთა კავშირს შუა აზიიდან ჯარების დასავლეთისაკენ გადასროლის შესაძლებლობას არ აძლევდა.

1917 წლის 3 დეკემბერს ოქტომბრის რევოლუციიდან ერთი თვის შემდეგ საბჭოთა მთავრობა მიილო მიმართვა „რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელი მუსლიმანისადმი", რომელშიც მათ „მჩაგვრელების" დამხობისაკენ მოუწოდებდა.

საბჭოთა ხელისუფლება შუა აზიაში ორ თვეში დამყარდა. თურქისტანის სახალხო კომირების საბჭომ მხარის „სეკულარიზაცია„ დაიწყო, იხურებოდა მეჩეთები, აპატიმრებდნენ სასულიერო პირებს, წვავდნენ რელიგიურ წიგნებს, გაუქმდა შარიატის და ადათის სასამართლოები.

პასუხად ბასმაჩების მოძრაობამ მთელი მხარე მოიცვა. ყველაზე ცნობილ ლიდერებს შორის იყვნენ იბრაჰიმ ბეკი ბუხარაში, მადამინ ბეკი ფერგანაში, ჯუნაიდ ხანი თურქმენეთში.

ხშირად ბასმაჩები რუს თეთრგვარდიელებთან ერთად მოქმედებდნენ. ბასმაჩებს ეხმარებოდნენ ირანი, თურქეთი, ჩინეთი, ავღანეთი, ბასმაჩების ჯარების წვრთნაზე მუშაობდნენ ურალელი კაზაკების ატამანის დუტოვის ოფიცრები და ბრიტანელი ინსტრუქტორები.

თურქესტანის ფრონტზე საბჭოთა ჯარების სარდლის მიხაილ ფრუნზეს თქმით, ბასმაჩჩბი ფინანსურ დახმარებას უცხოეთიდან ავღანეთიდან და ბუხარიდან იღებდნენ.

1908 წლის თურქეთის რევოლუციის მონაწილე და პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთის ჯარების სარდლის მოადგილიე ენვერ ფაშა თურქესტანში 1921 წელს გამოჩნდა. იგი 30 ათასიან არმიას ჩაუდგა სათავეში.

იგი ბუხარის ემირისა და ავღანელების მხარდაჭერით მოქმედებდა, რამდენიმე ქალაქი დაიკავა, მაგრამ 1922 წელს მისი ჯარები წითელმა არმიამ გაანადგურა, თთვად ენვერ ფაშა ბრძოლაში დაიღუპა.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ავღაენთის ემირი ჰაბიბულა, რომელიც ბრიტანეთისგან ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვდა. ნადირობის დროს დაიღუპა.

ძალაუფლება მისი მესამე ვაჟის, ამანულას ხელში გადავიდა, რომელიც ინგლისელების წინააღმდეგ ავღანეთის მესამე ომის ინიციატორი შეიქნა. მან მიაღწია იმას, რასაც მამამისი ისახავდა მიზნად — ავღანეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. გარდა ამისა, საბჭოთა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა და თურქეთის ტიპის რეფორმების



გატარება დაიწყო.

1921 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას საბჭოეთ-ავღანეთის მეგობრობის შესახებ. საბჭოთა კავშირი ავღანეთს სამხედრო დახმარებას უწევდა, თვითმფრინავებსაც კი აწვდიდა, რომლებსაც თავდაპირველად რუსი მფრინავები მართავდნენ.

მიუხედავად ამისა, ბასმაჩები იარაღს არ ყრიდნენ. ავღანეთის ტერიტორიას საბჭოეთის წინააღმდეგ მოქმედებისთვის იყენებდნენ.

ავღანეთის ტერიტორიაზე უზბეკი ბასმაჩების წინააღმდეგ პირველი ოპერაცია საბჭოთა ჯარებმა 1925 წელს დაიწყეს. მათ მდინარე ამუდარიაზე კუნძული უტრა-ტაგაი დაიკავეს.

მოწინააღმდეგის ძალები ნაწილობრივ გაანადგურეს, დარჩენილები ტყვედ ჩაიგდეს.

კუნძულის დაკავების შემდეგ ამინულამ საბჭოეთთან ომისათვის მზადება დაიწყო. ერთი წლის შემდეგ კუნძული ავღანეთს დაუბრუნეს და 1926 წელს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ახალ სამშვიდობო შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

ავღანეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების მასობრივი შეჭრა 1929 წელს დაიწყო და მას საბჭოთა კავშირ-ავღანეთის პირველ ომს უწოდებენ.

1928 წლელს ემირის არმიის ყოფილმა უნტეროფიცერმა, რომელმაც სახელად ბაჩაი საკაო, მეთულუხჩის შვილი დაირქვა, ამანულას რეფორმების გაუქმების მოთხოვნით ამბოხება დაიწყო. ქაბული მისმა ჯარებმა დაიკავეს. როგორც ვარაუდობენ, ბაჩაი საკაოს ბრიტანელები უჭერდნენ მხარს.

იმავდროულად გააქტიურდნენ ბასმაჩები, რომელთაგან მრავალი ბაჩაის ამბოხებას შეუერთდა. უზბეკი, ტაჯიკი და თურქმენი ბასმაჩების მოქმედებას ცნობილი საველე მეთაური იბრაჰიმ ბეკი ხელმძღვანელობდა.

მოსკოვის მითითების შუა აზიის სამხედრო ოლქში „ავღანური რაზმი" შეიქმნა ორი ათასი მხედრის შემადგენლობით, რომლებსაც ტყვიამფრქვევები და ქვემეხები უჭერდნენ მხარს. ოპერაციის სარდლად ვიტალი პრიმაკოვი დაინიშნა, რომელიც სამოქალაქო ომის დროს „ჩერვონი", წითელი კაზაკობის შემქმნელად ითვლებოდა.

1929 წლის 15 აპრილს ავღანურ ფორმაში გამოწყობილი პრიმაკოვის რაზმები ავიაციის მხარდაჭერით ავღანეთის სასაზღვრო პოსტს დაესხნენ თავს. გადმოცემის თანახმად პრიმაკოვი რაგიბ ბეის სახელით მოქმედებდა. მას მეტსახელად „წითელი ლოურენსი" შეარქვეს. იგი ლილია ბრიკის ოთხიდან ერთ-ერთი მეუღლე იყო.

საბჭოთა ჯარები ავღანეთის ტერიტორიაზე თვე-ნახევრის განმავლობაში მოქმედებდნენ. ამ დროის განმავლობაში მათ ქალაქები მაზარი შარიფი, ბალჰი ტაშკურგანი დაიკავეს. ბრძოლები გაафთრებულ ხასიათს ატარებდა, ქალაქები ხელიდან ხელში გადადიოდა.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ ამანულამ ბაჩაი საკაოს წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტა და ინდოეთში გაქცევა გადაწყვიტა, პრიმაკოვის ექსპერიდიამ სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიის სახე მიიღო და სტალინმა საბჭოთა ჯარების უკან გაწვევის განკარგულება გასცა.

პრიმაკოვმა მოგვიანებით წიგნი „ავღანეთი ცეცხლში" დაწერა, „წითელი ლოურენსი" 1937 წელს დახვრიტეს.

1931 წელს შუა აზიის სამხედრო ოლქიდან ავღანეთის ტერიტორიაზე კიდევ ერთი სამხედრო ოპერაცია დაიწყო, რომლის დროსაც იბრაჰიმ ბეკის ბასმაჩების რამდენიმე რაზმი გაანადგურეს. თავად იბრაჰიმ ბეკი შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

სსრკ მარშალი სემიონ ბუდიონი, რომელიც შუა აზიის სამხედრო ოლქს 1926 წელს ხელმძღვანელობდა, 1931 წელს ბასმაჩების საბოლოო განადგურების წლად მიიჩნევს.

მიუხედავად ამისა, საბჭოეთის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლები შუა აზიაში მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე არ შეწყვეტილა.

**გ.თ.**

# ოკეანის ფსკერზე მეტეორიტული „ერბოკვერცხი" აღმოაჩინეს



პორტუგალიელმა მეცნიერებმა ატლანტის ოკეანის ფსკერზე აღმოაჩინეს ღრმული, რომელსაც ფორმის გამო ერბოკვერცხი უწოდეს და რომელიც მათი აზრით, მეტეორიტის ჩამოვარდნის შედეგად წარმოქმნილი კრატერი უნდა იყოს.

ექვსი კილომეტრი დიამეტრის ღრმული აზორის კუნძულებიდან სამხრეთით ზღვის ფსკერის რუკის შედგენის დროს აღმოაჩინეს. მომრგვალებული ფორმის გამო მას „ერბოკვერცხი" შეარქვეს.

იმ შემთხვევაში, თუკი ეს ღრმული მართლაც კოსმოსური სხეულის ჩამოვარდნის შედეგად შეიქმნა, ეს მოვლენა 17 მილიონი წლის წინ უნდა მომხდარიყო, რადგან სავარაუდო კრატერის გარშემო მდებარე ბაზალტის ქანების მაქსიმალური ასაკი სწორედ 17 მილიონი წელია.

საბოლოო დასკვნის გამოსატანად მეცნიერებს ფსკერიდან ქანების სინჯების აღება ესაჭიროებათ. დამამტკიცებელ საბუთად გამოდგება მაგალითად სხეულის დნობის შედეგად წარმოქმნილი მინა, დამსხვრეული ქვები და ა.შ.

„ერბოკვერცხი" პირველად 2008 წელს შეამჩნიეს ექოლოტის საშულებით ფსკერის ჰიდროგეოგრაფიული გამოკვლევის დროს. მომდევნო ოპერაციებმა პირველი გაზომვების შედეგი დაადასტურეს. ღრმული ოკეანის ფსკერზე 2 კმ-ის სიღრმეზე, აზორის კუნძულებიდან 150 კმ-ის მოშორებით მდებარეობს.

ღრმულს ცენტრში 3 კმ დიამეტრის და 300 მ სიმაღლის პიკი აქვს. ასეთ შემაღლებას კრატერის ცენტრში მეტეორიტთან შეჯახების ნიშნად მიიჩნევენ, რადგან შეჯახებისას ქანების შეკუმშვა ხშირად მსგავს პიკებს წარმოშობს.

„ერბოკვერცხი" სავარაუდოდ, ვულკანური წარმოშობის არ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. თანამედროვე ბრიტანელი თეატრალური რეჟისორი; 3. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ხურდა ფული ბრაზილიაში; 5. ჰოლანდიის ნაკრებისა და „რეალის" ფეხბურთელი; 9. თავაშვებული დროსტარება; 12. ღრმა, ვიწრო ხეობა; 14. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 15. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 17. საფრანგეთის პირველი ლედი; 18. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

**თარაზულად:** 6. პაუზა მუსიკალურ მელოდიაში; 7. ბრინჯაოსაგან მომზადებული საწებელი; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. ლეო დელიბის ოპერა; 11. ქართული ხალხური ზღაპარი; 13. საგანგებოდ მოპატიჟებულ სტუმართათვის გამართული ნადიმი; 16. უბანი თბილისში; 19. მრგვალად, უწახნაგოდ დამუშავებული ძვირფასი ქვა; 20. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. კომპოტი; 6. მატრონა; 8. დოლი; 9. კიქსი; 10. ირბისი; 11. პაპი; 13. მინესოტა; 14. საუნა; 16. კალია; 18. ქლორი; 20. სეინერი; 21. ლიბრეტო.

**შვეულად:** 1. იპრიტი; 2. სტენდი; 3. ეროტიკა; 4. მაგნიტი; 5. კოფეინი; 7. სალბუნი; 11. პიურე; 12. მასივი; 13. მამონტი; 14. სეკანსი; 15. ნიკელი; 17. ამბარი; 19. კანი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ერა; 2. ლი; 3. ყველი; 4. პრადო; 5. სავანა; 6. ატაშე; 7. მი; 8. ბამაკო; 9. მადონა; 10. ადა; 11. სკამი; 12. ელადა; 13. არბო; 14. ემბაზი; 15. მედეა; 16. ინდიკატივი; 17. ბილ; 18. ლიე; 19. ექსპერიმენტი; 20. ლაცორია; 21. ლოდი; 22. პარანა; 23. ანსი; 24. პასკა; 25. პოლემიკა; 26. აიაზმა; 27. გლისანდო; 28. სუკრე; 29. კავატინა.

**სურათებზე:** კლაუდია კარდინალე; მარჩელო მასტროიანი.

## „თაიმმა“ წლის ადამიანად ფედერალური სარეზერვო სისტემის ლიდერი დაასახელა

ამერიკულმა ჟურნალმა „თაიმმა“ „2009 წლის ადამიანის“ ტიტული აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარე ბენ ბერნანკეს მიანიჭა.

— მიმდინარე წლის მთავარ თემად რეცესია იქცა და ბენ ბერნანკეს გარეშე წელი გაცილებით ცუდად დასრულდებოდა, — ნათქვამია „თაიმის“ მთავარი რედაქტორის, რიჩარდ სტენჯელის განცხადებაში.

ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელად ბერნანკე 2006 წელს დაინიშნა.

გავრცელებულ განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ არცთუ ისე ხშირად ვხვდებით პოპულარული გამონათქვამის ილუსტრაციას იმის შესახებ, რომ თუკი ადამიანები საკუთარ შეცდომებზე ჭკუას ვერ ისწავლიან, შეცდომების გამეორებას ვერ აიცილებენ თავიდან. „თაიმის“ რედაქციის აზრით, ბერნანკეს, რომელიც დიდი დეპრესიის მკვლევარი იყო, კარგად ესმოდა, თუ რამდენად სახიფათო იყო მსგავსი მასშტაბების კრიზისის გამეორება. 56 წლის ბერნანკე მანამდე პრინსტონის უნივერსიტეტში მუშაობდა, სადაც XX საუკუნის დასაწყისის დიდი დეპრესიის პერიოდის ეკონომიკას სწავლობდა. ერთი წლის წინ ბერნანკემ და მისმა კოლეგებმა ფედერალური სარეზერვო სისტემიდან რეფინანსირების განაკვეთი, პრაქტიკულად, ნულამდე შეამცირეს და ეროვნული ეკონომიკის გაჯანსაღებაში თითქმის 1 ტრილიონი დოლარი დააბანდეს.

ჟურნალ „თაიმში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში წლის ადამიანის ტიტულის ლაურეატმა ეკონომისტმა განაცხადა, რომ გასული წლის განმავლობაში საბანკო სისტემის სტაბილურობის მიღწევა კი მოხერხდა, მაგრამ კრედიტირების სისტემა ჯერ კიდევ ძალიან სუსტია იმისათვის, რომ ეკონომიკა ნორმალურ სამუშაო მდგომარეობაში შეინარჩუნოს.

ბერნანკეს თქმით, სარეზერვო სისტემამ ბანკებს სავსებით გასაგებად გამოუცხადა, რომ რეზერვი კეთილსინდისიერი გადამხდელებისათვის კრედიტების გაცემით არის დაინტერესებული. იმავდროულად, მან აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ფინანსური სისტემა თითქმის „სიკვდილის პირას“ აღმოჩნდა, ბანკები მეტად ფრთხილად იქცევიან და, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის აღდგენა მოხერხდა, კრიზისის გამეორების თავიდან ასაცილებლად გარკვეული ზომების მიღებაა საჭირო. ბერნანკე, გარდა ამისა, ამტკიცებს, რომ უკვე რეფორმების გატარების დრო დადგა, რათა მომავალში მსგავსი ინციდენტები არ გამეორდეს, თანაც, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში.

„2009 წლის ადამიანის“ ტიტულისათვის „ბრძოლაში“ სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელის კონკურენტები იყვნენ ავღანეთში ნატოს ჯარების სარდალი, გენერალი სტენლი მაკრისტალი, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოზი და იამაიკელი სპრინტერი უსეინ ბოლტი. გარდა ამისა, პრეტენდენტებს შორის ფიგურირებდნენ აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამა და კომპანია „ეფლის“ ლიდერი სტივ ჯობსი.

**გ.თ.**

## ოსვენციმის კარიბჭის წარწერა გახერხეს

პოლონეთის პოლიციამ ლითონის ფირფიტა წარწერით „მუშაობა გაგათავისუფლებთ“, რომელიც ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის შესასვლელიდან პარასკევს დაიკარგა, დანაწევრებული იპოვა. პოლიციის წარმომადგენლების თქმით, გამტაცებლებმა იგი სამ ნაწილად გახერხეს. გამტაცებლების მოტივების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. გავრცელებული ცნობების თანახმად, ხუთი ადამიანი დააკავეს. კრაკოვის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლების განცხადებით, დაკავებულები 25-35 წლის ახალგაზრდები არიან. ოსვენციმის კარიბჭიდან წარწერის გატაცებამ როგორც ისრაელში, ასევე პოლონელ პოლიტიკოსებს შორის აღშფოთების ტალღა გამოიწვია. ოსვენციმი მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელთა გენოციდის ერთ-ერთ ყველაზე სამწუხარო სიმბოლოს წარმოადგენს. ოსვენციმში, იგივე აუშვიცში, როგორც მას დასავლეთში უწოდებენ, ომის წლებში მილიონამდე ტყვე დაიღუპა. მათი უმეტესობა ებრაელი იყო. იგი პოლონეთის სამხრეთით 1940-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა. ბანაკის კარიბჭეზე დამაგრებული ნიშანი თავად ტუსაღების ხელით შეიქმნა, ბანაკის ხელმძღვანელობის ბრძანებით და ტყვეებს დამცინავი ფრაზით, „მუშაობა გაგათავისუფლებთ“ ხვდებოდა. ოსვენციმის ტყვეების უმეტესობისათვის თავისუფლება მიუწვდომელ ოცნებად იქცა. ოსვენციმის ბანაკი პოლონეთის ხელისუფლებმა სპეციალურად შემოინახეს და მუზეუმად გადააქციეს. ამ ბანაკში ყოველწლიურად მილიონზე მეტი ადამიანი სტუმრობს. გატაცებული ნიშანი დროებით შეცვალეს ასლით, რომელიც მუზეუმის სახელოსნოში იყო შენახული.

**გ.თ.**

## რატომ დუმს ელზა გულიაშვილი?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***— ნანა გოჩელაშვილმა განაცხადა, ჩემთვის რომ ეკითხათ, სხვა რჩევას მივცემდიო.***

— ნანა გოჩელაშვილი ახლა რას ამბობს, არ მაინტერესებს.

***— პროკურატურასთან რა პრეტენზია გაქვთ?***

— არანაირი პრეტენზია პროკურატურასთან არ გამაჩნია. მე ვიცნობ მხოლოდ ერთ ადამიანს, ზაზა ჟამერაშვილს, რომელიც ამ საქმის გამომძიებელი გახლდათ. როცა ჟამერაშვილი ჩვენთან მოვიდა, ჩვენების მისაცემად უნდა წავეყვანეთ, ვთხოვეთ, ჩვენთვის ცოტა დრო მოეცა, რადგან ძალიან ცუდად ვიყავით. რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში ვათენებდით და ვაღამებდით. სხვა არაფერზე ფიქრი არ შეგვეძლო, გარდა ელზასი. გამომძიებელი დაგვემუქრა, რომ ხელბორკილებს დაგვადებდა და პროკურატურაში ისე წაგვიყვანდა. წავედი პროკურატურაში. იქ ისეთი სიტუაცია იყო, ერთი სული მქონდა, იქიდან როდის წამოვიდოდი. ყველანი ისე იყვნენ განწყობილი, რომ ელზა გულიაშვილი ვერ გადარჩებოდა, ან თუ გადარჩებოდა, ვერ გამოჯანმრთელდებოდა.

***— ამას ჟამერაშვილი გეუბნებოდათ? რა იცოდა ჟამერაშვილმა, გამოჯანმრთელდებოდა თუ არა?***

— მაშინ ელზას მართლა რთული სიტუაცია ჰქონდა, სასიკვდილო ტრავმა ჰქონდა მიყენებული. მათ იცოდნენ, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობა იმყოფებოდა, მაგრამ არ მესმის, რატომ სჭირდებოდა პროკურატურას, ეს ჩვენ შეგვეგნო, როდესაც ამაზე ერთი წუთითაც არ გვიფიქრია. ელზას დღევანდელი მდგომარეობა აბსოლუტურად განსხვავდება მისი იმ დიაგნოზისგან, რაც მაშინ დაუსვეს.

***— ანუ გამომძიებელი გავიწროვებდათ და გაიძულებდათ...***

— მეუბნებოდა, სულ არ მაინტერესებს შენ რას იტყვი. უბრალოდ, უნდა მომცე ჩვენება, თორემ რა მნიშვნელობა აქვს, რას დაამტკიცებ. ასეთი საუბრები იყო. მე ვთხოვე ჩემი ჩანთა, რომელიც იმ დღეს ფალიაშვილის 90-ში დამრჩა, მოეცათ. ის კი დამცინოდა, რომ ის ნივთმტკიცებას წარმოადგენდა. მაინტერესებს, ჩემს ჩანთაში რა აღმოაჩინეს ისეთი, რაც მათთვის უფრო საინტერესო იყო, ვიდრე ჩემთვის? ის თანხა, რაც იმ ჩანთაში მედო, იმ წუთში წამლის ფულად მჭირდებოდა. ჩვენებამდე ეს ჩანთა მათ ჰქონდათ და არ დამიბრუნეს. ვთხოვე, ის თანხა წერილობით გადმოეცათ. უარი მითხრეს. უფრო მეტიც, ჩვენ ვიყავით შიშის ქვეშ, რადგან ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ, სავარაუდოდ, დოკვაძე შეიძლება არ იყოს ამის ჩამდენიო. ამიტომ ჩვენ ვიყავით ძალიან ცუდ მდგომარეობაში — ყველასი და ყველაფრის გვეშინოდა. გამოდიოდა, რომ თუკი დოკვაძე არ იყო ამის ჩამდენი, მაშინ საფრთხე სხვა პირისგან გველოდა, რომელიც გარეთ იყო. ზაზა ჟამერაშვილს ვთხოვე, ჩემთვის გადმოეცა ჩემი პირადი სახლის გასაღები, რომელიც ასევე ჰქონდა ელზა გულიაშვილს აცმული გასაღებებზე. მან ასეთი პასუხი გამცა: ყველაფერს იქ დავაბრუნებ, საიდანაც წამოვიღეო. გამომძიებელს ვუთხარი, ძალიან მეშინია, ეს გასაღებები იმ ოჯახს (კვირჭიშვილებს) ხელში არ ჩაუგდოთ-მეთქი.

***— ანუ თქვენ გეშინოდათ, თქვენი სახლის გასაღები კვირჭიშვილის ოჯახისთვის არ ჩაეგდო ხელში?***

— ნამდვილად. მე პირველივე დღეს მივხვდი, რომ გოჩა კვირჭიშვილს და იზო გაბუნიას ჰქონდათ ერთადერთი სურვილი, რომ ელზა გულიაშვილი გარდაცვლილიყო.

***— ამ დროს გამომძიებელი ისე იქცეოდა, თითქოს თქვენზე ჰქონდა რაღაც ეჭვი? გაუგებარია, თქვენ მიმართ რატომ იყვნენ ასე განწყობილი?***

— იზო გაბუნიამ თვითონ მითხრა, თქვენი ბრალია ყველაფერიო. ვერ გავიგე, რა არის ჩვენი ბრალი? ალბათ ის, რომ ცოცხლებს მივუსწარით. ეს იყო მისი გულიდან ამოსული სიტყვები. მაშინ ვინმემ მითხრას, რა არის ჩვენი ბრალი და ყველაფერზე პასუხს ვაგებ. თუკი, როგორც იზო გაბუნია ამბობს, მისი შვილი ცუდ მდგომარეობაში იყო, რომელიც, ფაქტობრივად, ჩვენ გადავარჩინეთ, ჩვენ რომ არ მივსულიყავით, ის ქალბატონი საერთოდაც არ მოიკითხავდა ალბათ ჩემს დას. ჩვენთვის ამ ფაქტის შესახებ შეიძლება ერთი კვირის შემდეგ ეცნობებინათ. იმის მაგივრად, რომ მადლობა მითხრას ქალმა, რომ შვილი გადავურჩინე, მცემა. მაინტერესებს, რატომ მცემა იზო გაბუნიამ?

***— სად გცემათ?***

— იაშვილის სახელობის კლინიკაში.

***— როგორ გცემათ?***

— მიუხედავად იმისა, მაგ ქალის დანახვაზე ძალიან მიჭირდა სიმშვილის შენარჩუნება, როდესაც მან საავადმყოფოში ორი ქალი მოიყვანა და თქვა, ისინი ძიძები იქნებიანო, ხმა არ ამოვიღე. ამაზე ის გამწარდა და ლანძღვა დაიწყო. მე ეს ვერ მივიღე. ჩემი მისამართით ვისაც რა უნდა, ის თქვას. მაგრამ ელზას მიმართ ნათქვამ ცუდ სიტყვაზე, სანამ ის კარგად არ იქნება, ვერ გავჩუმდები, მით უმეტეს, იზოს მხრიდან.

***— იზოლდა გაბუნია ელზას ლანძღავდა?***

— დიახ, ყველაზე შეურაცხმყოფელი სიტყვებით ლანძღავდა. მე ვუთხარი, რაც გინდა, ის იყვირე, რა უნდა გელაპარაკო. 6 თვე ძაღლი მყავდა სახლში შეყვანილი ქუჩიდან, ვუვლიდი და როცა ის გავაჩუქე, დამენანა. თქვენ 6 თვე ქალს ვერ მოუარეთ-მეთქი. ამაზე ადგა, თმებში მეცა და მცემა. შენახული მაქვს დაგლეჯილი თმები.

***— გარაჟში რომელი გცემათ?***

ამ კითხვაზე მეორე დამ, მეგი გულიაშვილმა მიპასუხა, რომ იზოლდა გაბუნიამ მას გარაჟში სცემა.

— გარაჟში მე მცემა. უნდოდა გავმწარებულიყავი და ხელით შევხებოდი. მაგრამ არ გამოუვიდა.

***— ერთი რამ მიკვირს, 25 აპრილს მომხდარი საზარელი ფაქტის შემდეგ ამ ოჯახიდან თქვენსა და თქვენი დის მიმართ ასეთი აგრესია რატომ წამოვიდა?***

— იმიტომ, რომ ელზას ერთადერთი პატრონი მისი სამი და იყო. თუ ამ სამ დას როგორმე მოიშორებდა, რამენაირად წყობილებიდან გამოიყვანდა და რაიმე ცუდისკენ უბიძგებდა, ელზა უპატრონოდ დარჩებოდა და მოკვდებოდა.

***— ანუ ამბობთ, რომ ელზას სიკვდილი უნდოდათ?***

— ნამდვილად.

***— რატომ უნდა სდომოდათ ელზას სიკვდილი კვირჭიშვილებს?***

**ელზას ბიძაშვილი:**

— იმიტომ, რომ ელზამ ყველაფერი იცის, რა მოხდა კვირჭიშვილების ოჯახში 25 აპრილს.

**ნათია გულიაშვილი:**

— არ ვიცი, ელზამ რა იცოდა. ზუსტად ამიტომ უნდოდა გოჩას ელზას სიკვდილი. ზუსტად ვერ გეტყვით, რა იცის ელზა გულიაშვილმა. განა, ისეთი რა იცის ელზა გულიაშვილმა, რომ ამის გამო გოჩა კვირჭიშვილს უნდა ელზა გულიაშვილი მოკლას? ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მთელს საქართველოს — ჯანდაცვის სამინისტროს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ვატო სურგულაძეს და თითოეულ ადამიანს, რომლებიც დაგვეხმარნენ, რადგან ეს ხალხი რომ არა, დღეს ელზა გულიაშვილი ცოცხალი ვერ იქნებოდა.

***— ამჟამად ელზა როგორ არის?***

— გაცილებით კარგადაა. კვირაში ერთხელ კონსულტაცია გვაქვს მის პირად ექიმებთან. მათგან ყველანაირ მითითებებს ვღებულობთ წამლებზე, ქცევებზე, მოპყრობაზე, ყველაფერზე. მათი თქმით, ელზას სჭირდება თბილი გარემო, თავისი დები და თავისი შვილი.

***— სასამართლოზე მესმოდა, რომ ელზა ადეკვატურია, საუბრობს, თავისი აზრის გამოთქმა შეუძლია, რეაქციები აქვს, როცა ეკრანზე ბავშვს დაინახავს.***

— ასე ზედაპირულად რომ არ ვილაპარაკოთ და არ დავწვრილმანდეთ, ცოტა ხანი გვჭირდება იმისთვის, რომ ყველამ ნახოს, ვინ არის ელზა გულიაშვილი და რა შეუძლია.

***— დღეს ამ საქმესთან დაკავშირებით დაკავებულია ირაკლი დოკვაძე. მას 30 წლიანი პატიმრობა ემუქრება...***

— ჩემთვის ასეა ცნობილი: პროკურატურა ამბობს, რომ ეს კაცი არის დამნაშავე...

***— რამდენადაც მესმის, ელზასგან სხვა აზრი უნდა მოდიოდეს...***

— ?!

***— თქვენ ამბობთ ხოლმე, რომ გემუქრებიან. თან თქვენ ბავშვის ბედი გაღელვებთ, რადგან ის კვირჭიშვილებთანაა. ბავშვი თქვენთან რომ იყოს, უფრო ღიად ისაუბრებდით?***

— ნამდვილად. ზუსტად იმიტომაც წაიყვანეს კვირჭიშვილებმა ბავშვი, რომ ჩვენ რაც შეიძლება ნაკლები გველაპარაკა.

***— ელზასთვის გოჩა კვირჭიშვილს არ დაურეკავს?***

— თამუნა გოჩელაშვილი დაგვპირდა, რომ გოჩა კვირჭიშვილი დარეკავდა და ელზას დაელაპარაკებოდა, მაგრამ არ დარეკა.

***— თვითონ ელზა არ ცდილობდა დაკავშირებას?***

— ელზა ბავშვის გამო ცდილობს დაკავშირებას. ამიტომაც არ იღებს ხმას. ჩვენ ვერ ვუკავშირდებით, ტელეფონის ნომრები არ ვიცით. რამდენჯერმე იზო გაბუნიას დავუკავშირდით, მაგრამ არ დაგველაპარაკა, გოჩამდე არ მიგვიშვა. მოვა დრო, ბავშვი ელზასთან იქნება.

## ოკეანის ფსკერზე მეტეორიტული „ერბოკვერცხი“ აღმოაჩინეს

დასაწყისი მე-10 გვერდზე

უნდა იყოს, რადგან პორტუგაელიელმა მეცნიერებმა მახლობლად ლავის ნაკადების კვალი ვერ შეამჩნიეს.

აღსანიშნავია, რომ „ერბოკვერცხიდან“ დასავლეთით, 3-4 კმ მოშორებით კიდევ ერთი, ოღონდ უფრო მცირე ღრმული აღმოაჩინეს. გამორიცხული არ არის, რომ ისიც მეტეორიტული წარმოშობისა იყოს. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ღრმულების წარმოშობის შემოთავაზებული თეორია არ დადასტურდა, აღმოჩენა მაინც ძალიან საინტერესოა.

2010 წლისათვის კიდევ ერთი ექსპერიცია არის დაგეგმილი. ამჯერად წყლის ქვეშ დისტანციური მართვის აპარატს ჩაუშვებენ, რომელიც ქანების ნიმუშებს შეაგროვებს.

**გ.თ.**

## სამგლოვიარო განცხადებები

თემურ ჩიქოვანი, მანანა ლომაძე, თამარ, ნინო ჩიქოვანები, სიძეები ვასილ სინაურიძე, დავით გეგეშიძე, დოდო, ნოდარ ლომაძეები ოჯახებით იუწყებიან

**ლიანა დიმიტრის ასულ ჩიქოვანი-ვაჭარაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

უნივერსიტეტი „ინტერფარმი+“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის სამეურნეო დარგის ხელმძღვანელი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება, ბატონი

**ზაურ ულუმბელაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

ლია, მარინა, მაია, გრიგოლ, თამაზ ქოქოსაძეები თანაუგრძნობენ ნარგიზა დალაქიშვილსა და გივი ენუქიძეს შვილის

**მალხაზ ენუქიძის**

გარდაცვალების გამო.
პანაშვიდი: 22, 23 დეკემბერს.
დაკრძალვა: 24 დეკემბერს, 14 საათზე.
მისამართი: გ.სააკაძის 30.

---

კ.ერისთავის სახ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის კოლექტივი იუწყება პროფესორ

**ჯანგირ მამალაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 22 დეკემბერი**

**07.00** ჩვენი დილა **10.00**, **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.30** სერ. "**ანელიას სახე**" **13.30** დოკ. ფ. "ველური ოქრო" **14.00** მეხსიერება **15.00** სერ. "**პირისპირ**" **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. "**ანელიას სახე**" **22.00** დიალოგი **23.00** სერ. "**სულებთან მოჩურჩულე**" (12) **00.00** ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით:
ა) მხ. ფ. "**სტარკვეზერი**" (18)
ბ) მხ. ფილმი "**ამერიკელი მეგობარი**" (15) (ს. სიგალი)

**19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** პლანეტა ბასტი-ბუბუ **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. "**პირისპირ**" **22.00** სერ. "**ანელიას სახე**" **23.00** სერ. "**სულებთან მოჩურჩულე**" **23.50** მხ. ფილმი "**კაცი მთვარეზე**" (U)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**შურისძიების ცეცხლში**" **11.00** კომედი შოუ **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **02.00** კურიერი **12.20** სერ. "**გზა დიდებისკენ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. "**უფრთხილდი ანგელოზს**" **15.25** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **15.50** სერ. "**გულის ძახილი**" **16.50** სერ. "**დონ ხუანი და ლამაზმანი**" **18.30** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **19.00** სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" **19.50** სერ. "**ანხელის საიდუმლო**" **22.00** ვაბანკი **23.00** სერ. "**ექიმი ჰაუსი**" **00.00** პატრული **00.20** მხ. ფილმი "**დენი მფრინავი შეზლონგი**" (15) (რის აიფენსი)

**08.00** მულტფილმი "კონანი" **09.00** გადაცემა "ტვ დილერი" **11.00** სერ. "**მარია ემილია**" **12.00** სერ. "**ტყუპები**" **12.45** მხ. ფილმი **15.00** სერ. "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" **15.50** მხ. ფილმი **18.00** სერ. "**ტყუპები**" **19.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **20.00** ზღაპარიყო **20.15** ეტალონი **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **23.30** სერ. "**სი-ეს-აი**" **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **10.00** სერ. "**ორმაგი თამაში**" **11.25** დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **12.00** დოკ. ფილმი "ფიდელის ძიებაში" **13.00** სერ. "**მარადიული გრძნობა**" **15.00** იუმორინა **16.00** სერ. "**განრისხებული ანგელოზი**" **17.35** დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **18.00** სერ. "**ლაბირინთი**" **19.05** სერ. "**მარადიული გრძნობა**" **21.00** სერ. "**განრისხებული ანგელოზი**" **22.00** სიმართლის დრო **23.00** სერ. "**კლინიკა**" **00.00** სერ. "24-5" **01.00** მხ. ფილმი "**როცა ჰარი შეხვდა სალის**" (U) (მ. რაიანი) **02.40** ქრონიკა **02.55** სერ. "**კლონი**"

**08.00**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **09.00** მხ. ფილმი "**ჟანდარმი და უცხოპლანეტელები**" **10.30** სერ. "**ღირსების საქმე**" **11.45**, **21.00** სერ. "**ცხოვრების ქარცეცხლში**" **12.45** მხ. ფილმი "**ტეხასელი რეინჯერები**" **14.50** პერსონა **15.20** მხ. ფილმი "**ისტვიკელი ჯადოქრები**" **18.00** მხ. ფილმი "**9 თვე**" **19.00** ნოვოსტი **19.30** სერ. "**მონადირე**" **23.00** მხ. ფილმი "**ფარვანა**" **01.20** მხ. ფილმი "**რამდენი ღირხარ**"

**ერთსულოვნება** **09.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** სატ. არქივიდან **11.00** მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი" **11.30** ერთსულოვანი ოჯახი **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.05** საგალობელი **12.05**, **15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფ. "**ხსოვნა**" **1**-ლი ს. **13.30** კონცერტი **15.10** დოკ. ფ. "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **15.35** მხ. ფილმი "**ო, რა ტკბილია განშორების ეს ნაზი სევდა**" **17.25** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.30** დედა ეკლესია **18.05** სატ. არქივიდან **18.40** მიწათმოქმედი **19.15** მხ. ფ. "**ხსოვნა**" მე-**2** ს. **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** დროის ჩანაწერები **22.00**, **00.00** სიახლენი **22.15** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 22 დეკემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6825 |
| ევრო | 2,4035 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7536 |
| რუსული რუბლი | 0,0533 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 8-12, ღამით — 1-3
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19-12, ღამით — 4-8
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, თოვლი, ტემპერატურა დღისით —-2-19, ღამით — -12-2

## ამინდის პროგნოზი 22 დეკემბრისთვის





## ქართული ფლორის საოცრება

# „სალხინო"

### უებარი წამალია



„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

''სალხინოს'' შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


## ლევან კობიაშვილი: „გერმანიიდან წასვლა არ მინდოდა"



**საქართველოს ნაკრებში ჩატარებული მატჩებით ყველაზე უხვმა ფეხბურთელმა ლევან კობიაშვილმა გელზენკირხენის „შალკე" ბერლინის „ჰერტაზე" გაცვალა. ბოლო დროს განვითარებული მოვლენებით ეს ალბათ პროგნოზირებადი იყო, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ბერლინის კლუბში სულაც სეზონის ბოლომდე დარჩეს და შემდეგ ისევ მოუწიოს კლუბის შეცვლა**

კობიაშვილისა და „ჰერტას" კონტრაქტი 2,5 წლიანია, მაგრამ თუ ბერლინურმა კლუბმა მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგაში ადგილი ვერ შეინარჩუნა, მაშინ კლუბისა და ფეხბურთელის თანამშრომლობა ავტომატურად წყდება. არადა, „ჰერტა პირველი წრის შემდეგ ბოლო ადგილზეა და სეზონის მეორე ნახევარში კობიაშვილთან ერთად 10-ქულიანი ჩამორჩენა ექნება დასაძლევი. თუმცა, იმედს არც თავად კლუბის ხელმძღვანელობა იწურავს და ჩვენებურთან ერთად გუნდში ტეოფანის გეკასიც მიიწვიეს და კიდევ 2 ფეხბურთელით აპირებენ გაძლიერებას.

— მოხარული ვართ, რომ გუნდს ლევან კობიაშვილი შეუერთდება. ასეთი გამოცდილი ფეხბურთელის დამატებით გუნდი გაცილებით სტაბილური უნდა გახდეს და ბუნდესლიგაში ადგილი უნდა შეინარჩუნოს. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანა მხოლოდ ეს არის, — განაცხადა „ჰერტას" მენეჯერმა მიხაელ პრეეტცმა.კობიაშვილი უკვე გამოცხადდა ახალი გუნდის განკარგულებაში და კლუბის ვებგვერდზე მისი პირველი ინტერვიუც გამოქვეყნდა.

*— „ჰერტაში" იმ დროს მოდით, როდესაც გუნდს არცთუ კარგი პერიოდი უდგას. კონკრეტულად თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რატომ გადაწყვიტეთ ამ კლუბში გადმოსვლა?*

— ჩემი თავდაპირველი აზრი ასეთია — მიუხედავად იმისა, რომ გუნდს ახლა სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილი უჭირავს, ვთვლი, რომ კარგი გუდია, რომელსაც დიდი პოტენციალი გააჩნია. ამასთან, უკვე წლების განმავლობაში გერმანიაში ოჯახთან ერთად ვცხოვრობ და არ მინდოდა მის გარეთ მეთამაშა. გადამწყვეტი იყო აგრეთვე კლუბის მენეჯერ მიხაელ პრეეცთან და მთავარ მწვრთნელ

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## საახალწლო „შუა ქალაქში" იწყება

**„ღამის შოუ" სტუდიო განახლებულ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საკონცერტო სერიებს იწყებს, რომელსაც „ახალი წელი შუა ქალაქში" ეწოდება. კონცერტები ფილარმონიაში 22 დეკემბრიდან დაიწყება და მასში სერიალში მონაწილე ყველა პერსონაჟი მიიღებს მონაწილეობას.**




საკონცერტო სერიების პარალელურად, „ღამის შოუ" სტუდიო წინასაახალწლო გაწამაწიაშია. მათ „შუა ქალაქის" და „ღამის შოუს" საახალწლო გადაცემები აქვთ გადასაღები, პარალელურად, ახალი სეზონიდან ახალი სერიალის განხორციელებას გეგმავენ. ვენესუელური სერიალი „საძაგელი ბეტი" სხვადასხვა ქვეყნის რეჟისორთათვის შთაგონების წყაროდ იქცა. ამერიკელი რეჟისორების შემდეგ სერიალი რუსებმა გადაიღეს, მოგვიანებით კი მათ რიცხვს ბრიტანელი და გერმანელი რეჟისორებიც შეუერთდნენ.

ამჯერად ამ სერიალით „ღამის შოუ" სტუდიოს სცენარისტები დაინტერესდნენ. საგანგებოდ ამ სერიალისთვის მათ მწერლები ლაშა ბუღაძე და ბასა ჯანიკაშვილი მიიწვიეს. მუსიკალურად ამ სერიალზე, ისევე როგორც „შუა ქალაქის" მელოდიაზე, კვლავაც გიგა მიქაბერიძე იზრუნებს. დეკორაციებს კი ვანო ჭელიძე შექმნის. მსახიობები უკვე შერჩე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ბრიტანი მერფის გრიპის ნიშნები ჰქონდა



კვირას დილას გარდაიცვალა ამერიკელი მსახიობი ბრიტანი მერფი, რომელიც მაყურებელს ფილმ „8 მილიდან" ახსოვს.

მსახიობს გული წაუვიდა საკუთარი სახლის აბაზანაში. მისმა მეუღლემ, ინგლისელმა სცენარისტმა საიმონ მონჯეკმა, 911 გამოიძახა. მერფი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გუშინ და დღესაც გამოძიებაც და ექიმებიც ამბობდნენ, რომ 32 წლის მსახიობი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, თუმცა ლოს-ანჯელესის პროკურატურამ გამოძიება მაინც დაიწყო.

გუშინ გვიან საღამოს ცნობილი გახდა, რომ სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ბრიტანი მერფის გრიპის ნიშნები ჰქონდა, რის გამოც იგი სახლში მკურნალობის კურსს გადიოდა.

ბრიტანი მერფი ლოს-ანჯელესში 1990 წელს გამოჩნდა დედასთან, შერონთან ერთად. მისი კარიერა განსაკუთრებით წარმატებული გახდა ფილმ „8 მილში" გადაღების შემდეგ.

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. მრავალადგილიანი სამგზავრო ავტომობილი; 2. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 3. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. მიმდინარეობა კიბერნეტიკაში; 5. უფოთლო, ეკლებიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 10. მოვლენა, რომელიც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს საზოგადოებაზე; 11. მეცნიერება საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; 12. წუწკი, ღორმუცელა ადამიანი; 15. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოქმნილი ძვირფასი თვალი; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 17. იტალიელი მხატვარი, ლეონარდო და ვინჩის მასწავლებელი; 20. ამბის მომტანი, შიკრიკი.

**თარაზულად:** 6. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 7. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 8. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 9. მატყლით ან ბუმბულით დატენილი მოგრძო, მრგვალი ბალიში; 13. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 14. დამატებითი ჯილდო, პრემია; 18. საერთაშორისო კომპიუტერული საინფორმაციო ქსელი; 19. პოლონეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. სხვისი შვილების გამზრდელი; 22. კიპლინგის ნაწარმოების პოპულარული პერსონაჟი; 23. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 24. ფილატელისტის ალბომი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## იუმორი



***

— როდესაც არ უნდა ახვიდე ავტობუსში, ხალხით არის სავსე, ზოგი სამსახურში მიდის, ზოგი შინ ბრუნდება. როდის მუშაობენ, გაუგებარია...

***

რესტორანთან სამმა ტიპმა მთვრალი გამოიჭირა.

— ჩქარა, ფული!

— ახლავე.

ჯიბეში ხელი ჩაიყო, იარაღი ამოიღო:

— აბა, დაწექით!

დაწვნენ.

— ცურვით მომყევით.

ფორთხვა დაიწყეს, ვითომ მიცურავენ. ერთმა მოცურავემ ვერ მოითმინა და ამბობს:

— მაინც რა იდიოტი ხარ!

— ვითომ რატომ?

— სად გინახავს, რომ ასფალტზე ვინმე მიცურავდეს!

— მოკეტე, თორემ ჩაყვინთვა მოგიწევს...

***

— არ მიყვარს ექიმები, დიაგნოზი განსხვავებული აქვთ, შედეგი — ერთი და იგივე...

გ.თ.

## ასტროპროგნოზი 22 დეკემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა.

**ვერძი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — რისკი არ არის გამართლებული, სიმშვიდე შეინარჩუნეთ. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — ახალი წამოწყება გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე წინ მიდის. **სასწორი** — გზიდან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — მშვენიერი დღეა, იაქტიურეთ. **მერწყული** — დაისვენეთ და გაერთეთ, ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## თქვენი ინტუიცია

ტესტი



1. თქვენ სწრაფად ხვდებით თავსატეხების და გამოცანების პასუხებს.
2. გწამთ ერთი ნახვით შეყვარებისა?
3. თუ დაგსიზმრებიათ ცუდი სიზმარი, რომელიც შემდეგ ამხდარა?
4. თუ ყოფილა, რომ ყურმილის აღებამდე მიმხვდარხართ, ვინ რეკავს ტელეფონზე?
5. თუ განგიცდიათ შეგრძნება, რომ რაღაც სიტუაციაში უკვე ყოფილხართ?
6. თუ ყოფილა, რომ სრულიად უმიზეზოდ ვინმე არ მოგწონებიათ?
7. თუ გაგჩენიათ იმ ადამიანის ახლო გაცნობის სურვილი, რომელიც მხოლოდ ერთი წამით გყავდათ ნანახი.
8. თუ მოგიგიათ ოდესმე ფული აზარტულ თამაშში რამდენჯერმე ზედიზედ?
9. თუ გსმენიათ ოდესმე შინაგანი ხმა, რომელიც გირჩევდათ, როგორ მოქცეულიყავით?
10. გწამთ თუ არა ბედისწერის?
11. თუ ყოფილა, რომ საუბრის დროს მოსაუბრის ნათქვამი დაგიბოლოვებიათ?
12. თუ გითქვამთ უარი თვითმფრინავით მგზავრობაზე ავიაკატასტროფის შიშით?

### პასუხები

*დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:*

**0-4 ქულა:** თქვენ თითქმის საერთოდ არ გაქვთ განვითარებული ინტუიცია, შეეცადეთ ქვეცნობიერიდან მის გამოძახებას.

**5-8 ქულა:** ინტუიცია საკმაოდ კარგათ გაქვთ განვითარებული, მაგრამ ბოლომდე ვერ იყენებთ თქვენს შესაძლებლობებს. ბოლომდე ვერ იყენებთ მას, არადა, ხშირად აზრი, რომელიც პირველი მოგვდის თავში, ჭეშმარიტებას შეესაბამება.

**9-12 ქულა:** თქვენ ინტუიცია ძლიერ გაქვთ განვითარებული, არაჩვეულებრივი უნარი გაგაჩნიათ და იყენებთ კიდეც მას.

გ.თ.